



Books about Georgia

Books about Georgia

ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფია

ისტორია, თანამედროვეობა

ქართული
დამწერლობა
და
ტიპოგრაფია

GEORGIAN
SCRIPT
and
TYPOGRAPHY

GEORGIAN SCRIPT AND TYPOGRAPHY

HISTORY, MODERN AGE

წიგნები საქართველოზე / *Books about Georgia*

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲘᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ
ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ

GEORGIAN SCRIPT AND TYPOGRAPHY
HISTORY, MODERN AGE

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ 1

ᲐᲙᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ.......... 7
ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ......................... 22

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ 2

ᲐᲙᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ................ 247
ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ..................... 266

CONTENT

PART 1

AKA MORCHILADZE

GEORGIAN SCRIPT......................7
ILLUSTRATIONS...........................22

PART 2

AKA MORCHILADZE

GEORGIAN TYPE.........................247
ILLUSTRATIONS..........................266

GEORGIAN SCRIPT & TYPOGRAPHY

HISTORY, MODERN AGE

Updated Edition

The Book was prepared by
Graphic Design Association

Content by
Sophia Kintsurashvili

Project by
Sophia Kintsurashvili
Tamaz Varvaridze
Nana Churghulia

1 part
GEORGIAN SCRIPT
Article by
Aka Morchiladze
According to the texts by
† Valeri Silogava
Elene Machavariani

Captions by
Nana Burchuladze
Elene Machavariani
Mzia Ketskhoveli
Izo Melikishvili
Manana Chumburidze
Tamar Gabunia
Rostom Kachakhidze

Edited by
Buba Kudava

Consultant
Elene Machavariani

2 part
GEORGIAN TYPOGRAPHY
Article by
Aka Morchiladze
According to the texts by
Paata Natsvlishvili
† Nino Zaalishvili
Levan Berdzenishvili

Captions by
Sophia Kintsurashvili

Consultants
Giga Khatiashvili
Merab Getsadze

Translated by
Ekaterine Machitidze

Design by
Tamaz Varvaridze

Cover design by
Sophia Kintsurashvili

Georgian text edited by
Tamar Gavashelishvili

English text edited by
John Horan

Photographs by
Dimitri Ermakov, Mirian Kiladze, Irakli Varvaridze, Buba Kudava, Shalva Lezhava, Guram Tsibakhashvili, Davit Tskhadadze, Aleksander Varvaridze, Davit Khoshtaria, Natia Natsvlishvili, Karchkhadze Publishing, the Monuments Photo Recording Laboratory, private collections

The authorship for some visual materials wasn't authenticated. Graphic Design Association apologizes to everyone who isn't mentioned in the authors list and appreciates any additional information which will be taken into consideration in the next edition of this book.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

Graphic Design Association would like to thank the authors of the types and their heirs, private collectors and all persons who provided us with materials from personal archives and contributed to the implementation of this project.

We would also like to thank the following organizations

The National Center of Manuscripts, Georgian National Museum (Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, Simon Janashia Museum of Georgia, Svaneti Museum of History and Ethnography, Kutaisi State Historical Museum), the National Archives of Georgia, the National Parliamentary Library of Georgia, State Museum of Georgian Literature, the Monuments Photo Recording Laboratory, Karchkhadze Publishing and Azri Publishing.

All rights reserved.
No part of this publication may be used in any form without permission of Graphic Design Association

© 2016 GRAPHIC DESIGN ASSOSIATION
39a Paliashvili str.
0179, Tbilisi, Georgia
www.graphicdesignassociation.net

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲘᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ

განახლებული გამოცემა

წიგნი მომზადდა
გრაფიკული დიზაინის
ასოციაციის მიერ

წიგნის შემდგენელი
სიფიო კინწურაშვილი

პროექტის ავტორები
სოფიო კინწურაშვილი
თამაზ ვარვარიძე
ნანა ჭურღულია

1 ᲜᲐᲬᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ
სტატიის ავტორი
აკა მორჩილაძე
ვალერი სილოგავას †
ელენე მაჭავარიანის
ტექსტებზე დაყრდნობით

ილუსტრაციების
წარწერები:
ნანა ბურჭულაძე
ელენე მაჭავარიანი
მზია კეცხოველი
იზო მელიქიშვილი
მანანა ჭუმბურიძე
თამარ გაბუნია
როსტომ კაჭახიძე

რედაქტორი
ბუბა კუდავა

კონსულტანტი
ელენე მაჭავარიანი

2 ᲜᲐᲬᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲘᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ
სტატიის ავტორი
აკა მორჩილაძე
პაატა ნაცვლიშვილის
ნინო ზაალიშვილის †
ლევან ბერძენიშვილის
ტექსტებზე დაყრდნობით

ილუსტრაციების
წარწერები
სოფიო კინწურაშვილი

კონსულტანტები
გიგა ხატიაშვილი
მერაბ გეწაძე

თარგმანი ინგლისურ ენაზე
ეკატერინე მაჩიტიძე

წიგნის დიზაინი
თამაზ ვარვარიძე

ყდის დიზაინი
სოფიო კინწურაშვილი

ქართული ტექსტის
რედაქტორი
თამარ გავაშელიშვილი

ინგლისური ტექსტის
რედაქტორები
ჯონ ჰორანი

ფოტოები
დიმიტრი ერმაკოვი, მირიან კილაძე, ირაკლი ვარვარიძე, ბუბა კუდავა, შალვა ლეჟავა, გურამ წიბახაშვილი, დავით ცხადაძე, ალექსანდრე ვარვარიძე, დავით ხოშტარია, ნათია ნაცვლიშვილი, „ქარჩხაძის გამომცემლობა“, ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია, კერძო კოლექციები

წიგნში შესული ვიზუალური მასალის ნაწილზე ვერ მოხერხდა ფოტოების ავტორთა დადგენა. „გრაფიკული დიზაინის ასოციაცია“ ბოდიშს უხდის ყველას, ვისი გვარიც არ არის მოხსენიებული ჩამონათვალში.

„გრაფიკული დიზაინის ასოციაცია“ პირადი არქივებიდან ვიზუალური მასალის მოწოდებისთვის მადლობას უხდის შრიფტების ავტორებს და მათ მემკვიდრეებს, და ყველა იმ კერძო პირს, ვინც ხელი შეუწყო პროექტის განხორციელებას.

ასევე მადლობას ვუხდით ორგანიზაციებს

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს (კერძოდ: შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმს, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ქუთაისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმს), საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიას, „ქარჩხაძის გამომცემლობას“, გამომცემლობას „აზრი“.

*ყველა უფლება დაცულია.
დაუშვებელია ამ გამოცემის რომელიმე ნაწილის რაიმე ფორმით გამოყენება „გრაფიკული დიზაინის ასოციაციის“ ნებართვის გარეშე*

GRAPHIC
DESIGN
ASSOCIATION

ქართული დამწერლობა

GEORGIAN SCRIPT

ნაწილი PART 1

ქართული ანბანი
GEORGIAN ALPHABET

ასომთავრული ASOMTAVRULI	ნუსხა-ხუცური NUSKHA - KHUTSURI	მხედრული MKHEDRULI	საერთაშორისო ტრანსკრიპცია INTERNATIONAL TRANSCRIPTION	რიცხვითი მნიშვნელობა NUMERICAL MEANING
Ⴀ	ⴀ	ა	a	1
Ⴁ	ⴁ	ბ	b	2
Ⴂ	ⴂ	გ	g	3
Ⴃ	ⴃ	დ	d	4
Ⴄ	ⴄ	ე	e	5
Ⴅ	ⴅ	ვ	v	6
Ⴆ	ⴆ	ზ	z	7
Ⴡ	ⴡ	ჱ	ē	8
Ⴇ	ⴇ	თ	t’	9
Ⴈ	ⴈ	ი	i	10
Ⴉ	ⴉ	კ	k	20
Ⴊ	ⴊ	ლ	l	30
Ⴋ	ⴋ	მ	m	40
Ⴌ	ⴌ	ნ	n	50
Ⴢ	ⴢ	ჲ	y	60
Ⴍ	ⴍ	ო	o	70
Ⴎ	ⴎ	პ	p	80
Ⴏ	ⴏ	ჟ	ž	90
Ⴐ	ⴐ	რ	r	100

ასომთავრული ASOMTAVRULI	ნუსხა-ხუცური NUSKHA - KHUTSURI	მხედრული MKHEDRULI	საერთაშორისო ტრანსკრიპცია INTERNATIONAL TRANSCRIPTION	რიცხვითი მნიშვნელობა NUMERICAL MEANING
Ⴑ	ⴑ	ს	s	200
Ⴒ	ⴒ	ტ	t	300
Ⴣ	ⴣ	ჳ	w	
Ⴓ	ⴓ	უ	u	400
Ⴔ	ⴔ	ფ	p’	500
Ⴕ	ⴕ	ქ	k’	600
Ⴖ	ⴖ	ღ	ḡ	700
Ⴗ	ⴗ	ყ	q	800
Ⴘ	ⴘ	შ	š	900
Ⴙ	ⴙ	ჩ	č’	1000
Ⴚ	ⴚ	ც	c’	2000
Ⴛ	ⴛ	ძ	j	3000
Ⴜ	ⴜ	წ	c	4000
Ⴝ	ⴝ	ჭ	č	5000
Ⴞ	ⴞ	ხ	x	6000
Ⴤ	ⴤ	ჴ	ẖ	7000
Ⴟ	ⴟ	ჯ	ǰ	8000
Ⴠ	ⴠ	ჰ	h	9000
Ⴥ	ⴥ	ჵ	ō	10000

ქართული ანბანის ტრანსლიტერაცია ISO
Transliteration of Georgian ISO

AKA MORCHILADZE

GEORGIAN SCRIPT

Georgian alphabet is old and used for Georgian alone. The long and interesting history of the modern Georgian alphabet is hidden in the depths of centuries.

This alphabet evolved in three stages: **Asomtavruli** (from the 5th to the 9th-10th CC.), **Nuskhuri** (the 9th-11th CC.) and **Mkhedruli** (the 9th/10th- 21st CC.).

The letters at each stage are so different that one would think they're representative of three entirely different writing systems. In fact, the alphabets developed in a clear progression to the modern one in use today. With the formation of a new alphabet the older ones weren't forgotten: All three forms co-existed. Despite these writing systems' common origin, knowledge of the modern Georgian alphabet will not enable one to decipher the previous two.

The chronology of their origins and levels of development of the three Georgian alphabets are a matter of dispute among academics. It is thought that **Asomtavruli** is the oldest of the three. The most ancient samples of Georgian writing are in Asomtavruli. A look at the 5th century Asomtavruli inscriptions found in Palestine and Georgia makes it clear that this writing system was already a long-established one at that point.

The geometry of the Asomtavruli alphabet is simple and plain. It's based on the shapes like the circle, the semicircle and the straight line. Nine different combinations of the circle and straight line are used in its construction. Each letter is highly proportionate and fills up an imaginary square either fully or halfway. Asomtavruli is

---

ᲐᲙᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

ქართული ანბანი ძველია და მხოლოდ ქართული. მისი ისტორია საუკუნეების დაკარგულ სიღრმეებშია მიმალული.

თანამედროვე ქართულ ანბანს გრძელი და საინტერესო გზა გამოუვლია.

ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური გაიარა: **ასომთავრული** (V-IX/X სს.), **ნუსხური** (IX-XI სს.) და **მხედრული** (IX/XI-XXI სს.) თითოეულ საფეხურზე ესა თუ ის ასო იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ იფიქრებ, სამი სხვადასხვაწ დამწერლობააო, სინამდვილეში კი პირველისგან მეორე წარმოიქმნა, მეორემ კი – მესამეს, ანუ თანამედროვეს, დაუდო სათავე. თუმცა ახალი სახეობის წარმოქმნა ძველის მივიწყებას არ იწვევდა, სამივე სახეობა თანაარსებობდა.

საერთო წარმომავლობის მიუხედავად, თანამედროვე ქართული ანბანის მცოდნე საგანგებოდ თუ არ ისწავლის, წინა ორი ანბანით დაწერილს ისე ვერ ამოიკითხავს.

ქართული დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ძეგლები ასომთავრულითაა შესრულებული, ამიტომ მიიჩნევა, რომ ასომთავრული უძველესია. თუმცა, თითოეული საფეხურის წარმოქმნისა და განვითარების ეტაპების ქრონოლოგიის თაობაზე მეცნიერთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. პალესტინასა და საქართველოში შემორჩენილი V საუკუნის ასომთავრული წარწერების ერთი შეხედვაც კი საკმარისია, რომ დავინახოთ ამ ანბანის კარგა ხნის ჩამოყალიბებული სახე.

ასომთავრული (მრგვლოვანი) ანბანის გეომეტრია მარტივია და სადა. იგი წრეზე, ნახევარწრეზე და სწორ ხაზზეა დაფუძნებული.



არმაზის ბილინგვა. II ს. ორენოვანი საფლავის ქვა ბერძნული და არამეული წარწერებით. აღმოჩენილია 1940 წელს არმაზისხევში. ქ. მცხეთა, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Armazi bilingual stele. The 2nd C. AD. A bilingual gravestone with Greek and Aramic inscriptions was found in 1940 in Armaziskhevi. Mtskheta, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)* also known as Mrgvlovani (rounded) alphabet.

Generally, it's difficult to study Georgian alphabet: It doesn't belong to any script type.

Studying Georgian written language, Ivane Javakhishvili pointed to the resemblance between the letters and presumed that they were based on Semetic scripts. He also pointed at the traces of Phoenecian script.

Other Georgian and foreign scientists also wrote about Semitic origins of Georgian Alphabet. The theory of Aramean roots had more advocates.

In 1940, a bilingual gravestone was found in Armaziskhevi. The gravestone dates back to the 2nd century AD and confirms the fact that Greek and Aramic were both used in that period in Georgia.

The majority of scientists tend to believe that Greek alphabet served as the basis for Georgian one.

Since the 19th century, Georgian and foreign scholars had been trying to determine the time when Georgian script first appeared. Some of the scholars thought that it developed back in Hellinic era in West Georgia. Others believed that it appeared even earlier.

საწერი მოწყობილობა. III-IV სს. აღმოჩენილია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში მდებარე სამარხში.

Writing accessories found in a sepulcher in the yard of Svetitskhoveli Cathedral, Mtskheta. The 3rd-4th CC.

According to Ivane Javakhishvili, Georgian writing system has been used since the 7th century BC.

Some scientists lean toward the idea that the first alphabet appeared in Georgia after the declaration of Christianity the state religion. Their op-

მის აგებულებაში სწორედ წრისა და სწორი ხაზის ცხრა ნაირსახეობა მოქმედებს, ყოველი ასო ძალიან პროპორციულია და მთლიანად ან სანახევროდ ავსებს წარმოსახვით კვადრატს. ასომთავრულს მეორე სახელად „მრგვლოვანი“ ეწოდება.

ზოგადად, ქართული ანბანის კვლევა ძნელია, რადგან ის არ მიეკუთვნება ანბანთა არცერთ რიგს.

ქართული დამწერლობის შესწავლისას, ივანე ჯავახიშვილი, მიუთითებდა რა ასოთა მოხაზულობის მსგავსებაზე, ქართული ანბანის საფუძვლად სემიტურ დამწერლობებს მიიჩნევდა და მასში ფინიკიური დამწერლობის კვალს ხედავდა.

ქართული ანბანის სემიტური დამწერლობებიდან, უფრო მეტად კი არამეულიდან მომდინარეობის თაობაზე წერდნენ სხვა ქართველი და უცხოელი მეცნიერებიც.

1940 წელს არმაზისხევში აღმოჩენილი ორენოვანი საფლავის ქვა, რომელიც ახ.წ.-ის მეორე საუკუნით თარიღდება, ასაბუთებს ბერძნული და არამეული ენების გამოყენებას იმ დროის საქართველოში.

მეცნიერთა უმეტესობა ქართული დამწერლობის საფუძვლად მაინც უფრო ბერძნულ ანბანს მიიჩნევს.

19-საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი და უცხოელი მკვლევრები ასევე ცდილობდნენ გაერკვიათ ქართული დამწერლობის წარმოშობის დრო. ზოგი ფიქრობდა, რომ ის ჯერ კიდევ ელინურ ხანაში წარმოიშვა დასავლეთ საქართველოში, ზოგს ის კიდევ უფრო ადრინდელ დამწერლობად მიაჩნდა.

ქართული დამწერლობის შემოღების დროდ ივანე ჯავახიშვილი ძვ.წ.-ის მეშვიდე საუკუნეს ვარაუდობდა.

ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ანბანი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შედეგად იშვა; მათი ოპონენტები ფიქრობენ, რომ ქრისიტიანობამდელი ქართული დამწერლობის ნიმუშები შესაძლოა ახალი რელიგიის შემოსვლისას განადგურდა, ისევე, როგორც წარმართული კერპები და მრავალი სხვა ყოფითი თუ კულტურული ელემენტი. მეცნიერთა ნაწილი იზიარებს რამაზ პატარიძის თეორიას, რომელიც მათემატიკური და ასტრონომიული კვლევების საფუძველზე ვარაუდობს ქართული ანბანის ძველი კოლხეთ-იბერიის ხუცესთა (ქურუმთა) მიერ შექმნას დრო-ჟამის

ponents suppose that pre-Christian specimens of writing were destroyed like pagan idols and numerous household and cultural elements.

There are also scientists who share Ramaz Pataridze's opinion, who, on the basis of mathematical and astronomical analysis, presumes that Georgia alphabet was created by the priests of ancient Kolkheti-Iberia in accordance with the calendar.

The next Georgian writing system, which evolved from Asomtavruli, is **Nuskhuri** (Nuskha-Khutsuri).

The oldest known inscription in Nuskhuri is the Sinai Homiliary, dated 864 AD. Starting from the 10th century, Nuskhuri was used in many texts. Nuskhuri developed as a writing style because of the need for faster writing and increased demand for books. Its use saved materials and time.

Nuskhuri letters are written not within a square, but in four rows. They're connected and slanted to the right.

Nuskhuri is also known as Khutsuri, which indicates that it was frequently used by priests in church manuscripts, but throughout the Middle Ages inscriptions in works of church art were mainly still in Asomtavruli.

These two alphabets were followed by the **Mkhedruli**, the modern Georgian alphabet. Mkhedruli first appeared in the 10th century and is a result of the complicated development of Nuskhuri, though in a way it preserves the rounded nature of Asomtavruli.

Mkhedruli letters, like Nuskhuri ones, are written without lifting the writing utensil, with a few exceptions. Like Nuskhuri, Mkhedruli letters can also be connected. In the early stages of Mkhedruli, the system of connecting the letters was so complicated that it is often difficult to distinguish the letters from one another, particularly in ornamental texts.

The three writing systems co-existed for several centuries and all three were used for both religious and secular literature. Gradually, however, Mkhedruli came to be used only for state and secular purposes (documents, legislation), while Nuskhuri and Asomtavruli were increasingly limited to ecclesiastical use.

The earliest specimens of written Georgian are mosaics, engravings, frescoes and repoussé inscriptions preserved on crosses, icons, floors and walls of churches.

სათვალავის, ანუ კალენდრის საფუძველზე.

ქართული დამწერლობის შემდეგი ეტაპია **ნუსხური** (ნუსხა-ხუცური), რომელიც ასომთავრულისგან იშვა.

პირველი ნუსხური ნაწერი 864 წლით დათარიღებული „სინური მრავალთავია“, X საუკუნისთვის კი ნუსხურით უკვე არაერთი ტექსტი იწერება. ნუსხური, როგორც წერის სტილი, სწრაფი წერისკენ მისწრაფებამ და წიგნზე მზარდმა მოთხოვნილებამ განაპირობა, რამაც მასალისა და დროის ეკონომია გამოიწვია.

ნუსხურში ასო იწერება არა კვადრატში, არამედ ოთხ ხაზში; წერა გაბმულია, ასოები კი მარჯვნივაა გადახრილი.

ნუსხურის მეორე სახელია „ხუცური“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას სასულიერო პირები უფრო ხშირად იყენებდნენ საეკლესიო ხელნაწერებში, თუმცა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებზე წარწერები ძირითადად ასომთავრულით სრულდებოდა.

ამ ორ ანბანს მოსდევს **მხედრული** – დღევანდელი ქართული ანბანი. ის X საუკუნიდან ჩანს და ნუსხურის რთული განვითარების შედეგია ასომთავრულის მრგვლოვანი იერის ერთგვარად შენარჩუნებით.

მხედრულიც, ნუსხურის მსგავსად, ხელის აუღებლად სრულდება. გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე ასო. ნუსხურის მსგავსად, მხედრულსაც ახასიათებს ასოთა გადაბმა. გარდამავალ მხედრულში გადაბმის სისტემა უფრო გართულებულია, იმდენად, რომ ხშირად, განსაკუთრებით – გაკრული ხელით ნაწერში, ასოების ცალკე აღქმა რთულია.

სამივე დამწერლობა თანაარსებობდა საუკუნეების განმავლობაში და ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო საქმეში, თუმცა თითოეულ სახეობას მაინც თავისი გამოყენების არეალი ჰქონდა მოზომილი: მხედრული, რომელიც საერო ცხოვრების წიაღში ჩამოყალიბდა, ძირითადად სახელმწიფო საქმეთა წარმოებისა (საბუთების, კანონების შედგენა...) და საერო ლიტერატურისთვის გამოიყენებოდა, ნუსხური და მრგვლოვანი კი დარჩა სასულიერო დამწერლობებად.

ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუშები – მოზაიკური, ქვაზე ამოკვეთილი, ფრესკული და ჭედური წარ-

The earliest inscriptions discovered in Georgia and beyond the borders of the country make it obvious that the Georgian alphabet had already had quite a long history of development in the 5th century. Judging from the relevant archaeological layers, scientists Levan Chilashvili, Zaza Aleksidze and Ramaz Pataridze think, that inscriptions found in Nekresi at the end of the 20th century date back to the 1st -3rd centuries BC, the pre-Christian period.

Italian archaeologist Virgilio Corbo discovered ancient Georgian inlaid inscriptions in the ruins of a Georgian monastery in the Judean Desert near Jerusalem in 1952. One of the inscriptions dates back to the 430s AD.

It’s unlikely that Georgian alphabet first appeared in the 5th century, as the traditions and the writing culture of that time appear highly developed. “The Martyrdom of St. Shushanik” by Iakob Khutsesi (Tsurtaveli) in 476-483 confirms the high artistic and literary standard which already existed in Georgia in that period.

Inscriptions and manuscripts are absolutely different things but these sources combined can reveal many details of our history from ancient folios and texts inscribed on walls and floors of churches.

Ktetors, clerics and laymen of different ranks (catholicos-patriarchs, archpriests, kings) and members of their families, as well as architects, icon-painters, chasers and others were mentioned in mural inscriptions of an informational nature. Church buildings were therefore likely the most “informative” constructions in the country at that time. All engraved and fresco inscriptions, icons and chased or handwritten inscriptions made on them, as well as the ecclesiastical books with inscriptions from various times contained in them, made the church a special place of knowledge, and a chronicler of sorts of the country’s history.

In the Middle Ages literacy was rare and consequently, full comprehension of the alphabet was in itself a key to special knowledge.

Thousands of ancient manuscripts of ecclesiastical and secular literature were preserved through numerous wars and times of misfortune. Today, they bring to life ancient literature as well as the history of the Georgian alphabet.

The period between the 10th and 12th centuries was a very special epoch

წერები – საფლავის ქვებს, ტაძრების იატაკს, კედლებსა და ჯვარხატებს შემორჩა.

საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ აღმოჩენელი უძველესი წარწერები ადასტურებს, რომ უკვე V საუკუნეში ქართულ ანაბანს არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. XX საუკუნის ბოლოს ნეკრესში აღმოჩენილ წარწერებს კი, მრავალწლიანი შესწავლის საფუძველზე, არქეოლოგიური ფენების მიხედვით, მეცნიერები – ლევან ჭილაშვილი, ზაზა ალექსიძე, რამაზ პატარიძე – ქრისტიანობამდელი პერიოდით, I-III საუკუნეებით ათარიღებენ.

ასომთავრულით შესრულებული უძველესი ქართული მოზაიკური წარწერები 1952 წელს აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ იუდეის უდაბნოში, იერუსალიმთან ახლოს, ქართული მონასტრის ნანგრევებში. მათ შორის ერთი V საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება.

V საუკუნე ძნელად ჩაითვლება ქართული ანაბანის დაბადების თარიღად. ამისთვის ქართულ ანბანს და წერით კულტურას დიდი ტრადიცია უჩანს, რასაც იაკობ ხუცესის (ცურტაველის) მიერ 476-483 წლებში დაწერილი „შუშანიკის წამების“ მაღალი მხატვრულ-ლიტერატურული დონეც ადასტურებს.

წარწერა და ხელნაწერი სრულიად განსხვავებული რამეებია, თუმცა უამრავ რამეს ჩვენი ისტორიისას ორივეს საშუალებით – ძველი ფოლიანტებიდან და ეკლესიათა კედლებსა და იატაკებზე დატანილი წარწერებიდან შევიტყობთ ხოლმე.

კედლის წარწერები საინფორმაციო ხასიათისა იყო – იხსენიებდა ტაძრის ქტიტორებს, სხვადასხვა რანგის სასულიერო და საერო პირებს: კათოლიკოს-პატრიარქებს, მღვდელმთავრებს, მეფეებსა და მათი ოჯახის წევრებს, ხუროთმოძღვრებს, მომხატველებს, ხატების დამწერ-მომჭედელთ და ა. შ. ხუროთმოძღვრული ნაგებობა კი ალბათ ყველაზე ინფორმაციული ნაგებობა იყო იმ დროის ქვეყანაში: ქვაზე ნაკვეთი წარწერები, ფრესკები და მათზე მინაწერები, ხატები და მათზე მიწერილ-ნაჭედი მცირე ზომის ტექსტები, საეკლესიო წიგნები და მათზე გაკეთებული სხვადასხვა დროისა და შინაარსის მინაწერები ეკლესიას განსაკუთრებულ, იმდროინდელ ცოდნის ადგილად, ქვეყნის მატიანედ აქცევდა.

შუა საუკუნეებში ანბანის ცოდნა დიდი უპირატესობა იყო, მისი სრულყოფილად ფლობა კი, თავისთავად, გამორჩეული ცოდნის პირობა.

in the history of Georgia. It was a period when Georgian kingdoms and principalities were united under the Crown of the Bagrationis, a period lasting from the reign of King Davit the Builder to that of Queen Tamar (known as "King Tamar").

It was an epoch of great wars and great reconstruction, an era of when new cities were founded and the new Georgian State was formed: Two centuries of great Georgian culture, the age of Giorgi Merchule, Ioane the Hagiorite, Ekvtime the Hagiorite, Giorgi the Hagiorite, Ioane Petritsi, Arsen Ikaltoeli and Shota Rustaveli. The cultural heritage of the previous centuries came together in this flourishing era.

Thinking, writing, composition, creative work and education served as the foundation for that period. Great secular, philosophical and ecclesiastical literature is written at the cultural centers in Georgia and beyond its borders. The great thinkers Ekvtime the Hagiorite and Giorgi the Hagiorite, Ioane Zosime, Eprem Mtsire, Ioane Minchkhi and Mikael Modrekili write and translate large amounts of material in Palestine, Syria, on Mount Sinai and Petritsoni Monastery.

Only learned people could draft documents and write books. A scribe in the Middle Ages was an artist, a calligrapher, and a person capable of endless work. Scribes were mostly monks and making copies was a very important task.

As a rule, books were commissioned by members of the royal family and rich monasteries. The high prices were conditioned by the highly specialized work involved and the high cost of writing materials.

In Georgia texts were written on processed leather and paper. The paper mainly came from Italy. Several manuscripts made on papyrus have also been preserved.


პ
p̣
80
ასომთავრული
ნუსხური
თანამედროვე მხედრული
საერთაშორისო ტრანსკრიფცია
რიცხვითი მნიშვნელობა
გრაფიკული მოხაზულობა V–XVII საუკუნეებში
ასომთავრული V–X სს.
ნუსხური X–XII სს.
მხედრული XI–XVII სს.
მხატვრული ინიციალები (X–XIII სს. ხელნაწერები)

უამრავ ომსა და ძნელბედობაში გამოტარებით, საქართველომ დღემდე შემოინახა ათასობით ძველი ხელნაწერი, სასულიერო თუ საერო ლიტერატურის ნიმუში, სახელმწიფო საბუთი, სიგელი, გუჯარი თუ ოქმი, რომლებიც დღეს არა მხოლოდ ლიტერატურას და ისტორიას გვიცოცხლებს, არამედ ქართული ანბანის თავგადასავალსაც გვიამბობს.

X-XII საუკუნეები განსაკუთრებულია საქართველოს ისტორიისათვის.ეს არის საქართველოს სამეფო-სამთავროების ბაგრატიონების გვირგვინქვეშ გაერთიანების ეპოქა, რომელსაც მივყავართ დავით IV აღმაშენებლამდე და თამარ მეფემდე.

ეს არის დიდი ომების, თან კი დიდი აღმშენებლობის, ახალი ქალაქების, ახალი სახელმწიფოს შექმნის ეპოქა და, იმავე დროს, დიდი ქართული კულტურის საუკუნეები: გიორგი მერჩულეს, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და შოთა რუსთაველის ხანა, რასაც საფუძველი წინა საუკუნეების კულტურულმა მემკვიდრეობამ შეუქმნა.

ამიტომაც, აზროვნება, წერა, თხზვა, შემოქმედება, განათლება ამ ეპოქის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. იქმნება მაღალი დონის საერო, ფილოსოფიური, საეკლესიო ლიტერატურა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ კერებში: პალესტინაში, სირიაში, ათონის მთაზე, სინაზე, პეტრიწონში – იწერება ბევრი და ითარგმნება ბევრი: მოღვაწეობენ ექვთიმე და გიორგი ათონელები,


ო
o
70
ასომთავრული
ნუსხური
თანამედროვე მხედრული
საერთაშორისო ტრანსკრიფცია
რიცხვითი მნიშვნელობა
გრაფიკული მოხაზულობა V–XVII საუკუნეებში
ასომთავრული V–X სს.
ნუსხური X–XII სს.
მხედრული XI–XVII სს.
მხატვრული ინიციალები (X–XIII სს. ხელნაწერები)

ელენე მაჭავარიანის ალბომი „მწიგნობრობაჲ ქართული“.1989 წ. მოცემულია ქართული ანბანის სამივე სახეობის (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) გრაფიკული განვითარება საუკუნეების მიხედვით.

"Georgian Book Learning", an album by Elene Machavariani. 1989. The album describes the graphic development of all three types of Georgian alphabet (Asomtavruli, Nuskhuri, Mkhedruli) in particular centuries.



ათონის ივერთა მონასტერი – ისტორიული ქართული მონასტერი. მდებარეობს საბერძნეთში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას. დაარსდა 980-983 წლებში.

Iviron Monastery on Holy Mount Athos (historic Georgian monastery). The monastery stands on the flank of the headland jutting out into Aegian Sea. Founded in 980-983

Parchments were made of calfskin or lambskin. Huge amounts of processed skin were necessary for each book. At least one sheepskin was needed for two pages of a high quality book. Parkhali collection consists of 1310 pages and it's easy to calculate what it would cost.

Because of all these factors copies of books were regarded as very precious rarities which were kept and used with utmost care.

Texts were written by means of different paints or inks and reed pens or quills, but more precious pens made of ivory were also used.

The majority of the scribes worked at monastic and royal scriptoriums. A look at their handwritings makes it possible to trace back the development of Georgian alphabet. But time passed and the alphabet was once again revolutionized in the 15th century when Johannes Gutenberg equipped the first movable type-printing press and a type molding machine to print the first books: The methods which had been perfected throughout centuries completely changed.

იოანე ზოსიმე, ეფრემ მცირე, იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი.

წიგნსა და საბუთს განათლებული ადამიანების დიდი რესურსი სჭირდებოდა. შუა საუკუნეების წიგნების გადამწერი იყო ხელოვანი ოსტატი, კალიგრაფი, დიდი და უსასრულო შრომის შემძლე ადამიანი, უმეტესად – ბერი; გადაწერა კი დიდად მნიშვნელოვანი საქმე გახლდათ.

წიგნის გადაწერა შეკვეთის გარეშე ვერ მოხდებოდა. შემკვეთი კი ძალიან შეძლებული უნდა ყოფილიყო. შეკვეთას მხოლოდ სამეფო ოჯახი, რჩეული დიდგვაროვნები და მდიდარი მონასტრები თუ ახერხებდნენ, მაღალი ფასის მიზეზი კი იყო არა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის შრომა, არამედ საწერი მასალის სიძვირეც.

საქართველოში წერდნენ დამუშავებულ ტყავზე, ანუ ეტრატზე, და ქაღალდზეც. ეს უკანასკნელი კი, ძირითადად, იტალიიდან შემოჰქონდათ. გვაქვს ქართულ ხელნაწერთა ჭილზე (პაპირუსზე) გადაწერით შემთხვევებიც.

ეტრატი ხბოს, ცხვრის, ბატკნის ტყავისგან მზადდებოდა. ერთი წიგნისთვის უამრავი დამუშავებული ტყავი იყო საჭირო. ორ გვერდს კარგად გადაწერილი წიგნისას ერთი ცხვრის ტყავი მაინც სჭირდებოდა და თუკი პარხლის მრავალთავის გვერდებს (1310) დავითვლით, ადვილი მისახვედრია, რა ხარჯები უნდა გაეღო დამკვეთს.

ყოველივე ამის გამო გადაწერილი წიგნი იშვიათ, უძვირფასეს ნივთად მიიჩნეოდა და ინახებოდა და გამოიყენებოდა დიდი სიფრთხილით.

საღებავს, მელანს იმ დროში უწოდებდნენ წამალს და საწერად კი წვერწამახულ ლერწმის ღეროს ან ფრინველის ფრთას მოიხმარდნენ. არსებობდა უფრო ძვირფასი, სპილოს ძვლის კალმებიც.

გადამწერთა უმეტესობა სამონასტრო და სამეფო სკრიპტორიუმებში მოღვაწეობდა. ქართული ანბანის განვითარებაზე დაკვირვება სწორედ მათი ხელწერის შესწავლითაა შესაძლებელი.

მაგრამ გავიდა დრო და ანბანი კიდევ ერთი რევოლუციის წინაშე დადგა: XV საუკუნეში იოჰან გუტენბერგმა წიგნის საბეჭდი და შრიფტების ჩამოსასხმელი დაზგები შექმნა და პირველი წიგნები დასტამბა. ამან სრულიად შეცვალა ანბანის გამოყენების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ხერხები.



ასომთავრული სავედრებელი წარწერა ბოლნისის სიონის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე. 493-503 წწ. მოხსენიებულია ბოლნელი ეპისკოპოსი დავითი, ღვთისმსახურები და მრევლი. ტექსტი ნაკვეთია სარკმლის საპირე ქვაზე (63X90 სმ). ასოების სიმაღლე – 6 სმ. სოფ. ბოლნისი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Pleading prayer engraved in Asomtavruli on the eastern facade of Bolnisi Sioni Cathedral, 493-503. Davit, Bishop of Bolnisi, local clergy and the parish are mentioned in the prayer engraved on a window facing stone (63X90 cm). Height of letters - 6 cm. Bolnisi village, Kartli. East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*





საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით. ნეკრესის ნაქალაქარი, ყვარლის რ-ნი, კახეთი, ალმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Gravestone with Asomtavruli inscription. The remains of the ancient town of Nekresi, Kvareli region, Kakheti, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*

ამ გვერდზე მოცემული წარწერიანი საფლავის ქვები, რომლებიც თავბოლოშექცეულად, მეორად საშენ მასალად ყოფილა ჩატანებული მე-4 საუკუნეში აგებული მარნის კედლებში და საწნახლებში (ნეკრესის ნაქალაქარი), მეცნიერთა დიდი ნაწილის (ლ.ჭილაშვილი, ზ. ალექსიძე, რ. პატარიძე და სხვ.) ვარაუდით, წარმართული ხანისაა. მათ ვარაუდს ამყარებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მარნის ქვეშ მდებარე ფენაში აღმოჩენილი წარმართული ხანის სამლოცველო რამდენიმე სამარხითა და ძვ.წ.-ის III-II საუკუნეების ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილ ქვათაგან (სულ შვიდი წარწერიანი ქვა) არცერთზე არ არის დატანილი ქრისტიანული სიმბოლიკა.

The gravestones represented on this page were used as secondary building material and put inversely in the walls of a wine cellar and wine presses of the 4th century (ancient town of Nekresi). According to some scientists (L. Chilashvili, Z. Aleksidze, R. Pataridze and others), they belong to the pagan culture. This assumption is based on the results of archaeological excavations during which a pagan chapel with several sepulchers and utensils of the 3rd-2nd CC BC were discovered in the layer under the wine cellar. It must be said that Christian symbols are not given on any of the discovered stones (7 in all).





საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით. ნეკრესის ნაქალაქარი, ყვარლის რ-ნი, კახეთი, ალმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Gravestone with Asomtavruli inscription from the remains of the ancient town of Nekresi. The remains of the ancient town of Nekresi, Kvareli region, Kakheti, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით: „ესე საფლავი ნოშისი და ბავასი ნუმცავის ხელე(წი)ფების ჩი“. ნეკრესის ნაქალაქარი, ყვარლის რ-ნი, კახეთი, ალმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Gravestone with Asomtavruli inscription: “This grave of Noshi and Bava not to be encroached upon by anyone”. The remains of the ancient town of Nekresi, Kvareli region, Kakheti, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



დავათის სტელა „ანბანის დიდების“ რელიეფური გამოსახულებით. VI ს. სტელის ერთ გვერდზე, მთავარანგელოზთა გაშლილ გრაგნილზე, ამოკვეთილია ასომთავრული ანბანის 37 ასო. სტელაზე შემორჩა IX-X სს-ის სავედრებელი ტექსტის ფრაგმენტიც: „ჯუარო, მარტჳსთაჲ შეიწყალე“. სტელა აღმოჩნდა დუშეთთან ახლოს, სოფელ დავათის ღვთისმშობლის IX-X სს-ის ეკლესიის კედელში 1984 წ-ს. მთიულეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Davati Stele with a relief scene of “Alphabet Glorification“. The 6th C. On one side of the stele Archangels hold an unrolled scroll with 37 letters of Asomtavruli Alphabet inscribed on it. A fragment of a prayer, which belongs to the 9th -10th CC., is also preserved on the stele: “Oh, Cross, have mercy upon Martvistai“. The stele was discovered in one of the walls of the Mother of God Church (9th -10th CC.) in Davati village near Dusheti in 1984. Mtiuleti, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*







პალიმფსესტი. V-VI სს. თავდაპირველი, ქვედა ფენა ნაწერია ასომთავრულით და წარმოადგენს მათეს სახარების ტექსტს, ზემოდან ნაწერი გვიანდელი ნუსხური ტექსტი კი XI საუკუნისაა. 32X28 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Palimpsest. The 5th-6th CC. The initial, lower layer represents Asomtavruli text from the Gospel of Matthew. The text overwritten across the first layer in Nuskhuri belongs to the 11th century. 32X28 cm. *The National Center of Manuscripts*

სამშენებლო ასომთავრული წარწერა ბოლნისის სიონის ტაძრის ჩრდილოეთით, მარცხენა კარის თავზე გადებულ ქვაზე. 493-503 წწ. ტექსტში ნახსენებია პეროზის მეფობა ირანში 459-484 წწ-ში, რითაც ათვლილია ტაძრის საძირკვლის ჩაყრა და აშენების პერიოდი. 63X90 სმ. აღმოჩენილია გათხრების დროს, 1937 წ-ს. სოფ. ბოლნისი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Construction inscription on a stone above the left door in the northern wall of Bolnisi Sioni Cathedral. Asomtavruli. 493-503. According to the inscription, the foundation of the Cathedral was laid during the reign of Peroz in Iran (459-484). 63X90 cm. The inscription was discovered during the archeological excavations carried out in 1937. Bolnisi village, Kvemo Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



Asomtavruli inscription on the mosaic floor in the refectory of Bir-el- Kut Monastery. 532-552. The inscription was discovered by Italian Virgilio Corbo in Judean Desert near Jerusalem in 1952. Amba (Father) Anton, Father Superior of the Monastery, Iosia, who tessellated the mosaic, and his parents are mentioned in the prayer. The height of letters is 10-11,5 cm. Museum of the Franciscan Convent of Jerusalem, Palestine

ასომთავრული წარწერა ბირ ელ-ყუთის მონასტრის სატრაპეზოს მოზაიკურ იატაკზე. 532-552 წწ. აღმოჩენილია იერუსალიმის მახლობლად, იუდეის უდაბნოში, იტალიელი არქეოლოგის, ვირჯილიო კორბოს მიერ 1952 წ-ს. სავედრებელი შინაარსის ტექსტში ნახსენებია მონასტრის წინამძღვარი ამბა (მამა) ანტონი, მოზაიკის მომგებელი იოსია და მისი მშობლები. ასოების სიმაღლე – 10-11,5 სმ. იერუსალიმის ფრანცისკანელთა მონასტრის მუზეუმი, პალესტინა



მცხეთის ჯვრის მონასტრის რელიეფები ასომთავრული საქტიტორო წარწერებით. 595-605 წწ. მარცხენა ფილაზე, წმ. სტეფანეს წინაშე მუხლმოყრილი ქობულ სტრატილატის თავს ზემოთ იკითხება: „წმიდაო სტეფანე, ქობულ სტრატილატი შეიწყალე“; შუაში, უფლის წინაშე დაჩოქილი სტეფანოს პატრიკიოსის თავს ზემოთ ამოკვეთილია: „[ხატ]ო მაცხოვრისაო, სტეფანოზ ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“; მარჯვნივ, ადარნერსე ვიპატოსისა და მისი ძის, სტეფანოს ქობულის გამოსახულებიან ფილაზე წერია: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადარნერსეს ვიპატოსსა მეოხ ყავ“ და „ქობულ-სტეფანოსი ადარნერსეს ძე“. წარწერიანი ფილები განაწილებულია საკურთხევლის სარკმლების თავზე ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე. ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო

Ktetorial inscriptions made in Asomtavruli on the reliefs of Mtskheta Jvari Monastery. 595-605. The left slab depicts Kobul Stratelates on his knees before St. Stephen. The inscription above Kobul Stratelates' head reads: "Saint Stephen, have mercy upon Kobul Stratelates". The relief in the middle depicts Stephanos Patrikios on his knees before the Lord. The inscription above Stephanos Patrikios' head reads: "Icon of the Savior, have mercy upon Stephanos Patrikios of Kartli". The right relief depicts Adarnese the Hypatos and his son Stephanos Kobul. The inscription on this relief reads: "Saint Archangel Gabriel, protect Adarnese the Hypatos" and "Kobul Stephanos, the son of Adarnese". These reliefs are distributed above the sanctuary windows on the eastern facade of the Monastery. Mtskheta, the ancient capital of Kartli, East Georgia





სტელა ბოლნური ჯვრითა და ასომთავრული წარწერით. იოანე ბოლნელის X ს-ის ეპიტაფია VI ს-ის ქვის სტელაზე. ბოლნისის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Stele with a Bolnisian-type cross and Asomtavruli inscription. The epitaph of Ioane X of Bolnisi on a stone stele belonging to the 6th C. Bolnisi region, Kartli, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ქვის სტელას ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით. VI-VII სს. გარეჯის ლავრის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. საგარეჯოს რ-ნი, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Fragment of a stone stele with Asomtavruli inscription. The 6th-7th CC. St. John the Baptist Monastery, Gareji Lavra. Sagarejo region, Kakheti, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*





ასომთავრული წარწერა მცხეთის ჯვრის ტაძარში აღმართული ჯვრის კვარცხლბეკზე. 595-602 წწ. მოხსენიებულნი არიან ჯვრის ტაძრის მაშენებელი ქართველი დიდებულები: სტეფანოს პატრიკიოსი, დემეტრე ვიპატოსი და ადარნერსე ვიპატოსი. აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს 1938 წ-ს. ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli inscription on a cross pedestal in the interior of Jvari Monastery in Mtskheta, 595-602. Georgian noblemen Stephanos Patrikios, Demetre the Hypatos and Adarnerse the Hypatos, who constructed the church, are mentioned in the inscription which was discovered during the archaeological excavations carried out on the territory of the Monastery in 1938. Mtskheta, the ancient capital of Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



ხანმეტი ლექციონარის მათეს სახარების ასომთავრულით ნაწერი ტექსტი. VII ს. ეტრატი, 18X16 სმ. გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ქ. გრაცი, ავსტრია

Asomtavruli text of the Gospel of Matthew from a Khanmeti lectionary. The 7th C. Parchment, 18X16 cm. Library of Graz University, Graz, Austria



ასომთავრული საქტიტორო წარწერა-საბუთი ქვა-ჯვარზე: „ესე ჯუარი ქრისტესი, მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა, ნოემბერსა იზ, ამენ“. 616-619 წწ. სოფ. წყისი, ადიგენის რ-ნი, სამცხე, სამხრეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Ktetorial document inscribed on a stone cross pillar in Asomtavruli: “I, Kostanti, son of Stepane and Guda, raised this cross on the purchased land in Shahraman, in the name of the cross in Mtskheta to pray for us, our wives and children, Amen“. 616-619. Tskhisi village, Adigeni region, Samtskhe, South Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



სავედრებელი ასომთავრული ლაპიდარული წარწერა: „ქრისტე, თეოდოჲტი შეიწყალე“. VII ს. ქვა ჩატანებულია ეკლესიის IX ს-ის ფასადის წყობაში. სოფ. ხვილიშა, ასპინძის რ-ნი, სამხრეთი საქართველო

Lapidary inscription. “Christ, have mercy upon Theodosius“. Asomtavruli. The 7th C. The stone is a part of the stone facade (9th C.) of a church. Khvilisha village, Aspindza region, South Georgia



წრომის ტაძრის მოზაიკური ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი მაცხოვრის გრაგნილზე: „[მე ვარ] ნათელი, მე ვარ ცხორებაჲ“. 626-634 წწ. შესრულებულია ტაძრის საკურთხევლის კონქში გამოსახულ უფლის დიდების კომპოზიციაში, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს „ქრისტეს ამაღლების“ სცენის ნაწილს. ასლი. სოფ. წრომი, ხაშურის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Fragment of Asomtavruli mosaic inscription from the scroll of the Savior: “I am the light, I am the life“. Tsromi Church, 626-634. The inscription is a part of the Ascension composition depicted in the sanctuary conch. Tsromi village, Khashuri region, Kartli, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ჯვრის ჩასასვენებელი ვერცხლის ჭედური ბუდე წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის რელიეფური გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით: „წმიდაო გრიგოლ საკვირველთმოქმედო, შენდა შევედრებული მჴევალი შენი საჰაკდუხტ დაიცევ ყოვლისაგან ბოროტისა“. VIII ს. მოოქრული ვერცხლი. სოფ. ზნაკვა, რაჭა, დასავლეთი საქართველო. *ქუთაისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი*

Chased silver cross reliquary with an embossed image of Grigol the Divine and Asomtavruli inscription: “Saint Grigol the Miracle-Worker, protect the servant Sahakdukht from all evil“. The 8th C. Silver gilt. Znakva village, Racha, West Georgia. *Kutaisi State Historical Museum*



ჯვრის კვარცხლბეკი ვეჟან ატენელი მამასახლისის ასომთავრულით შესრულებული მოსახსენებლით. VIII ს. 46X41X20 სმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ატენის ხეობა, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Cross pedestal with a prayer in commemoration of Vezhan the Mamasakhlisi of Ateni. Asomtavruli. The 8th C. 46X41X20 cm. Church of John the Baptist, Ateni gorge, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*





ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწერა წმ. გიორგის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე: „მავრიკ მ(ა)შ(ენებე)ლი“. IX ს. სოფ. უბისა, ხარაგაულის რ-ნი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო

Single-line Nuskhuri inscription on the eastern facade of the Church of Saint George: “Mavrik the builder“ The 9th C. Ubisa village, Kharagauli region, Imereti, West Georgia



ნუსხური წარწერა ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის სარკმელზედა ქვაზე. IX ს. სოფ. უბისა, ხარაგაულის რ-ნი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო

Nuskhuri inscription on a stone above the window in the eastern facade of the church. The 9th C. Ubisa village, Kharagauli region, Imereti, West Georgia



ასომთავრული ლაპიდარული წარწერა დოლისყანის ტაძრის (830-840 წწ.) სამხრეთი მკლავის სარკმლისზედა ფილებზე. იხსენიება სუმბატ მეფე, ზეობის წლები 954-958. ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli lapidary inscription on the overwindow plates of the southern transept, of Doliskana Church (830-840). King Sumbat (954-958) is mentioned in the inscription. Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)



ასომთავრული ფრესკული წარწერა ატენის სიონში ბუღა თურქის შემოსევის შესახებ. 853 წ. ტექსტი ნაწერია ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე ყვითელი ოქროს საღებავით. გამოჩნდა XI ს-ის მხატვრობის ფენის ჩამოშლის შედეგად. სოფ. ატენი, გორის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Asomtavruli fresco inscription about the invasion of Bugha al-Kabir (Bugha the Turk). The eastern wall of the southern transept of Ateni Sioni Church. Asomtavruli. 853. Yellow gold paint. The inscription appeared when the painting layer belonging to the 11th century decomposed. Ateni village, Gori region, Kartli, East Georgia

ასომთავრული წარწერა მარტვილის ტაძრის სანაწილე ჯვრის ზურგზე. IX ს. მარტვილი, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli inscription on the reverse of reliquary cross of Martvili CathedralMartvili, Samegrelo, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



→

კორიდეთის ბერძნულენოვანი ოთხთავი. IX ს. ეტრატი. ხელნაწერის გვერდზე მიწერილია სამი ქართული ტექსტი. ცენტრალური ნაწილი ნუსხურითაა ნაწერი XI ს-ში. გვერდის მარცხენა კუთხეში მხედრული მინაწერი იხსენიებს ერისთავთერისთავ ბეშქენს და XVI ს-ს მიეკუთვნება, ხოლო XI ს-ის მხედრული მინაწერი ამოჭრილი ნაწილის მარჯვნივ გვამცნობს ვინმე მურვანის მიერ კორიდეთის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის პარტახტის შეწირვის შესახებ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Korideti Greek Gospel. Parchment. The 9th C. There are three additional Georgian inscriptions on one of the pages of the manuscript. The central part of the Georgian text is written in Nuskhuri in the 11th C. Beshken the Eristavi of Eristavis is mentioned in the second Georgian inscription made in the left corner of the manuscript in the 16th C. The third inscription (the 11th C.) made in Mkhedruli on the right of the cut-out part of the page tells about a certain Murvan, who endowed some devastated land to Korideti Mother of God Church. *The National Center of Manuscripts*





საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერები პარხლის ეკლესიის შუა ნავის სამხრეთ კედელზე. X ს. მოხსენიებულნი არიან პირები, ვინც იღვაწა ტაძრის შესამკობად. პარხალი, ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli inscriptions made in paint on the southern wall of the middle pace of Parkhali Church. The 10th C. The names of those who contributed to the decoration of the Church are mentioned in the inscriptions. Parkhali, Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)



ასომთავრული სავედრებელი წარწერა ოშკის ტაძრის აღმოსავლეთი აფსიდის სარკმლის თავზე: „ქრისტე ძეო ღვთისაო, ადიდენ მეფენი ჩუენნი, მონანი შენნი, ბაგრატ და დავით, ორსავე ცხორებასა, წმიდაო ნათლის მცემელო, მეოხ და მფარველ ეყავ აზნაურნი და მსახურნი, დაიცვენ მამაჲ მიქაელ და მამაჲ იოვანე და გრიგოლ ყოვლისა ბოროტისაგან“. X ს. ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Prayer inscribed in Asomtavruli above the window of the eastern apse of Oshki Church: “Christ, Son of God, exalt in this and in the next life our kings Bagrat and Davit who are your servants. O St. (John) the Baptist, protect the nobles and serfs, protect Fathers Michael, Ioane and Grigol from all evil”. The 10th C. Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)



საღებავით შესრულებული ასომთავრული საქტიტორო წარწერა ოშკის ტაძრის სამხრეთი კარის წირთხლზე. X ს. ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli ktetorial text inscribed in paint on the jamb of the southern door of Oshki Church. The 10th C. Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)



სამშენებლო ასომთავრული წარწერა ოშკის ტაძრის სამხრეთი კარის ტიმპანზე. 963-966 წწ. ხსენებული არიან ტაძრის ქტიტორნი – დავით კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთერისთავი და მშენებლობის ხელმძღვანელი, გრიგოლი; მოცემულია მშენებლობაში მონაწილე ხელოსანთა და სამშენებლო მასალის ოდენობა, ყოველწლიური ხარჯები და ა. შ. ოშკი, ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli construction inscription on the tympanum of the southern door of Oshki Church. 963-966. Ktetors, Davit Curopalate, Bagrat the Eristavi of Eristavis and Grigol, who supervised the construction of the church, are mentioned in the inscription. The inscription also informs about the number of the masters who took part in the construction works, the amount of building materials, annual expenditures. etc. Oshki, Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)





სტილიზებული ასომთავრული წარწერა ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე. X-XI სს. ზემო ვარძია, ასპინძის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Stylized Asomtavruli inscription above the western door of a church. The 10th -11th CC. Zemo Vardzia, Aspindza region, Samtskhe-Javakheti, South Georgia



ანტეფიქსი რელიეფური, დაქარაგმებული ასომთავრული წარწერით: „ქრისტე შეიწყალე მამასახლისი“. ადრეული შუასაუკუნეები. სოფ. ბოსლები, შავშეთის მხარე, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Antefix with a relief diacritic inscription: “Christ, have mercy upon Mamasakhlisi”. Asomtavruli. The early Middle Ages. Boslebi village, territory of Shavsheti, historic South Georgia (territory of Turkey). *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა ანტეფიქსზე. ადრეული შუასაუკუნეები. სოფ. ვაჩნაძიანი, გურჯაანის რ-ნი, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Diacritic Asomtavruli inscription on an antefix. The early Middle Ages. Vachnadziani village, Gurjaani region, Kakheti, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*

მოსახსენებელი ასომთავრული წარწერა ქვის სტელაზე: „[ქრისტ]ე, ექმენ [მეოხ წინაშე] ღმრთისა ცოდვილთა: განუსუენე სულსა გაბრიელისა, ბაკურდუხტისა, მიქაელისა, გუარამავრისა; სულსა სტეფაბესი და გიორგისა ხარასძისა“. X ს. სოფ. ქვემო ჭარები, ცხინვალის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli commemoration inscription on a stone stele. “O Christ, protect sinners before the God: rest the souls of Gabriel, Bakurdukht, Michael, Guaramavri, the souls of Stepabe and Giorgi Kharasdze”. The 10th C. Kvemo Charebi village, Tskhinvali region, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*





იოვანე ეპისკოპოსის რელიეფური ასომთავრული წარწერა კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი, ამისი მაშენებელი, დღესა მას“. 964 წ. სოფ. კუმურდო, ახალქალაქის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Bishop Iovane’s relief Asomtavruli inscription on the eastern wall of Kumurdo Church: “Oh Christ, on the day of Doom, have mercy upon Iovane the Bishop who constructed this”. 964. Kumurdo village, Akhalkalaki region, Samtskhe-Javakheti, South Georgia



ორი რელიეფური, ასომთავრული წარწერა ურბნისის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე. X ს. პირველი წარწერა მოთავსებულია ერთ ფილაზე და იხსენიებს ქტიტორებს ქავთასს, შუშანსა და მათ შვილებს; მეორე – მოთავსებულია ორ ფილაზე, რომელთაგან მარჯვენა კედლის წყობაში თავდაღმაა ჩასმული. ამ უკანასკნელში ნახსენებია თეოდორე ეპისკოპოსი თანაშემწევნელებით და მწერალი აბიათარი. სოფ. ურბნისი, ქარელის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Two relief inscriptions made in Asomtavruli on the eastern facade of Urbnisi Sioni Church. The 10th C. The first inscription, in which ktetors Kavtas, Shushan and their children are mentioned, is given within a single slab. The second inscription is made on two slabs. The right slab is embedded upside down into the blockwork. Bishop Teodore, those who assisted him and Abiatar who made the inscription, are mentioned in the second text. Urbnisi, Kareli region, Kartli, East Georgia





ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი საქტიტორო ასომთავრული წარწერებით. 994-1001 წწ. მოხსენიებულია ბაგრატ III, მისი მამა მეფეთმეფე გურგენი და ჯვრის გამკეთებელი ოსტატი გაბრიელ საფარელი. მოოქრული ვერცხლი, 52,5X44,5 სმ. საფარის მონასტერი, სამცხე, სამხრეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli ktetorial inscriptions on the processional cross from Breti. 994-1101. Bagrat III and his father Gurgen the King of Kings and Gabriel of Sapara, the artist who made the cross, are mentioned in the inscriptions. 52,5X44,5 cm. Silver gilt. Sapara Monastery, Samtskhe, South Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*

დიოკლეტიანეს მლახვრელი წმ. გიორგის ხატის ფრაგმენტი, წმინდანის თავთან ასომთავრული წარწერებით: „წ(მიდა) ჲ გ(იორგ)ი ს(ე)ტ(ისა)ჲ“ (მარცხნივ) და „წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი (მარჯვნივ). X-XI სს. ხე, მოოქრული ვერცხლი, ვერცხლი. 64X53X3 სმ. სეტის წმ. გიორგის ეკლესია, მესტიის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Fragment of the Icon of St. George spearing a fallen figure of Diocletian. Asomtavruli inscriptions made at the head of the Saint read: “Saint George of Seti“ (on the left) and “Saint George“ (on the right). The 10th -11th CC. Wood, silver gilt, silver. 64X53X3 cm. Seti St. George Church, Mestia community, Svaneti, West Georgia





ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდინარე ბესლეთზე აგებულ „თამარის ხიდზე“. XI ს. თამარ მეფისადმი დიდი სიყვარულის დასტურად მოგვიანებით ხალხმა ამ ხიდს „თამარის ხიდი“ უწოდა. სოფ. ბესლეთის მიდამოები, სოხუმის რ-ნი, აფხაზეთი, დასავლეთი საქართველო

Single-line Asomtavruli inscription on Queen Tamar Bridge over the Besleti River. The 11 C. As a token of great respect for Queen Tamar, the bridge was later named after her. The vicinity of Besleti village, Sukhumi region, Abkhazia, East Georgia



მარკოზის სახარების ასომთავრული ტექსტი, რომელიც თავიდან ერთ ფურცელზე ყოფილა ნაწერი, მოგვიანებით კი ორად გაუყვიათ და წიგნის ყდაზე დაუკრავთ. X ს. ეტრატი, 14,5X11,5 სმ. მხითარით კალატოზიშვილის არქივი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Text from the Gospel of Mark written in Asomtavruli. The 10th C. Initially, the text was written on a single sheet. Later it was divided into two parts and attached to a book cover. 14,5X11,5 cm. Mkhitarit Kalatozishvili's archive. *The National Center of Manuscripts*



ძველი, ათონამდელი ფსალმუნთა კრებულის, „დავითნის“ ფრაგმენტი. X ს. ნაწერია ასომთავრულით. ეტრატი, 21X14,5 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Ancient, pre-Athosian version of the Psalms. The 10th C. Asomtavruli. Parchment, 21X14,5 cm. *The National Center of Manuscripts*



„იოანე ოქროპირის ცხოვრება“. 968 წ. ასომთავრულითა და ნუსხურით ნაწერი ტექსტი. ხელნაწერის დამკვეთია მიქაელ ხუცესი ფანასკერტელი; დამწერი - ივანე საფარელი. ეტრატი, 15X12,5. შეიქმნა ხარიტონ წმინდას (პალავრის) მონასტერში. პალესტინა. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

“The Life of John Chrysostom” written in Asomtavruli and Nuskhuri. 968. The manuscript was commissioned by Mikael Panaskerteli (a cleric) and written by Ivane of Sapara at St. Khariton (Palavra) Monastery, Palestine. Parchment, 15X12,5. *The National Center of Manuscripts*



მხედრული ტექსტი პალიმფსესტის ფენაზე. X ს. სინური ხელნაწერის ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Mkhedruli text inscribed on a palimpsest layer. The 10th C. Copy of a manuscript from Mount Sinai. *The National Center of Manuscripts*



ასომთავრული წარწერა ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე. 1060-1072 წწ. წარწერა მოგვითხრობს ქალაქის მშენებლობის შესახებ ატენში, რაც განხორციელებულა მეფეთმეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით, მისი გამზრდელი მირიანისა და ყმის, თარხუნის ძე გურგანელის მიერ. ტექსტში აგრეთვე ნახსენებია მეფე ბაგრატის ძე, გიორგი კურაპალატი, ახლად აშენებული ქალაქის ატენის სიონისთვის შეწირვისა და მირიანის სულის მოსახსენიებელი აღაპის წმ. თევდორეს ხსენების დღეს დაწესების ამბავი. სოფ. ატენი, გორის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription on the southern facade of Ateni Sioni Church. 1060-1072. The inscription gives data about the construction of a town in Ateni according to the order of Bagrat IV the King of Kings by Mirian, the King's teacher, and a cerf Gurganeli, the son of Tarkhun. Giorgi Curopalate, son of King Bagrat is also mentioned in the text. Besides, the inscription mentiones donations made to Ateni Sioni Church and the fact that an agape for commemoration of Mirian was set on St. Tevdore's commemoration day. Ateni village, Gori region, Kartli, East Georgia



ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. 1010-1014 წწ. ასომთავრული წარწერა დასავლეთ ფასადზე, „მეორედ მოსვლის“ ბარელიეფის თავზე. სოფ. ნიკორწმინდა, ამბროლაურის რ-ნი, რაჭა, დასავლეთი საქართველო

Nikortsminda Church of St.Nicholas. 1010-1014. Asomtavruli inscription above the bas-relief of Kingdom Come on the western facade of the church. Nikortsminda village, Ambrolauri region, Racha, West Georgia



ასომთავრული რელიეფური წარწერა კაცხის მაცხოვრის ეკლესიაზე: „წმიდაო გიორგი, მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა იოჰაბს და შვილთა მისთა, ამენ“. XI ს. სოფ. კაცხი, ჭიათურის რ-ნი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Relief Asomtavruli inscription on Katskhi Church of the Savior: “Saint George, protect Iohab and his children before the God. Amen“. The 11th C. Katskhi village, Chiatura region, Imereti, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ახალშენის ეკლესიის ფილაზე რელიეფური ასომთავრული წარწერები წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს დალახვრის გამოსახულებით. XI ს. სოფ. ახალშენი, ასპინძის რ-ნი, ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Relief Asomtavruli inscriptions on a church slab depicting St. George spearing Diocletian. The 11th C. Akhalsheni village, Aspindza region, Javakheti, South Georgia



ასომთავრული წარწერა ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის ტაძრის დასავლეთი კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში: „წმიდაო ნიკოლოზ მღვდელთ-მოძღვარო, მეოხ ექმენ წინაშე ღვთისა დედოფალთ-დედოფალსა ევფემიას, ასულსა ყოვლკურთხეულისა ერისთავთერისთავისა რატისა, ამინ“. 1010-1014 წწ. სოფ. ნიკორწმინდა, ამბროლაურის რ-ნი, რაჭა, დასავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription on the southwestern corner of the western gate of Nikortsminda St. Nicholas Church: “Saint Archbishop Nicholas, protect the Queen of Queens Evpemia, the daughter of Rati, blessed Eristavi of Eristavis, before the God. Amen“. 1010-1014. Nikortsminda village, Ambrolauri region, Racha, West Georgia



სვეტიცხოვლის XI ს-ის გუმბათის ყელზე რელიეფური სამშენებლო ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. XVII ს. წარწერის ქვემოთ ჩადგმულია ფილა მშენებელთა გამოსახულებით. ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო

Fragment of a relief Asomtavruli construction inscription on the tholobate (The 11th C.) of Svetitskhoveli made in the 17th C. There is a slab with images of the builders under the inscription. Mtskheta, the ancient capital of Kartli, East Georgia



სვეტიცხოვლის ჩრდილოეთი ფასადის სარკმელსზედა ორ ფილაზე ასომთავრული წარწერა ტაძრის ამშენებლის, არსუკისძის, მოხსენიებით: „[ჴ] ელი მონისა არსუკისძისა, შეუნდეთ“. 1010-1029 წწ. შუაში მოჩანს გორელიეფი ხელისა და გონიოს გამოსახულებით. ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription made on two slabs over the window in the northern facade of Svetitskhoveli Cathedral . The architect of the Cathedral is mentioned in the inscription: “The hand of the servant Arsukisdze, pardon him“. 1010-1029. There is a high relief, which depicts a hand and a bevel square, between the slabs. Mtskheta, the ancient capital of Kartli, East Georgia



მუშალა გოგლეურის ნუსხურით ნაწერი ეპიგრაფიკული საბუთი, „ჴელი“: „ესე ჴელი მე, მუშალა დავწერე გოგლეურმან...“. **XI** ს. სოფ. გომეწარი, დუშეთის რ-ნი, ფშავი, ალმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

“Kheli“ (arm) of Mushala Gogleuri. This epigraphic record is made in Nuskhuri: “I, Mushala Gogleuri wrote this arm...“. The 11th C. Gometsari village, Dusheti region, Pshavi, East Gerorgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*





ასომთავრული წარწერები იშხნის მონასტრის დიდი ტაძრის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანზე. 1014-1027 წწ. იშხანი, ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli inscriptions on the tympanum of the south entrance into the principal church of Ishkhani Monastery. 1014-1027. Ishkhani , Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)



ასომთავრული წარწერები იშხნის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთი შესასვლელისა და გურგენ მეფის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის ტიმპანებზე. XI ს. იშხანი, ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli inscriptions on the tympanums of the principal church of Ishkhani Monastery (south entrans) and the northern door of and the Church of King Gurgen. The 11th C. Ishkhani, Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)



საღებავით შესრულებული მხედრული წარწერა ლიხნის ეკლესიის დასავლეთ კედელზე. XI ს. ნახსენები არიან: პროტოსპათარი და ვიპატოსი ვაჩე, პეტრიკ პატრიკიოსი და ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი. ასლი (ვალერი სილოგავა). სოფ. ლიხნი, გუდაუთის რ-ნი, აფხაზეთი, დასავლეთი საქართველო

Mkhedruli inscription made in paint on the western wall of Likhni Church. The 11th C. Protospatharios and Hypatos Vache, Patrician Petric and Chkondideli-Mtsignobartukhutsesi are mentioned in the inscription. Copy (Valeri Silogava). Likhni village, Gudauta region, Abkhazia, West Georgia

→

ასომთავრული წარწერა ატენის სიონის ფრესკაზე „იოსების სიზმარი“: „ანგელოზი ეტყვის: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი მისგან იშვას, სულისაგან წმიდისა არს“. XI ს. სოფ. ატენი, გორის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription on the Dream of Joseph fresco at Ateni Sioni Church: “The angel says: Joseph son of David, do not be afraid to take Mary home as your wife, because what is conceived in her is from the Holy Spirit”. The 11th C. Ateni village, Gori region, Kartli, East Georgia





ნაკაწრი მხედრული წარწერის ფრაგმენტი წმ. გიორგის ეკლესიის კედელზე. XI ს. ასლი. იფხი, მესტიის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Fragment of Mkhedruli inscription scratched on the wall of the Church of Saint George. The 11th C. Copy. Ipkhi village, Mestia community, Svaneti, West Georgia



ასომთავრული წარწერა იშხნის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი სათავსოს სამხრეთ კედელზე. XI ს. ტაო-კლარჯეთი, ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია)

Asomtavruli inscription on the southern wall of the northeastern additional space of Ishkhani Church. The 11th C. Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey)

→

ასომთავრული წარწერები წმ. სვიმეონ მესვეტის ჭედურ ხატზე: 1. „წმიდაჲ სჳმეონ საკჳრველთა მოქმედი“; 2. „ანტონი ცაგარელი“; 3. „ქრისტე, შეიწყალე ფილიპე ოქრომჭედელი, ამენ“; 4. ანტონ ცაგარელი მოგვითხრობს იშხანში წმ. სვიმეონ მესვეტის სახელობის ეკლესიის აშენებისა და მისი ხატის შექმნის შესახებ. XI ს. მოოქრული ვერცხლი, 35,3X23X2 სმ. სოფ. ლაღამი, მესტიის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli inscriptions on the chased icon of St. Svimeon the Stylite: 1. “Saint Svimeon the Miracle-Worker“; 2. “Antoni Tsagareli“; 3. “Christ, have mercy upon the goldsmith Pilipe“; 4. Anton Tsagareli tells about the construction of the church of St. Svimeon the Stylite and the creation of his icon. The 11th C. Silver gilt, 35,3X23X2 cm. Laghami village, Mestia community, Svaneti, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*





წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს დალახვრის ხატი ასომთავრული წარწერებით. XI ს. მოხსენიებული არიან ქტიტორი მარუშისძე და ოქრომჭედელი არსენ გვაზავაისძე. ხე, მოოქრული ვერცხლი, 50X41 სმ. ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია, იფარის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Icon of St. George Spearing Diocletian with Asomtavruli inscriptions. The 11th C. The ktetor Marushisdze and the goldsmith Arsen Gvazavaisdze are mentioned in the inscriptions made on the icon. Wood, silver gilt, 50X41cm. Nakipari St. George’s Church, Ipari community, Svaneti, West Georgia





წმ. გიორგის „ცხოვრების“ განმარტებითი ასომთავრული წარწერები საკურთხევლის წინ აღსამართ ჯვარზე. XI-XVI სს. ჯვარზე, პირველად ქრისტიანულ ხელოვნებაში, მოცემულია წმ. გიორგის ვნებებისა და სასწაულების ამსახველი სცენები. ხე, მოოქრული ვერცხლი. 127X77 სმ. სეტის წმ. გიორგის ეკლესია, მესტიის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Cross to be erected before the sanctuary, with explanatory Asomtavruli inscriptions about the life of St. George. The 11th-16th CC. Wood, silver guilt. 127X77 cm. In Christian art this is the first cross with the scenes of St. Georges martyrdom and his miracles depicted on it. Seti St. George’s Church, Mestia community, Svaneti, West Georgia



მეფე დავით IV აღმაშენებლის (1073-1125) სპილენძის მონეტა ავერსზე აღმაშენებლის გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით: „დ[ავი]თ მ[ე]ფე“; რევერსზე კი – მედალიონში ჩასმული ჯვრის გამოსახულებითა და მის გარშემო ასომთავრული წარწერით: „დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“. 1124 წ. ლონდონი, *ბრიტანეთის მუზეუმი*

Copper coin of King Davit IV the Builder (1089-1125) with the king's image and Asomtavruli inscription on the obverse: "King Davit". Asomtavruli inscription made around the cross in a medallion on the reverse of the coin reads: "† Davit the King of Abkhazians, Georgians, Rans, Kakhs, Armenians". 1124, London, *British Museum*



მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) ვერცხლის მონეტა ავერსზე ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებითა და ბერძნული წარწერებით, რევერსზე კი – ქართული ასომთავრული წარწერით: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე და სევასტოსი“. 1060-1072 წწ. კერძო კოლექცია

Silver coin of Bagrat IV (1027-1072) with an image of Blachernae Mother of God and Greek inscriptions on the obverse. Asomtavruli inscription on the reverse of the coin reads: "Christ, bless Bagrat, the King of Abkhazians and Sevastos". 1060-1072. A private collection



მაცხოვრის ვერცხლის ხატი ასომთავრული წარწერით. ხატის პირველი ფენა XI-XII სს-ისაა, ხოლო წარწერა XVI-XVII სს-ს ეკუთვნის. სოფ. ჩვაბიანი, მულახის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Silver icon of the Savior with Asomtavruli inscription. The first layer of the icon belongs to the 11th-12th CC. but the inscription itself was made in the 16th-17th CC. Chvabiani village, Mulakhi community, Svaneti, West Georgia



ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი წმ. ანდრია პირველწოდებულის ვერცხლის ჭედურ ხატზე. XI ს. მოხსენიებულია ბულასან იობისძე. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Fragment of Asomtavruli inscription on the chased silver icon of St. Andrew the Protoclete. The 11th C. A certain Bulasan Iobisdze is mentioned in the inscription. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



მეფე გიორგი II-ის ხელრთვა-დამტკიცება შიომღვიმის სიგელზე. 1073 წ. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Signature of King Giorgi II on Shiomghvime Deed. 1073. Copy. *The National Center of Manuscripts*



XI ს-ის მხედრული მინაწერები X ს-ის ხელნაწერზე. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Mkhedruli inscriptions made in the 11th C. on a manuscript belonging to the 10th C. *The National Center of Manuscripts*



XI ს-ის მხედრული მინაწერები X ს-ის ხელნაწერზე. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Mkhedruli inscriptions made in the 11th C. on a manuscript belonging to the 10th C. *The National Center of Manuscripts*



ალავერდის ოთხთავი. 1054 წ. ასომთავრული ხელნაწერი შესრულებულია ყავისფერი მელნით, მოხატულია თავსამკაულებით, კამარებითა და საზედაო ასოებით. გადამწერები – სვიმეონ, გიორგი, იოვანე დვალი; გადაწერის ადგილი – კალიპოსი, შავი მთა ანტიოქიის მახლობლად. ეტრატი, 24X19 სმ. სირია. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Alaverdi Gospel. 1054. Asomtavruli manuscript is written in brown ink and decorated with headpieces, arches and upper case letters. Scribed by Svimeon, Giorgi and Iovane Dvali at Kalipos (Black Mountain near Antioch, Syria). Parchment, 24X19 cm. *The National Center of Manuscripts*



მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) სიგელი, რომელზეც კარგად ჩანს ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლის პროცესი. 1054-1065 წწ. გაცემულია ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო. ეტრატი, 250X28 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Deed granted by King Bagrat IV (1027-1072), which demonstrates the transition from Nuskhuri to Mkhedruli. 1054-1065. The deed was issued with regard to the land dispute between clerics from Opiza and Mijnadzori. Parchment, 250X28 cm. *The National Center of Manuscripts*





ბაგრატ IV-ის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი. 1057 წ. მხედრლი ასოების ასლი გიორგი ქართლის კათალიკოსის ხელრთვიდან შესრულებულია ვალერი სილოგავას მიერ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Deed granted by Bagrat IV to Shiomghvime Monastery. 1057. Mkhedruli letters copied by Valeri Silogava from the signature of Giorgi, Catholicos of Kartli. *The National Center of Manuscripts*



მხედრულით ნაწერი სიგელი, რომლითაც მეფე ბაგრატ IV შიომღვიმის მონასტერს გადასცემს სოფელ ბორცვისჯვარს. 1054 წ. ნაწერია იოანე მწიგნობრის, ხოლო დამტკიცებულია ივანე ლიპარიტის ძის მიერ. მასში მეფე შევედრებულია მონასტრის პატრონს, წმ. შიო მღვიმელსა და მის მოწაფეს წმ. ევაგრეს. ეტრატი, 107X27,5 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Deed issued by Bagrat IV on bestowal of Bortsvisjvari village upon Shiomghvime Monastery. Drawn up by Ioane Mtsignobari in Mkhedruli and witnessed by Ivane son of Liparit. There is a prayer in the text before the patron of the Monastery, St. Shio and his disciple St. Evagre to have mercy upon the King. 1054. Parchment, 107X27,5 cm. *The National Center of Manuscripts*



ელმელიქ ფადლისძის ასომთავრული წარწერა ეკლესიის აშენებისა და მიწის შეწირვის შესახებ. 1189 წ. ასლი. სოფ. ორთაფოშთი, ბოლნისის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Elmelik Padlisdze's Asomtavruli inscription about the construction of a church and the land bestowed upon it. 1189. Copy. Ortaposhi village, Bolnisi region, Kartli, East Georgia



ასომთავრულით შესრულებული ლექსი ციხის მშენებლობის შესახებ: „ავაგე ესე კოშკები, დავდგი ლაგამად მტერთათვის, ყოველგან დასახედავად ყოველთა მრავალფერთათვის...“. 1103 წ. სოფ. ციხისუბანი, ადიგენის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Poem about the construction of a fortress: "I built these towers to hold the enemies, to see everyone at any place...". 1103. Asomtavruli. Tsikhisubani village, Adigeni region, Samtskhe-Javakheti, South Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



გელათის მონასტრის გალავნის კარიბჭეზე დავით აღმაშენებლის საფლავის ასომთავრული წარწერა-ეპიტაფია: „ესე არს განსასუენებელი [ჩ(ე)მი] უკ(უნით)ი უ[კ(უნისამ)დ]ე. ესე მთნავს – აქა დ(ა) ვემკჳდ(რ)ო მე“. 1125 წ. გელათი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო

The gravestone of Davit the Builder in the gate of the wall of Gelati Monastic Compound. 1125. The epitaph inscribed in Asomtavruli reads: “This is my last resting place for ever and ever. It is my will to stay here“. Gelati village , Imereti, West Georgia



ნაკაწრი ასომთავრული წარწერები (გრაფიტები) წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე. XII ს. წილკანი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Scratched Asomtavruli inscriptions (graffiti) on the northen wall of Tsilkani Mother of God Church. The 12th C. Tsilkani, Kartli, East Georgia

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. წმ. დოდო გარეჯელის ტაძრის (დოდოს რქა) კანკელის ფრაგმენტი ასომთავრული საქტიტორო წარწერით. XII-XIII სს. საგარეჯოს რ-ნი, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო

Davit-Gareja Monastic compound. A fragment of the iconostasis of the Church of St. Dodo of Gareji (Dodos Rka/Dodo’s horn), with Asomtavruli ktetorial inscription. The 12th-13th CC. Sagarejo region, Kakheti, East Georgia





იჩქით გურგენისძის ასომთავრული საქტიტორო წარწერა წუნდის ტაძრის სამხრეთ ფასადზე. XII ს. სოფ. წუნდა (ძველი ქალაქი), ასპინძის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Ichkit Gurgenisdze's Asomtavruli ktetorial inscription on the south facade of Tsunda Church. The 12th C. Tsunda village (formerly town), Aspindza region, Samtskhe-Javakheti, South Georgia



ასომთავრული სამშენებლო წარწერა უბისის მონასტრის ეზოში აღმართულ სვეტზე. XII ს. მოხსენიებული არიან დემეტრე I და სვიმეონ ჭყონდიდელი. სოფ. უბისა, ხარაგაულის რ-ნი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო

Asomtavruli construction inscription on a pillar erected in the yard of Ubisa Monastery. The 12th C. Demetre I and Svimeon Chkondideli are mentioned in the inscription. Ubisa village, Kharagauli region, Imereti, West Georgia



ეკლესიის მოდელი ასომთავრული სავედრებელი წარწერით. XII ს-ის II ნახ. მოხსენიებულია ერისთავთერისთავ გამრეკელის ცოლყოფილი, დედოფალთდედოფალი ვანენი. სოფ. ახალდაბა, ბორჯომის რ-ნი, სამხრეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Church model with a pleading inscription in Asomtavruli. The second half of the 12th C. Vaneni, Queen of Queens and the ex-wife of Gamrekeli the Eristavi of Eristavis is mentioned in the inscription. Akhaldaba village, Borjomi region, South Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



საქტიტორო ასომთავრული წარწერა საროს ციხის აშენების შესახებ. 1125-1155 წწ. სოფ. სარო, ასპინძის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli ktetorial inscription about the construction of Saro Fortress. 1125-1155. Saro village, Aspindza region, Samtskhe-Javakheti, South Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



დავით გარეჯის მონასტერი. სალებავით ნაწერი ასომთავრული გრაფემები „Ⴂ-Ⴈ“ („გ-ი“გიორგი). XII ს. საგარეჯოს რ-ნი, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო

Davit-Gareja Monastery. Asomtavruli “Ⴂ-Ⴈ“ (Ⴂ- gan/g/, Ⴈ-in-/i/) graphemes (Giorgi) written in paint. The 12th C. Sagarejo region, Kakheti, East Georgia



ასომთავრული სავედრებელი წარწერა ბეთანიის წმ. გიორგის მცირე ეკლესიის დასავლეთ ფასადზე. 1196 წ. დიდგორის რ-ნი, თბილისის შემოგარენი

Asomtavruli prayer inscribed on the western facade of the smaller Betania Church of St. George. 1196. Didgori region, outskirts of Tbilisi





ასომთავრული საქტიტორო წარწერა ანჩისხატის შიდა მოჩარჩოების აშიაზე. ფრაგმენტი. XII ს-ის მიწურული. მოხსენიებული არიან: თამარ მეფე, იოანე ანჩელი და ბექა ოპიზარი.

Fragment of Asomtavruli ktetorial inscription on the edging of the inner framing of Ancha Icon. The end of the 12th C. Queen Tamar, Ioane Bishop of Ancha and Beka Opizari are mentioned in the inscription.

⟵

ანჩის მაცხოვრის კარედი ხატი. VI-VII, XII, XIV, XVII, XVIII, XIX სს. რელიეფურ წარწერებში მოხსენიებული არიან: თამარ მეფე, იოვანე ანჩელი, ბექა ოპიზარი, სამცხის ათაბაგთა სახლის წევრები, გივი ამილახვარი, დომენტი III კათალიკოსი და სხვ. მოოქრული ვერცხლი, 148X158 სმ. ანჩის მონასტერი, ტაო-კლარჯეთი. ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Ancha Triptych of the Savior. The 6th-7th, 12th, 14th, 17th, 18th and 19th CC. Queen Tamar, Ioane Ancheli, Beka (Opizari), members of the family of the Atabagis of Samtkhe, Givi Amilakhvari, Catholicos Domenti III and others are mentioned in the relief inscriptions made on the icon. Silver gilt, 148X158 sm. Ancha Monastery, Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey). *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი. X, XII სს. ხატი განსაკუთრებით განთქმულია ტიხრული მინანქრის როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ნიმუშებით. კარედის შუა ნაწილი ოქროსია, კარები – მოოქრული ვერცხლისა. 147X202 სმ. გელათი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Khakhuli Mother of God Triptych. The 10th, 12th CC. The triptych is especially famous for the great number of specimens of Georgian and Byzantine plique-a-jour incorporated in it. The central part of the folding icon is made of gold, the side flaps - silver gilt, 147X202 sm. Gelati village, Imereti, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*

→

ხახულის ხატის ასომთავრული წარწერები, რომლებშიც მეფე დავით IV აღმაშენებელი (1073-1125) და მისი ძე, დემეტრე I (1093-1154) მოიხსენიებიან შემწირველებად.

Asomtavruli inscriptions on Khakhuli Triptych, in which King Davit IV the Builder (1089-1125) and his son Demetre I (1093-1154) are mentioned as donators.





სამკარედი ხატის ცენტრალური ნაწილი. **XII-XIII** სს. მცირე ზომის ჩასადგმელი ხატის ზურგზე ასომთავრულით ნაწერ საქტიტორო ტექსტში მოხსენიებული არიან ვინმე ფოლარიანის ცოლი მარიამი და მისი ვაჟი ჩარგალი. ხე, ტემპერა, მოოქრული ვერცხლი, ვერცხლი. 42 X 31 სმ. ლაბსყალდის მთავარანგელოზთა ეკლესია, იფარის თემი, ზემო სვანეთი, დასავლეთი საქართველო

The central part of a triptych. The 12th- 13th CC. Asomtavruli ktetorial text, mentioning the wife of a certain Polariani and his son Chargali, is inscribed on the reverse of an inserted icon. Wood, tempera, silver gilt, silver. 42X31 cm. Labskaldi Archangels' Church, Ipari community, Zemo Svaneti, West Georgia



ბორდოხან დედოფლის სანაწილე ხატი. 1181-1184 წწ. ხატის ზედაპირზე ასომთავრულით შესრულებულ ხუთსტრიქონიან იამბიკოში მოხსენიებულია ბორდოხან დედოფალი, თამარ მეფის დედა. ხატში ჩაბრძანებული იყო გოლგოთის ჯვრისა და წმინდანთა ნაწილები. ხე, ტემპერა, მოოქრული ვერცხლი. 47X39 სმ. ინახებოდა ხობის მონასტერში. *ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*

The reliquary icon of Queen Bordokhan in which particles of the Cross of Golgotha and relics of different saints were kept. 1181-1184. An iambic verse mentioning Queen Bordokhan, the mother of Queen Tamar, is inscribed in Asomtavruli on the surface of the icon. Wood, tempera, silver gilt. 47X39 cm. Formerly preserved at Khobi Monastery. *Zugdidi State Museum of History and Ethnography*



თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის ზურგზე მოსევადებული ასომთავრული წარწერა: „ძელო ჭეშმ(ა)რიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინძღომითა ყოლ(ა)დვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“. 1184-1207 წწ. ოქრო, ძვირფასი ქვები (ლალი, მარგალიტი, ზურმუხტი), 7X4 სმ. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Nielloed Asomtavuli inscription on the reverse of Queen Tamar’s cross pendant: “Pillar of the Truth, power of the cross, lead, save and protect the King and Queen Tamar“. 1124-1207. Gold, precious stones (rubies, pearls, emeralds), 7X4 cm. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ასომთავრული წარწერა წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხევლის წინამდებარე ვერცხლის ჯვარზე: „მოწამეთა შორის ღვაწლისა მძლევ, დიდო მთავარმოწამეო, წმიდაო გიორგი სუფისავ, მეოხ და მფარველ ექმენ ორითავე შინა ცხორებითა მამკობთა შენთა და მადიდებელთა შენთა ხევთა მაილელითა, ამენ“. XII-XIII სს. სოფ. სუფი, იფარის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription on a silver cross erected in front of the sanctuary of the Church of St. George. “Great Martyr, Saint George of Supi, help and protect in both lives people from Maileli gorge, who donate to you and worship you, amen“. The 12th-13th CC. Supi village, Supi St. George’s Church, Ipari community, Svaneti, West Georgia



მეფე გიორგი III-ის (1156-1184) სპილენძის მონეტა მეფისა და მიმინოს გამოსახულებით. 1174 წ. მარცხნივ ასომთავრული წარწერაა, მარჯვნივ – მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი პირველი ნიმუში, „განი“-სა და „ინი“-ს ქარაგმა (გი), იკითხება, როგორც „გიორგი“. კერძო კოლექცია

Copper coin of King Giorgi III (1156-1184), on which the King is depicted together with a hawk on his hand. 1174. The inscription made on the left of the image is made in Asomtavruli and the inscription on its right represents one of the early examples of Mkhedruli, where the diacritic “გი“ (“გ“ gan, /g/ and “ი“ in, /i/) read as “Giorgi“. A private collection



თამარ მეფის (1184-1212) ე. წ. თამარ-დავითის სპილენძის მონეტა. 1200 წ. ბაგრატიონთა საგვარეულო დამღის გარშემო ასომთავრული ქარაგმებია: ქვედა კუთხეში, მარცხნივ – ასომთავრული „ႧႰ“ („თრ” თამარ), მარჯვნივ – „ႣႧ“ („დთ” დავით). კერძო კოლექცია

Copper coin of Queen Tamar (1184-1212), the so-called coin of Tamar and Davit. 1200. There are Asomtavruli diacritics around the family seal of the Bagrationis. “Ⴇ“ (tan, /t/) and “Ⴐ“ (rae, /r/)-Tamar, the bottom left corner of the seal; “Ⴃ“ (don, /d/) and “Ⴇ“ (tan, /t/)-Davit, the bottom right corner. A private collection



ბედიის ოქროს ბარძიმი პირის რკალზე ასომთავრული წარწერით. X ს. მოხსენიებული არიან აფხაზთა მეფე ბაგრატი და დედოფალი გურანდუხტ. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Bedia golden chalice with Asomtavruli inscription made around its brim, in which Bagrat the King of Abkhazians and Queen Gurandukht are mentioned. The 10th C. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ბერთის სახარების ჭედური ყდის ზურგი. XII ს. ოქრომჭედელი – ბეშქენ ოპიზარი. ქვედა ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული არიან ქტიტორები ოქროპირი და დემეტრე და ოქრომჭედელი ბეშქენ ოპიზარი. მოოქრული ვერცხლი, 23X17 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Reverse of the chased cover of Berti Gospel. The 12thC. The goldsmith - Beshken Opizari. Ktetors Okropiri and Demetre as well as the goldsmith Beka Opizari are mentioned in the lower Asomtavruli inscription. Silver gilt, 23X17 cm. *The National Center of Manuscripts*



მეფე დავით IV აღმაშენებლის ხელრთვა-დამტკიცება შიომღვიმის ანდერძზე, შესრულებულია მხედრულით. 1124 წ. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Davit IV the Builder's approval and signature to legalize the Testament of Shiomghvme. Mkhedruli. 1124. Copy. *The National Center of Manuscripts*



თამარ მეფის ხელრთვა-დამტკიცება მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარ ჭიაბერის სიგელზე შიომღვიმისადმი. შესრულებულია მხედრულით. 1189 წ. ეტრატი. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Queen Tamar's approval and signature to legalize the deed drawn up by the Mandaturtukhutsesi (Prime- Minister) and the Amirspasalari (Commander-in-Chief) Chiaberi with regard to Shiomghvime. Mkhedruli. 1189. Parchment. Copy. *The National Center of Manuscripts*



მეფე დავით IV აღმაშენებლის მინაწერი სინას მთის ხელნაწერზე, შესრულებული მხედრულით. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Note made by Davit IV the builder in Mkhedruli on one of the a manuscripts from Mount Sinai. Copy. *The National Center of Manuscripts*



დავით სოსლანის ხელრთვა-დამტკიცება შიომღვიმის სხალტბურ სიგელზე, შესრულებულია მხედრულით.1196 წ. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Davit Soslan's approval and signature to legalize Skhaltba deed for Shiomghvime. Mkhedruli. 1196. Copy. *The National Center of Manuscripts*



თამარ მეფის მხედრული ხელრთვა-დამტკიცება თავისსავე სიგელზე შიომღვიმისადმი: „მტკიცე ყოს ღ(მერთმა)ნ შეუცვალებლად“. 1195 წ. ეტრატი. ასლი. დედანი დაიწვა 1919 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Queen Tamar’s approval and signature to legalize the deed granted by her to Shiomghvime. “Let God it be settled and unchanged“. Mkhedruli. 1195. Parchment. Copy. The original document burnt in North Caucasus in 1919. *The National Center of Manuscripts*



მეფე გიორგი III-ის მწიგნობარ დანგა ბრუტაისძის მხედრულით ნაწერი სიგელი მეფის ხელრთვა-დამტკიცებით: „მტკიცე არს ნებითა ღმრთისაჲთა“. 1170 წ. ეტრატი. 250X22,6 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Deed written in Mkhedruli by Danga Brutaisdze, the scribe of King Giorgi III, with the Kings approval and signature affixed to it. The text of the King’s approval reads: “Written herein is true by the will of God“. 1170. Parchment, 250X22,6 cm. *The National Center of Manuscripts*



საზედაო ასომთავრული ასოები გელათის ოთხთავიდან. XII ს. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Asomtavruli upper case letters from Gelati Gospel. The 12th C. *The National Center of Manuscripts*



ტბეთის ოთხთავი. XII-XIII სს. ნაწერი ნუსხურით, გაფორმებული ასომთავრულით და შემკული მინიატურებით. სათაურები შესრულებულია სინგურით, ტექსტის მცირედი ნაწილი და საზედაო ასოები – ოქრომელნითა და ფერადებით. წიგნის კიდეები მოტვიფრულ-მოოქრულია. ხელნაწერი 1921 წ-ს გატანილ იქნა პარიზში, საიდანაც 1945 წ-ს დააბრუნა ექვთიმე თაყაიშვილმა. ეტრატი, 23X18 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Tbeti Gospel scribed in Nuskha- Khutsuri and decorated with Asomtavruli letters and miniatures. The 12th-13th CC. The headings are written in cinnabar, a insignificant part of the text and upper case letters are written in gold ink. The edges are stamped and gilded. In 1921, the manuscript was taken to Paris and was brought back to Georgia by Ekvtime Takaishvili in 1945. Parchment, 23X18 cm.*The National Center of Manuscripts*

→

X ს-ის მცხეთის ფსალმუნებში ჩაკრული ტყავის ფურცელი ჯვრის გამოსახულებითა და ნუსხური და მხედრული წარწერებით. XII ს. 19,8X10 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Sheet of leather, with a cross image and Nuskhuri and Mkhedruli inscriptions, pasted into Mtskheta Psalms bonging to the 10th C. The 12th C. 19,8X10 cm. *The National Center of Manuscripts*







ჯრუჭის მეორე ოთხთავი. XII ს. ნაწერია ნუსხურით, შემკულია ასომთავრული საზედაო ასოებითა და 340 მინიატურით. გადამწერი და ერთ-ერთი მომხატველია – ვინმე მიქაელი. თბილისში ჩამოტანილია ჯრუჭის მონასტრიდან (იმერეთი) ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1919 წ-ს. ეტრატი, 24,5X18,6 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

The Second Gospel of Jrucha. The 12th C. Scribed in Nuskhuri, decorated with Asomtavruli upper case letters and 340 miniatures. Scribed by a certain Mikael was also one of the painters who worked on the manuscript. Ekvtime Takaishvili brought The Second Gospel of Jrucha from Jrucha Monastery (Imereti) to Tbilisi in 1919. Parchment, 24,5X18,6 cm. *The National Center of Manuscripts*



რუსუდან მეფის (1223-1245) დროინდელი ლაპიდარული ასომთავრული წარწერა-საბუთი კავთელი გლეხების სასოფლო-სამეურნეო სამსახურისგან გათავისუფლების შესახებ. სოფ. დიდი თონეთი, დმანისის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli lapidary inscription made during the reign of Queen Rusudan (1223-1245) about the peasants from Kavta village to be freed from farming. Didi Toneti village, Dmanisi region, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



დავით ულუს ქვაში ნაკვეთი ასომთავრული წარწერა-საბუთი („ხელი“): „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თჳთმპყრობელი მეფეთა მეფე დავით“.1259-1270 წწ. ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Davit Ulu’s “Kheli“ (arm) engraved in Asomtavruli: “God bless and strengthen Davit the King of Kings, the Ruler of all eastern and western countries“. 1259-1270. Akhalkalaki, Samtskhe-Javakheti, South Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



ლაპიდარული საქტიტორო ასომთავრული წარწერა ვინმე სამინამის მიერ ტაძრის აგების შესახებ. 1203 წ. მოხსენიებული არიან მეფე დავითი და ხელმწიფე ყაზანი (ყაზან-ხანი). წმ. მარინეს ეკლესია ნაქალაქარის ტერიტორიაზე, თმოგვი, ასპინძის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli lapidary ktetorial inscription about the construction of a church by a certain Saminami. 1203. King Davit and Ruler Kazan (Kazan Khan) are mentioned in the inscription. St. Marine Church on the territory of an ancient settlement, Tmogvi village, Aspindza region, Samtskhe-Javakheti, South Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*





ასომთავრული წარწერა სეფისკვერის საბეჭდავზე. XIIIს. თრიალეთი, სოფელი გუნია - ყალა, წალკის რ-ნი, ქვემო ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavrurli inscription on the Sefiskveri (communion bread) seal. The XIII century. Trialeti, Gunia-Kala village, Tsalka district, Kvemo Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (National Museum of Georgia)*



ქავთარ ქაჯიფაისძე ამირეჯიბის ასომთავრული წარწერა ფიტარეთის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის შიდა კედელზე ქალაქების – ტანძიისა და თევდორეწმიდის – ყიდვისა და ტაძრისადმი შეწირვის შესახებ.1213 -1222 წწ. ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი, თეთრიწყაროს რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription of Kavtar Kajipaisdze about the purchase and donation of the towns of Tandzia and Tevdoretsmida to the Mother of God Church, engraved on the inner wall of the southern gate of Pitareti Mother of God Monastic Compound. 1213- 1222. Pitareti Monastic Compound, Tetritskharo region, Kartli, East Georgia



ლაშა-გიორგის „ხელი“ – ქვაში ნაკვეთი საბუთი ხელის გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით. 1202-1207 წწ. მოხსენიებული არიან: თამარ მეფე, გიორგი ჭყონდიდელი, ზაქარია (მხარგრძელი), შალვა ახალციხელი და ხელის დამდგმელი ინა სანობას ძე. გუნია-ყალა, თეთრიწყაროს რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Lasha-Giori’s “Kheli“ (arm) with an an engraved kheli document and Asomtavruli inscription. 1202-1207. Queen Tamar, Giorgi Chkondideli, Zakaria (Mkhargrdzeli), Shalva Akhaltsikheli and a certain Ina, son of Sanoba, who erected the Kheli, are mentioned in the inscription. Gunia-Kala village, Tetritskharo region, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



სამი ასომთავრული წარწერა-საბუთი საფარის წმ. საბას მონასტრის დასავლეთი კარიბჭის არქიტრავზე, რომელიც მოწმობს მონასტრისადმი იოანე ღვთისშვილის მიერ მამულის შეწირვას. XIII ს-ის 80-იანი წლები. ახალციხის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Three Asomtavruli inscriptions on the epistyle of the western gate of Sapara St. Saba Monastery about donation of land to the monastery by Ioane Son of God. The 80s of the 13th C. Akhaltsikhe region, Samtskhe-Javakheti, South Georgia



მონაზონ მარიამ ხათუნად-ყოფილის საქტიტორო ასომთავრული წარწერა ქსნის არმაზის ეკლესიის დასავლეთი კარიბჭის ტიმპანზე. 1250-1282 წწ. მოხსენიებულია ქართლის კათალიკოსი ნიკოლოზი. არმაზის ხეობა, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Asomtavruli ktetorial inscription of Nun Mariam (Mary), Khatun in secular life, on the tympanum of the western gate of Ksani Armazi Church. 1250-1282. Nikoloz, Catholicos of Kartli, is mentioned in the inscription. Armazi Gorge, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



ქვის ფილაზე ამოკვეთილი მხედრული სამშენებლო წარწერა. XIII ს. ფილა ჩასმულია ცაიშის მონასტრის სამრეკლოს სამხრეთ კედელში. ასლი. ზუგდიდის რ-ნი, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო

Mkhedruli construction inscription engraved on a stone slab embedded in the southern wall of the bell tower of Tsaishi Monastery. The 13th C. Copy. Zugdidi region, Samegrelo, West Georgia



ღრმად ნაკაწრი ასომთავრული წარწერა მარტვილის ტაძრის კედელზე. XIV-XV სს. ასლი. მარტვილის რ-ნი, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო

Deep scraped Asomtavruli inscription on one of the walls of Martvili Church. The 14th-15th CC. Copy. Martvili region, Samegrelo, West Georgia

პილიგრიმთა ნაკაწრი მხედრული წარწერა მარტვილის ტაძრის კედელზე. XII-XIII სს. სამსტრიქონიან წარწერაში მოხსენიებული არიან ბასილი და ელია. მის ქვემოთ, ასომთავრულ ასოში „Ⴃ“ (დონ) ჩაწერილია ნუსხური ტექსტი. ასლი. მარტვილის რ-ნი, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო

Mkhedruli inscription scraped by pilgrims on one of the walls of Martvili Church. The 12th-13th CC. Certain Basili and Elia are mentioned in the three-line inscription beneath which Nuskhuri text is included into Asomtavruli letter “Ⴃ“ (don/d/). Copy. Martvili region, Samegrelo, West Georgia





ნაკაწრი მხედრული წარწერა მარტვილის ტაძრის კედელზე. XIV ს. წარწერის ქვემოთ ჩანს ნუსხური წარწერის პირველი ასო –„ⴗ” (ქანი). ასლი. მარტვილის რ-ნი, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო

Scraped Mkhedurli inscription on one of the walls of Martvili Church. The 14th C. The first letter of Nuskhuri inscription “ⴗ” (qan, /q/) can be seen under the principal lines. Copy. Martvili region, Samegrelo, West Georgia



განმარტებითი ასომთავრული წარწერები ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ფრესკაზე, რომელზეც გამოსახული არიან გიორგი III, თამარ მეფე და მისი თანამესაყდრე ლაშა-გიორგი. 1204-1207 წწ. ბეთანია, თბილისის შემოგარენი

Explanatory Asomtavruli inscriptions of the fresco on the northern wall of Betania Church, on which King Giorgi III, Queen Tamar and her Joint Ruler Lasha- Giorgi are depicted. 1204-1207. Betania Mother of God Church. Outskirts of Tbilisi



ღვთისმშობლის კარედი ხატის ზურგი ასომთავრული წარწერით: „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ გუექმენ წინაშე ძისა შენისა, მოსავთა შენთა, დავითს და მეუღლესა ჩემსა გუნცასა, ამენ“. XIII ს. ხე, ტემპერა, მოოქრული ვერცხლი. მხატვრობა არ არის შემორჩენილი. იფარის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Reverse of the Mother of God triptych with Asomtavruli inscription: “O, Most Holy Mother of God, protect us, your worshipers Davit and my wife Guntsa, before your son, amen“. The 13th C. Wood, tempera, silver gilt. The painting has not been preserved. Ipari community, Svaneti, West Georgia

წმ. ნიკოლოზის ვერცხლის ხატის ზურგი ასომთავრული წარწერით: „წმიდაო მღდელთმოძღუარო ნიკოლოზ, მეოხ გუექმენ წინაშე ქრისტესა მოსავთა შენთა ახალასა და მისთა შვილთა ჩხეტსა და დარჩის და შვილთა [მათთა]“. XIII-XIV სს. სოფელი სვიფი, იფარის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Reverse of St. Nicholas’ silver icon with Asomtavruli inscription: “Saint Archbishop Nicholas, protects us, your worshipers, Akhala and his sons, Chkheti and Darchi, and their children, before Christ“. The 13th-14th CC. Svipi village, Ipari community, Svaneti, West Georgia





ერთიანი სვანეთის დროშის – „ლემის“ (ლომის) ბუნიკი. XIII ს. ვერცხლის პირი და ზურგი წმინდანთა გამოსახულებებით, განმარტებითი ასომთავრული წარწერებითა და დიდი მონასტრის წინამძღვრის, გრიგოლ კოპაძის საქტიტორო წარწერით. სეტის წმ. გიორგის ეკლესია, მესტიის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო. *სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*

Obverse and reverse sides of the spearhead of the unified Lemi (lion) Svaneti stardard with images of saints, explanatory Asomtavruli inscriptions and a ktetorial inscription of the Great Father Superior Grigol Kopadze of the Great Monastery. The 13th C. Seti St. George’s Church, Mestia community, Svaneti, West Georgia. *Svaneti Museum of History and Ethnography*



ე. წ. თამარ-გიორგის სპილენძის მონეტა ორივე მხარეს ხვეული ორნამენტებითა და დაქარაგმებული ასომთავრული წარწერებით. XIII ს. მონეტა ერთ-ერთი გამონაკლისია ქართულ ნუმიზმატიკაში, რადგან წარწერები შესრულებულია მხოლოდ ერთ, ქართულ ენაზე. კერძო კოლექცია

So-called Tamar and Giorgi’s copper coin with curved ornaments and Asomtavruli diacritics. The 13th C. The coin is exceptional in Georgian numismatics because the inscriptions are made in Georgian alone. A private collection





რუსუდან მეფის (1194-1245) ვერცხლის დირჰემი. 1227 წ. პირველი ქართული მონეტა, რომელზეც გამოსახულია მაცხოვარი. გარშემო ასომთავრული წარწერაა: „სახელითა ღვთისათა“, ზურგის მხარეს დაქარაგმებულია მეფის სახელი „რსნ“ (რუსუდან). კერძო კოლექცია

Queen Rusudan’s (1194-1245) silver dirham, the first Georgian coin with the Savior’s image. 1227. Asomtavruli inscription around the image reads: “In the name of God...” There is a diacritic of Queen Rusudan “რსნ” (რ-rae/r/, ს-san/s/, ნ-nar/n/) on the adverse of the coin. A private collection

ღვთისმშობლის ხატის ფრაგმენტი ალავერდის წმ. გიორგის მონასტრიდან. XIII ს. ასომთავრულ ჭედურ წარწერაში მოხსენიებული არიან: ქტიტორი მურვან სანანოისძე, მისი შვილი ბექა და მეუღლე რუსუდანი. შესრულებულია ოქროს ფირფიტაზე. ალავერდი, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Fragment of the Mother of God icon from Alaverdi St. George Monastery. The 13th C. The ktetor Murvan Sananoisdze, his son Beka and his wife Rusudan are mentioned in the repoussé Asomtavruli inscription made on a gold plate. Alaverdi, Kakheti, East Geogia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ხატი. XIII ს. მთავარანგელოზის ფეხებთან ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო მთავარანგელოზო, შეუნდვე მიქაელ თომანს, ამინ“. ხე, ვერცხლი, 54X46 სმ. ლაბსყალდის მთავარანგელოზთა ეკლესია, ცხუმარის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Icon of St. Archangel Michael. The 13th C. Asomtavruli inscription at the feet of the Archangel reads: “Saint Archangel Michael, forgive Mikael Tomani, amen“. Wood, silver, 54X46 cm. Labskhaldi Archangels’ Church, Tskhumari community, Svaneti, West Georgia



ვანის ოთხთავი. XII-XIII სს. ნაწერი ნუსხურით და შემკული ასომთავრული საზედაო ასოებით, სათაურებითა და მინიატურებით. ტექსტი შესრულებულია ღია ყავისფერი მელნით, ოქრომელნითა და სინგურნარევი ოქრომელნით. თარგმნილი და რედაქტირებულია გიორგი მთაწმინდელის მიერ. წიგნი დამზადდა თამარ მეფისთვის. გადამწერი – „ი[ოვა]ნე, ულირსი, საპყარი“, მხატვარი – ბერძენი ოსტატი მიქაელ კორესელი. ეტრატი, 29X21 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Vani Gospels. The 12th -13th CC. Scribed in Nuskhuri, decorated with Asomtavruli upper case letters, headings and miniatures. Pale brown ink, gold ink and a mixture of gold ink and cinnabar is used for the principal text. The text was translated and edited by Giorgi Mtatsmindeli (the Hagiorite). The book was made for Queen Tamar. The scribe: Iovane ; the painter: Greek master Michael Korresius. Parchment, 29X21cm. *The National Center of Manuscripts*



ვარძიის ოთხთავი. XIII ს. ტექსტი – ნუსხური, შავი მელანი, სათაურები – მწვანე და ოქროს მელანი, საზედაო ასოები – სინგური. ქაღალდი, 25,5X20 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Vardzia Gospel. The 13th C. Text scribed in Nuskha-Khutsuri and decorated with paintings. Paper, 25,5X20 cm. The text is written in black ink, headings – gold and green ink, upper case letters – cinnabar. *The National Center of Manuscripts*



→

მეფე ლაშა-გიორგის მხედრულით ნაწერი ხელრთვა-დამტკიცება მისსავე სიგელზე გელათისადმი. 1208 წ. ასლი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

King Lasha-Giorgi's approval and signature in Mkhedruli to legalize the deed granted by him to Gelati. 1208. Copy. *The National Center of Manuscripts*



ბექა ქართლის ერისთავის მხედრულით ნაწერი ხელრთვა შეუვალობის განახლების სიგელზე, მიცემული შიომღვიმის მონასტრისადმი მისი მამის, გრიგოლ სურამელის მიერ. 1247-1250 წწ. ეტრატი, 236,5X25,5 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Signature of Beka Eristavi of Kartli, son of Grigol Surameli, to legalize the deed granted by his father to Shiomghvmine on the resumption of protection. Mkhedruli. 1247-1250. Parchment, 236,5X22,5 cm. *The National Center of Manuscripts*

გრიგოლ სურამელის ძმის, ივანე მეაბჯრეთუხუცესის მხედრულით ნაწერი ხელრთვა-დამტკიცება გრიგოლ სურამელის შეწირულობის ანდერძზე შიომღვიმისადმი. 1247-1250 წწ. ეტრატი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Approval and signature of Ivane Meabjretukhusesi (Custodian of Armory) to legalize the deed granted by his brother Grigol Surameli's on donation to Shiomghvime. Mkhedruli. 1247-1250. *The National Center of Manuscripts*





იოანე ოქროპირის „ჟამისწირვა“. **XIII-XIV** სს. გრაგნილი, ეტრატი, **210X20** სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

The Divine Liturgy of St. John Chrysostom. The 13th- 14th CC. Scroll, parchment, 210 x 20 cm. *The National Center of Manuscripts*



დავით **VIII** ნარინის (1273-1311) წყალობის წიგნი გრიგოლ ჭარმაულისადმი სოფელ ლაუშას ბოძების შესახებ. 1297 წ. მხედრულით ნაწერი მწიგნობარ იაკობ უგანოისძის მიერ. ეტრატი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Letter of grant issued by King Davit VIII Narin (1273-1311) on the bestowal of Lausha village upon Grigol Chirmauli. 1297. Written by a scribe Iakob Uganoisdze. *The National Center of Manuscripts*





საზედაო ასომთავრული ასოების ასლი იენაშის ოთხთავიდან (ელენე მაჭავარიანი). XIII ს-ის 10-იანი წწ. ხელნაწერის დამკვეთი – ქართლის კათალიკოსი ეტიფანე; გადამწერი – იონა. შეწირულია ლატალის თემის სოფ. იენაშის წმ. იონას ტაძრისთვის მცხეთიდან. ეტრატი, 27X21 სმ. *სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*

Copy of upper case Asomtavruli letters from Ienashi Gospel (Elene Machavariani). 1210s. The manuscript was commissioned by Etipane the Catholicos of Kartli. Scribe-Iona. Donated to Ienashi St. Jonah’s Church, Latali community, from Mtskheta. Parchment, 27X21 cm. *Svaneti Museum of History and Ethnography*

⟶

ასომთავრული ასო „Ⴃ“ (დონის) სახეობების ასლი იენაშის ოთხთავიდან, შესრულებული ელენე მაჭავარიანის მიერ

Copies of the samples of Asomtavruli letter “Ⴃ“ (don, /d/) from Ienashi Gospel (E. Machavariani)







Linen purse with an embroidered Lion, a heart and Mkhedruli inscription (poem): “The free and beautiful lion looks like a rose in the field; and mowing and looking for the beautiful beast, the rose runs fast in the field“. The 13th C. Ushguli, Svaneti. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ტილოს ქისა ორივე მხარეს ლომისა და გულის ნაქარგი გამოსახულებებით და მხედრულით ნაქარგი ლექსით: „ვეფხი ლალი და ლამაზი, მინდორს ჩასულა, ვარდობდა, ვარდი ცელობს, ლამაზს ეძებს, გაჭრილა, აწ ნავარდობდა“. XIII ს. უშგული, სვანეთი. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*



ტილოს ქისა ორივე მხარეს ამოქარგული ალმოდებული და მიჯაჭვული გულის გამოსახულებებით და მხედრულით ნაქარგი ლექსებით: 1. „გულო, ჯაჭვითა დაბმულო, დაეხსენ დამართებასა“. 2. „დავიწუი, ცეცხლი მედების, დავიწუი მართ ალისაგან; და გულგმირად დიდი ვინმე მარადის ხმობს მართლისაგან“. XIII ს. *სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*

Linen purse with flaming shackled hearts and poems embroidered in Mkhedruli on both sides: 1. “Oh, shackled heart, stop torturing yourself“; 2. “Flaming up, burning up; brave spirits always call the righteous ones“. The 13th C. *Svaneti Museum of History and Ethnography*



სვიმეონ გურიელის ფრესკა ასომთავრული განმარტებითი წარწერით ზარზმის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ ბურჯზე. XIV ს. სოფ. ზარზმა, ადიგენის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Svimeon Gurieli’s fresco with Asomtavruli explanatory inscription on the abutment of the principle church of Zarzma Monastery. The 14th C. Zarzma village, Adigeni region, Samtskhe-Javakheti, South Georgia



მოოქრული, ვერცხლით მოჭედილი საწინამძღვრე ჯვრის ზურგი ასომთავრული წარწერით: „ძელო ცხორებისაო, მეოხ და მფარველ მექმენ მამკობსა შენსა ქელბაქიანსა სირმონს და შვილსა ჩემსა მიქაელს და შვილთა მისთა“. XIV ს. სოფ. ლაჰილი, ლატალის თემი, სვანეთი, დასავლეთი საქართველო

Reverse of a gilded processional cross chased with silver. Asomtavruli inscription on the reverse reads: “Life-giving Pillar, succor and protect me, Kelbakiani Sirmon who adorned you, my son Mikael and his children“. The 14th C. Lahili village, Latali community, Svaneti



მეფე გიორგი V ბრწყინვალის მხედრულით ნაწერი წყალობის წიგნი ჯავახიშვილ-გამრეკელისადმი ერთგული სამსახურისათვის. 1345 წ. ქაღალდი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Mkhedruli letter of grant issued by King Giorgi Brtskhinvale (Illustrious) to Javakhishvili-Gamrekeli for his faithful service. Mkhedruli. 1345. Paper. *The National Center of Manuscripts*







←
→

ნუსხურით ნაწერი მოქვის ოთხთავი მდიდრულად შემკული ორნამენტებით, ინიციალებითა და ოქროს ფენაზე შესრულებული 160 მინიატურით. 1300 წ. გადამწერი – ეფრემი, დამკვეთი – დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსი. ეტრატი. 30X23,5 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Mokvi Gospel written in Nuskhuri and richly decorated with ornaments, initials and 160 miniature paintings made against a golden layer. 1300. Scribe-Eprem, commissioned by Daniel the Archbishop of Mokvi. Parchment, 30X23,5 cm. *The National Center of Manuscripts*



გარდამოხსნა (XIV ს.) ლოდზე დასვენებული მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმ. იოანე მოციქულისა და ანგელოზების გამოსახულებებითა და სიმბოლოებით (ხარი, ლომი, არწივი, ანგელოზი) გამოსახული მახარებლებით. ასომთავრული წარწერები დაერთო იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) მეფობის დროს განხორციელებულ განახლებისას. ოქრომკედი, აბრეშუმის ძაფი, ზეზი, ნამაგრი სითვი. 158X267 სმ. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Deposition (The 14th C.) with the images of the Savior rested on a boulder, the Mother of God, St. John the Apostle, angels and the animal symbols of the Four Evangelists. Renovated and enriched with Asomtavruli inscriptions during the reign of Bagrat III (1510-1565) of Imereti. Cloth of gold, silk thread, galloon, satin stitch embroidery. 158X267 cm. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ნაქარგი ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები გარდამოხსნიდან. ასლი.

Embroidered Asomtavruli inscriptions from the Deposition. Copy

ომოფორი ეკლესიის დიდ მამათა გამოსახულებებითა და ასომთავრული წარწერებით. 1358 წ. ატლასი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, აბრეშუმის ძაფი, ზეზი, ნამაგრი სითვი, 400X25 სმ. ანჩის მონასტერი, ტაო-კლარჯეთი. ისტორიული სამხრეთი საქართველო (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Omophor with images of the Holy Fathers of the Church and Asomtavruli inscriptions. 1358. Satin, gold thread, cloth of gold, cloth of silver, silk thread, galloon, satin stitch embroidery. 400X25 cm. Ancha Monastery, Tao-Klarjeti, historic South Georgia (territory of Turkey). *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*





საფარის წმ. საბას ტაძრის დასავლეთ ფასადზე ეკლესიის მოძღვრის, გრიგოლ ნაფშუენისძის ნაკვეთი ასომთავრული წარწერა ეკვდერის აშენების შესახებ. XV ს. საფარა, ახალციხის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Asomtavruli engraved inscription about the construction of a chapel by the priest Grigol Napshuenisdze. The 15th C. Western facade of Sapara St. Saba Church, Akhaltskhe region, Samtskhe-Javakheti, South-West Georgia





←

ჩხარის (სადგერის) ეკლესიის საკურთხევლის წინ აღსამართი ჯვარი ასომთავრული წარწერებით. XV ს. მოოქრული ვერცხლი, 106X97 სმ. სოფ. სადგერი, ბორჯომის რ-ნი, სამხრეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Cross to be erected before the sanctuary of Chkgari (Sadgeri) Church with Asomtavruli inscriptions. Silver gilt, 106 X97 cm. Sadgeri village, Borjomi region, South Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*

ჩხარის (სადგერის) ჯვრის ფრაგმენტი ვერტიკალური ძელის ქვედა ნაწილზე ასომთავრული წარწერით. მოხსენიებული არიან: ჯვრის ქტიტორები – დეკანოზები, სვიმონ და ბასილ შოთასძეები, მათი შემწე სპირიდონი, ჯვრის ოქრომჭედელი მამნე და სამცხის ათაბაგი ყუარყუარე III დიდი.

Fragment of Chkhari (Sadgeri) cross with Asomtavruli inscription on the end of the vertical bar, mentioning the ktetors of the cross: Archpriests Svimon and Basil Shotasdzes, their sponsor Spiridon, a goldsmith Mamne and Atabagi Kvarkvare III the Great of Samtkhe





არაგვის ერისთავთერისთავ ვამიყ შაბურისძის შეწირულობის წიგნი ბოდორნის ეკლესიისადმი სოფ. ხანდაკის ჩუქების შესახებ. ნუსხურით დამწერი – კარის მწიგნობარი საბა კედელაშვილი. 1474 წ-ის 24 ივნისი. გრაგნილის სამი კეფი გადაკერებულია წითელი აბრეშუმის ძაფით. ეტრატი, 144,5X22,5 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant written in Nuskhuri by the court scribe Saba Kedelashvili, on bestowal of Khandaki village by Aragvi Eristavi of Eristavis Vamik Shaburisdze upon Bodorna Church. June 24, 1474. Three sheets of the scroll are sewn together with red silk thread. Scribe-Saba Kedelashvili. Parchment, 144, 5X22, 5. *The National Archives of Georgia*



მეფე ალექსანდრე I-ის (1390-1445) მონეტა, ავერსზე ასომთავრული წარწერით: „სახელითა † ღვთისათა“, რევერსზე კი – ასომთავრული წარწერით: „მეფეთმეფე ალექსანდრე“. XV ს. ცენტრში გამოსახული ასო „რ“(რაე)-ს ანბანური რიცხვითი მნიშვნელობაა 100. კერძო კოლექცია

Coin of King Aleksandre I (1390-1445) with Asomtavruli inscription on the obverse: “In the name of God“. There is the letter “Ⴐ“ (rae,/r/) in the center of the reverse of the coin, which has the numeric value of 100. Asomtavruli inscription around the “Ⴐ“ reads: “The King of Kings Aleksandre“. The 15th C. A private collection.



ნუსხურით ნაწერი შეწირულობის წიგნი, მიცემული ქსნის ერისთავ შალვა ქვენიფნეველის მიერ განახლებული ლარგვისის მონასტრისადმი. 1470 წ. ტექსტს თავსამკაულად ადგას შალვა ქვენიფნეველის პორტრეტი. ტექსტის საზედაო ასო „ენი“ უჩვეულოდ გრძელია – 15 სტრიქონსაა ჩამოყოლებული. ყავისფერი მელანი. ეტრატი, 135,5X21 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Letter of grant issued by Ksani Eristavi Shalva Kvanipneveli to the reconstructed monastery of Largvisi. 1470. The headpiece represents a portrait of Shalva Kvenipneveli. The upper case letter “ე“ (en/e/) is uncommonly elongated (15 lines). Brown ink. Parchment, 135,5X21 cm. *The National Center of Manuscripts*

→

ხელნაწერი ჯვრის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკიდან. XV-XVI სს. ხელნაწერის ეს გვერდი საინტერესოა მხედრული დამწერლობის ხუთნაირი კალიგრაფიით და ერთი ასომთავრული მინაწერით. იერუსალიმი, ისრაელი

Georgian manuscript from the library of Georgian Jvari Monastery. The 15th-16th CC. The present page of the manuscript comprises 5 different hands in Mkhedruli. There also is a single Asomtavruli inscription on the same page. Jerusalem, Israel







მეფე გიორგი VIII-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირული გარდამოხსნა მაცხოვრის დატირების, აღდგომისა და ამაღლების სცენებითა და ასომთავრული წარწერებით. 1446-1466 წწ. აბრეშუმი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი, აბრეშუმის ძაფი, სითვი. ზომა: 156X204 სმ. ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Deposition donated by Giorgi VIII to Svetitskhoveli Cathedral. There are Asomtavruli inscriptions on the cloth which depicts the Savior’s Lamentation, Resurrection, and Ascension. 1446-1466. Silk, cloth of gold, cloth of silver, galloon, quilting, 156X204 cm. Mtskheta, the historical capital of Georgia, Kartli, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



საფლავის ქვა ასომთავრული წარწერებით: 1. „სულსა რამ[იას] შეუნდოს ღმერთმან მისსა მეუღლესა ნუ გამწირას, შეუნდოს ღმერთმან“. 2. „დეკანოზს შეუნდვენ ღმერთმან“. XVI-XVII სს. უდაყვა, ოჩამჩირის რ-ნი, აფხაზეთი, დასავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Gravestone with Asomtavruli inscriptions: 1. “God forgive the soul of Ramia. God don’t abandon and forgive me, his spouse“. 2. “God forgive the Dean“. The 16th-17th CC. Udakva, Ochamchire region, Abkhazia, West Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



ზარზმის მონასტრის (IX ს.) ფერისცვალების ტაძრის სამხრეთ ეკვდერში ჩაშენებული ქვის კედელ-ტიხარი ასომთავრული წარწერით: „ამისა აღმაშენებელსა წინამძღუარსა ხურციძესა გაბრიელს... მისა დედასა, პატრონისა ივანეს ასულსა, გულდამ ყოფილსა გაიანეს... მისა მამასა, შოთა ყოფილსა შიოს“. XVI ს. ზარზმა, ახალციხის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Asomtavruli inscription on a stone partition wall erected in the southern chapel of the Transfiguration Church at Zarzma Monastery (the 9th C.): “Father Superior Gabriel who built this... his mother, daughter of the patron Ivane, Gaiane, Guldam in secular life … his father Shio, Shota in secular life“. The 16th C. Zarzma, Akhaltsikhe region, Samtskhe- Javakheti, South Georgia



იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის, ასულის, დედისიმედის, სამ სვეტად ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა ვალეს ტაძრის სამხრეთის ბურჯზე. 1561-1564 წწ. ტექსტი საქტიტოროა და გვამცნობს ვალეს ღვთისმშობლის ტაძრის განახლებას. მასში მოხსენიებულ ბაგრატიონთა ათაბაგ-ამირსპასალართა საგვარეულოს წარმომადგენლებს დედისიმედი ღვთისმშობელს ავედრებს. ასლი. სოფ. ვალე, ახალციხის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთი საქართველო

Three-column Asomtavruli ktetorial inscription of Dedisimedi, daughter of Bagrat III of Imereti, engraved on the southern buttress of Vale Church. Asomtavruli. 1561-1564. The text tells about the restoration of Vale Mother of God Church. Dedisimedi prays before the Mother of God for the members of Atabagi- Amirspasalari family, mentioned in the text. Copy. Vale village, Akhaltsikhe region, Samtskhe-Javakheti, South Georgia



მაცხოვრის ჭედური ხატის ზურგი მისი შემწირველი ლევან კახთა მეფისა და თინათინ დედოფლის სავედრებელი ასომთავრული წარწერით. XVI ს. ოქრო, მოოქრული ვერცხლი, 46,5X38,5 სმ. თელავის რ-ნი, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Reverse of the Savior’s repoussé icon with a pleading Asomtavruli inscription of the donators, Levan, the King of Kakhs and Queen Tinatin. The 16th C. Gold, silver gilt, 46,5X38,5 cm. Telavi region, Kakheti, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ამსახველი ჭედური ხატის ზურგი ასომთავრული წარწერით. XVI-XVII სს. მოხსენიებული არიან კახეთის მეფე ალექსანდრე II (1578-1604) და მის მეუღლე თინათინი. ხე, ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი, ლალისა და ფირუზის თვლები. 20,5X15,2 სმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, დავით-გარეჯის უდაბნო, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Reverse of the repoussé icon depicting the Beheading of St. John the Baptist. The 16th-17th CC. King Aleksandre II of Kakheti (1578-1604) and his wife, Queen Tinatin are mentioned in Asomtavruli inscription made on the reverse of the icon. Wood, gold, pearl, ruby and turquoise gems. 20,5X15,2 cm. The Monastery of St. John the Baptist, Davit Gareja Desert, Kakheti, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



მარივალტ წირქვალელის ვერცხლის საწინამძღვრო ჯვრის ტარი ასომთავრული წარწერით. XVI ს. გელათის მონასტერი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *ქუთაისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი*

Handle of Marivalt Tsirkvaleli’s silver processional cross with Asomtavruli inscription. The 16th C. Gelati Monastery, Imereti, West Georgia. *Kutaisi State Historical Museum*



ნუსხურით ნაწერი ვალეს ოთხთავი. 1514 წ. გადამწერი – ზოსიმე ვალელი, მომგებელი – სპირიდონ და მისი ძე, პატრონი იორამ. ყოველი თავი იწყება მოხატული საზედაო ასოთი. სათაურები შესრულებულია ოქროს მელნით, დასაწყისები – სინგურით. სხვადასხვა ქაღალდი: სპარსული და იტალიური, 21,2X16. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Vale Gospel. 1514. The text is written in Nuskhuri. Scribe: Zosime Valeli (of Vale); commissioned by: Spiridon and his son Master Ioram. Gold ink is used for the headings, the initial letters are written in cinnabar. Each chapter begins with a painted upper case letter. Persian and Italian paper-types. 21,2X16cm. *The National Center of Manuscripts*



ნუსხურით ნაწერი და 75 მინიატურით გაფორმებული „დავითნი“ (ფსალმუნთა კრებული). XVI ს. გადამწერი – თეთროსნის წინამძღვარი გერმანოზი. ქაღალდი, 23X17,5 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

The Book of Psalms written in Nuskhuri and illustrated with 75 miniatures. The 16th C. Scribed by Germanoz, the Father Superior of Tetrosani. Paper, 23X17,5cm. *The National Center of Manuscripts*



მხედრულით ნაწერი სასისხლო სიგელი, მიცემული იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ აზნაურიშვილ ჯაკვა შერგილაძისადმი. 1554 წ-ის 20 მარტი. ასომთავრული წარწერის მიხედვით, თავსამკაულად გამოსახულია გვირგვინოსანი იმერთა მეფე ბაგრატ III. ეტრატი, 100X19 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Compensation deed, written in Mkhedruli, granted by Bagrat III of Imereti to the nobleman Jakva Shergiladze. March 20, 1554. According to Asomtavruli inscription, the headpiece painting depicts the crowned King Bagrat III of Imereti. Parchment, 100X19cm. *The National Center of Manuscripts*



მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მეფე სვიმონისა და მისი ძის, ვახტანგის, მიერ მეღვინეთუხუცეს მაღალაძისა და ქადაგ გედეონისადმი თრიალეთის სოფლების ბოძების შესახებ. 1562 წ-ის 10 სექტემბერი. დაწერილია მხედრულით, ღია ყავისფერი მელნით. საბუთს ბოლოში აქვს სვიმონისა და ვახტანგის ხელრთვები მათივე ბეჭდებით. ქაღალდი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Deed of land purchase granted to Meghvinetukhutsesi (chief wine-maker) Maghaladze and Preacher Gedeon by King Svimon and his son Vakhtang on the donation of the villages in Trialeti. September 10, 1562. Mkhedruli. Paper, brown ink. The document is signed and sealed by King Svimon and Vakhtang. *The National Center of Manuscripts*









შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი, ავალიშვილისეული რედაქცია. XVI-XVII სს. დაწერილია მხედრულით, შავი მელნით, სტრიქონის პირველი ასოები და სტროფების საწყისი სიტყვები – სინგურით. ტექსტის თითოეული გვერდი მოჩარჩოებულია ოქრო-ვერცხლის მდიდრული აშიებით. ქაღალდი, 37X24 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Avalishvili’s extensive edition of “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli. The 16th-17th CC. Mkhedruli. The text is written in black ink, the headings, initial letters of each line and the first words of each strophe – in cinnabar. The margins of each page are richly painted in silver and gold. *The National Center of Manuscripts*



აბაშიძეთა მიერ უბისის მონასტრისადმი შეწირული გარდამოხსნა „მაცხოვრის დატირების“ გამოსახულებით და ასომთავრული წარწერებით. XVI-XVII სს. აბრეშუმი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, აბრეშუმის ძაფი, ნამაგრი სითვი. 133X180 სმ. უბისა, იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Deposition donated by the Abashidzes to Ubisa Monastery, with a scene of the Saviour’s Lamentaton and Asomtavruli inscriptions. The 16th-17th CC. Silk, cloth of gold, cloth of silk, silk thread, satin stitch embroidery. 133X180 cm. Ubisa Monastery, Imereti, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ენქერი ქერუბიმის გამოსახულებითა და ქტიტორების – გედეონ აბაშიძისა და მისი თანამეცხედრის, გულქან ჭილაძის – ასომთავრული წარწერით. XVI ს-ის II ნახ. აბრეშუმის ქსოვილი და ძაფი, მოსითვული ოქრომკედი. 31,4X34,2 სმ. უბისის წმ. გიორგის მონასტერი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Palitiza with cherub images and Asomtavruli inscription of the ktetors Gedeon Abashidze and his wife Gulkan Chelidze. The 2nd half 16th C. Silk, silk thread, quilted cloth of gold. 31,4X34, 2 cm. Ubisa St. George’s Church, Imereti, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*

←



მხედრული წარწერა მაღალაანთ ეკლესიის ფასადზე. XVII ს. წინარეხი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Mkhedruli inscription on the facade of Maghalaant (the Maghalashvilis) Church. The 17th C. Tsinarekhi village, Kartli, East Georgia



საქტიტორო მხედრული წარწერა ბოლნისის სიონის სამრეკლოს ფასადზე. XVII ს-ის 80-იანი წლები. ტექსტის თანახმად, ნიკოლოზ ბოლნელ ეპისკოპოსს, მუხრან-ბაგრატიონს, სამრეკლოს აგებასთან ერთად ტაძრისთვისაც ჩაუტარებია აღდგენითი სამუშაოები. ბოლნისი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Mkhedruli ktetorial inscription on the facade of the bell tower of Bolnisi Sioni Cathedral. The 1680s. According to the text, Nikoloz the Bishop of Bolnisi, Mukhran-Bagrationi reconstructed the cathedral and constructed the bell tower. Bolnisi village, Kartli, East Georgia



რელიეფური საქტიტორო მხედრული წარწერა ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ფასადზე. 1689 წ. წარწერის მიხედვით, ტაძარი მდივანბეგ ბარძიმის დაკვეთით აუგია ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბაღსარაშვილს. სოფ. ანანური, დუშეთის რ-ნი, მთიულეთი, აღმოსავლეთი საქართველო

Relief ktetorial inscription made in Mkhedruli on the facade of Ananuri Assumption Church. 1689. According to the inscription, Mdivanbeg Bardzimi commissioned Bokaultkhutsesi (chief executor) Kaikhosro Baghsarashvili to build the church. Ananuri village, Dusheti region, Mtiuleti, East Georgia



ასომთავრული წარწერა ორბელიანთა საგვარეულო წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე: „წმიდაო ნიკოლოზ მეოხ ექმენ პატრონს ორბელს“. XVII-XVIII სს. სოფ. ტანძია, ბოლნისის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Asomtavruli inscription on the tympanum of the south entrance at the Court Church of the Orbelianis: “St. NIcholas, protect the master Orbeli“. The 17th-18th CC. Tandzia village, Bolnisi region, Kvemo Kartli, East Georgia



მხედრული წარწერა წმ. მარინეს ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის თავზე. XVII-XVIII სს. სოფ. საკირე, დმანისის რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო

Mkhedruli inscription above the south gate of St. Marine Church. The 17th-18th CC. Sarkine village, Dmanisi region, Kvemo Kartli, East Georgia





განმარტებითი ასომთავრული წარწერა შოთა რუსთაველის ფრესკაზე ჯვრის ქართველთა მონასტრის გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე. XVII ს. „ამისა დამხატავსა შოთა, შეუნდოს ღმერთმან, ამენ, რუსთველი“. იერუსალიმი, ისრაელი

Asomtavruli explanatory inscription on Shota Rustaveli’s fresco on the southwestern under-dome column of Georgian Monastery. The 17th C. “God forgive Shota who painted this, amen, Rustveli“. Jvari Monastery of Jerusalem, Israel



ღვთისმშობლის ხატის ბუდის ზურგი. 1604-1624 წწ. ნაჭედი წარწერები ფონზე ასომთავრულია, ჯვარზე და მის ქვემოთ კი – მხედრული (ხატებისთვის იშვიათი ერთობლიობა). ფონის წარწერაში მოხსენიებული არიან ხატის შემკვეთ-შემწირველი დავითი და მისი მეუღლე ქეთევანი. ჯვარში ჩაწერილი წარწერა გვამცნობს, თუ როგორ ჩამოიტანა ისპაჰანიდან ეს ხატი წალენჯიხაში მიტროფანე ალავერდელმა და როგორ ჩააბრძანა იგი საგანგებოდ დამზადებულ, მოჭედილ კუბოში ლევან დადიანმა. წალენჯიხა, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო

Reverse of the case of the Mother of God Icon. 1604-1624. The repoussé inscriptions on the background are made in Asomtavruli; the inscriptions on the cross and beneath it are made in Mkhedruli (which is a rare combination in iconography). Davit and his wife Ketevan who commissioned the icon and made donations to it are mentioned in the background inscription. The inscription within the cross tells how Mitropane Alaverdeli brought the icon from Isfahan to Tsalenjikha where Levan Dadiani placed it in a specially chased case. Tsalenjikha, Samegrelo, West Georgia



ნუსხურით ნაწერი და 200 მინიატურით გაფორმებული „დავითნი“ (ფსალმუნთა კრებული). XVII ს. დამკვეთი – ბატონიშვილი ზილიხანი. 25X17,5 სმ. ჩამოტანილია ჯრუჭის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1919 წ-ს. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Psalms, written in Nuskhuri and ilustrated with 200 miniatures. The 17th C. Paper, 25X17,5 cm. Commissioned by Zilikhan Batonishvili. Brought from Jrucha Monastery by Ekvtime Takaishvili in 1919. *The National Center of Manuscripts*



←

მარიამ დედოფლისეული მხედრულით ნაწერი „ქართლის ცხოვრება“. 1638-1646 წწ. დამკვეთი – როსტომ მეფის მეუღლე, ქართლის დედოფალი მარიამი; გადამწერები – გიორგი, რომანოზ და სხვანი. ქაღალდი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Queen Mariam's "The Life of Kartli", written in Mkhedruli. 1638-1646. Commissioned by Queen Mariam, the wife of King Rostom. Scribes: Giorgi, Romanoz, et al. Paper. *The National Center of Manuscripts*

სასისხლო სიგელის განახლების მხედრულით შედგენილი წიგნი იმერეთის მეფე როსტომისა გუგუნბერიძეებისადმი. 1601-1606 წწ. გრაგნილი, 109X19,5 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Resumption of a compensation deed, granted by Rostom King of Imereti to the Gugunberidzes. Mkhedruli. 1601- 1606. Scroll, 109X19,5 cm. *The National Archives of Georgia*





კუჭუხიძეების საკათალიკოსო ბეგარის მხედრულით ნაწერი ნუსხა. 1616-1639 წწ. ქაღალდი, 41,6X15 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

List of taxes to be paid to the Catholicos by the Kuchukhidzes. Mkhedruli. 1616-1639. Paper, 41,6X15 cm. *The National Archives of Georgia*





სახელოს (ქალაქის მელიქობის) წყალობის ორენოვანი წიგნი მეფე შაჰნავაზისა შერმაზან იავანგულაშვილისადმი. 1667 წ-ის 1-ლი მაისი. ქართული დამწერლობა – მხედრული, მეორე ენა – სპარსული. განკვეთილობის ნიშანი – მსხვილი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ – შესრულებულია ოქრომელნით. დამწერი – კარის მდივანმწიგნობარი გიორგი თუმანიშვილი. ქაღალდი, 49X29 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant of King Shahnavaz on conferring the title of the head of the city to Shermazan Iavangulashvili. May 1, 1667. Bilingual: Georgian (Mkhedruli) and Persian. The words are separated with bold full stops written in gold ink. Written by the Court Secretary and Scribe Giorgi Tumanishvili. Paper, 49X29 cm. *The National Archives of Georgia*



მარიამ დედოფლისეული გარდამოხსნა მაცხოვრის დატირების კომპოზიციითა და საქტიტორო ასომთავრული წარწერით. 1632/33-1680/82 წწ. ხავერდი, ოქრომკედი, ზეზი, აბრეშუმის ძაფი, ნამაგრი სითვი, 111X139სმ. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

The Deposition commissioned by Queen Mariam, with a composition of the Savior’s Lamentation and Asomtavruli ktetorial inscription. 1632/33-1680/82. Velvet, cloth of gold, galloon, silk thread, 111X139 cm. Svetitskhoveli, Mtskheta, the ancient capital of Kartli, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



მცირე ჯვრული დაფარნა (ბარძიმის საფარველი ქსოვილი), გარშემო ასომთავრული წარწერით. XVII ს. მოხსენიებულია კათალიკოსი დომენტი II (1660-1675). ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი, 40,5X46,3 სმ. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Smaller cross-shaped chalice veil, framed with Asomtavruli inscription in which the Catholicos Domenti II (1660-1675) is mentioned. 17C. Cloth of gold, cloth of silver, galloon, 40,4X46,3 cm. Svetitskhoveli Cathedral, Mtskheta, the historic capital of Georgia, Kartli, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



მარიამ დედოფლისეული ომოფორი საუფლო დღესასწაულების სცენებითა და საქტიტორო ასომთავრული წარწერით. XVII ს. აბრეშუმი, ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფები. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Omophor commissioned by Queen Mariam, with scenes of the Great Fests and Asomtavruli ktetorial inscription. The 17th C. Silk, silver and silk threads. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



გარდამოხსნა ქრისტეს დატირების სცენითა და ასომთავრული წარწერებით. 1678/79-1694/95 წწ. მოხსენიებულია როსტომ მეფის თანამეცხედრე, დედოფალთ-დედოფალი მარიამი. ხავერდი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი, აბრეშუმის ძაფი, სითვი, ნამაგრი სითვი, 111X139სმ. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

The Deposition with a scene of the Savior’s Lamentation and Asomtavruli inscriptions. 1678/79- 1694/95. The wife of King Rostom, Queen of Queens Mariam is mentioned in one of the inscriptions. Velvet, cloth of gold, cloth of silver, galloon, silk thread, satin stitch embroidery, 111X139 cm. Svetitskhoveli Cathedral, Mtskheta, the ancient capital of Kartli, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ენქერი „სულთმოფენობის“ გამოსახულებით. XVII ს-ის II ნახ. თითოეულ სცენას განმარტებითი ასომთავრული წარწერა ერთვის. ენქერს გარს უვლის ვრცელი ასომთავრული წარწერა. მოხსენიებულია არაგვის ერისთავის, ედიშერის, ასული ანა. ატლასი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ფერადი აბრეშუმის ძაფი, მარგალიტი, ზეზი, ნამაგრი სითვი, 35,5X37 სმ. სოფ. ბოდორნა, მთიულეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Palitza depicting the Descent of the Holy Spirit upon the Apostles where each personage has his/her Asomtavruli explanatory inscription. The palitza is framed with an extensive Asomtavruli inscription mentioning Ana, daughter of Edisher Eristavi of Aragvi. The 2nd half of the 17th C. Satin, cloth of silver, cloth of gold, colored silk thread, pearls, galloon, sutin stitch embroidery, 35,5X37 cm. Bodorna village, Mtiuleti, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



Gravestone with a relief image of the deceased person and his tools (scissors, weaving ruler, combing machine). The inscriptions of the gravestone are made in Asomtavruli and Nuskhuri. The 18th-19th CC. 138X69X28 cm. Akhalsopeli village, Tetritskharo region, Kartli, East Georgia. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*

საფლავის ქვა გარდაცვლილისა და მისი შრომის იარაღების (მაკრატელი, საბეჭავი, საჩეჩელი) რელიეფური გამოსახულებებითა და შერეული – ასომთავრული და ნუსხური წარწერებით. XVIII-XIX სს. 138X69X28 სმ. სოფ. ახალსოფელი, თეთრიწყაროს რ-ნი, ქართლი, აღმოსავლეთი საქართველო. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*



საფლავის ქვაზე ნაკვეთი მხედრული წარწერა. 1713 წ. ტექსტი განსაზღვრულ ადგილას ვერ მოუთავსებიათ და წერა ჩარჩოზეც გაუგრძელებიათ. წარწერა გვაუწყებს ხარჭაშნელი ეპისკოპოს პართენოზისა და მისი ძმის, პეტრეს მიერ ეკლესიის აშენებას. 62X147X30 სმ. ალვანი, ცხრაკარას (ღვთაების ეკლესია) ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩამოტანილია 1957 წ-ს. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Mkhedruli inscription on a Gravestone. 1713. As it seems there was no room for the appropriate text and the inscription extends upon the frame. According to the inscription, Partenoz the Bishop of Kharchashna and his brother Petre built a church. 62X147X30 cm. Alvani, north-west of Tskhrakara (Church of the Deity). Brought to Tbilisi in 1957. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



მხედრული წარწერა მარმარილოს ფილაზე. 1754 წ. ჩამოტანილია ქარელის რ-ნის სოფ. აბისიდან, მახვილაძეების ციხის ეკლესიიდან 1956 წ-ს. 46X44 სმ. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Mkhedruli inscription on a marble slab. 1754. 46X44. Brought from the church at the Makhviladzes fortress, Abisi village, to Tbilisi in 1956. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



საფლავის ქვაზე, სამმაგ ჩარჩოში ამოკვეთილი ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა: „[ვინცა] იხილოთ, შენდ[ობა ბრძანეთ]“. „[კაცი] ვიყავ და აწ მიწა ვიქ[მენ]. XVIII ს. ჩამოტანილია სოფ. კაზრეთის მოპირდაპირედ მდებარე სვეტიცხოვლის ეკლესიიდან თბილისში 1966 წ-ს. 142X42 სმ. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Two-line Mkhedruli inscription on a gravestone with a triple framing, which reads: “Those who read beg forgiveness for me“; “I was a man and returned to dust“. The 18th C. 142X42 cm. Brought in 1966 from Svetitskhoveli Church, the opposite side Kazreti village, to Tbilisi. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



საფლავის ქვის სამი ფრაგმენტი ასომთავრული წარწერებით: 1. „[...] მეფის ვახ[ტანგის...] | [...]მა სიმრთელე სულის ამის მათისა [...]“; 2. „[ვინცა]იხილოთ, შენდ[ობა ბრძანეთ]“; 3. „[კაცი] ვიყავ და აწ მიწა ვიქ[მენ]“. XVIII ს. *სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Three fragments of a gravestone with Asomtavruli inscriptions: 1. “Of King Vakhtang... firmness of his soul“... 2. “Those who see this, beg forgiveness for him“. 3. “I was a man and returned to dust“. The 18th C. *Simon Janashia Museum of Georgia (Georgian National Museum)*



ასომთავრული წარწერა წმ. გიორგის ხატის ზურგზე. 1774 წ. მოხსენიებულია იმერეთის მეფე სოლომონ I (1752–1784), მისი ძე ალექსანდრე და მეუღლე მარიამ დადიანი. ვერცხლი, 40,5X25,2 სმ. იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში გადატანილია ზესტაფონიდან 1926 წ-ს.*

Asomtavruli inscription on the reverse of the icon of St. George. 1774. King Solomon I of Imereti (1752-1784), his son Aleksandre and wife Mariam Dadiani are mentioned in the inscription. Silver, 40,5X25,2 cm. Imereti, West Georgia. *Brought to Kutaisi State Museum from Zetaponi in 1926.*



ვერცხლით მოჭედილი ოთხთავის ყდის ორი მხარე ასომთავრული წარწერებით. XVIII ს. ეტრატი, 24 X17 სმ. სოფ. ჩხარი, იმერეთი, დასავლეთი საქართველო. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

The Gospel with a chased silver Asomtavruli inscriptions made on the front and back of the cover. The 18th C. Parchment, 24X17 cm. Chkhari village, Imereti, West Georgia. *The National Center of Manuscripts*



მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) სპილენძის მონეტა. 1798-1799 წწ. ავერსზე – ქრისტეს სიმბოლო თევზი; რევერსზე –ასომთავრული მონოგრამა „გიორგი“. კერძო კოლექცია

Copper coin of King Giorgi XII (1798-1800). There is an image of a fish, a symbol of Christ, on the obverse of the coin and Asomtavruli monogram on the reverse: “Giorgi“. 1798 -1799. A private collection



მხატვრულად გაფორმებული მხედრული ასოები სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“. 1730 წ. გადამწერი – ტარასი ალექსიშვილი (დეკანოზი ალექსი მესხიშვილი). ქაღალდი, 22X16 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

“Sitkvis Kona“ (Bunch of words, Georgian explanatory dictionary), by Sulkhan-Saba Orbeliani. 1730. Artistically designed Mkhedruli letters are represented in the alphabetical order. Scribed by Tarasi Aleksishvili (Archpriest Aleksi-Meskhishvili). Paper, 22X16 cm. *The National Center of Manuscripts*



სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის პირველი განშლა – ალექსი მესხიშვილის მიერ შესრულებული სულხან-საბას მინიატურული გამოსახულება. 1730 წ. ქაღალდი, 22X16 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

First double-spread of Sulkhan-Saba Orbelani’s dictionary, with a miniature portrait of Sulkhan-Saba painted by Aleksi Meskhishvili. 1730. Paper, 22X16cm. *The National Center of Manuscripts*



წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“. XVIII ს. მხედრულით ნაწერი და 87 მინიატურით გაფორმებული ორი მხატვრის მიერ. შავი და წითელი მელანი. ქაღალდი, 33X22 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Tsereteli's "The Knight in the Panther's Skin", written in Mkhedruli and illustrated with 87 miniatures by two painters. The 18th C. Paper, black ink, red ink, 33X22. *The National Center of Manuscripts*



საქართველოს რუკა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ატლასიდან. 1735 წ.

A map of Georgia from the atlas compiled by Vakhushti Bagrationi. 1735



→

მხედრული წარწერა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ატლასიდან. 1735 წ.

Mkhedruli inscription from the atlas compiled by Vakhushti Bagrationi. 1735



მხედრულით ნაწერი ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“ (XV ს). XVIII ს. სათაური და საზედაო ასოები შესრულებულია ასომთავრულით. ქაღალდი, შავი და წითელი მელანი. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

“Karabadini“ (Book of Medical Treatment) (the 15th C.) by Zaza Panaskerteli. The 18th C. The title and the upper case letters of Mkhedruli text are written in Asomtavruli. Paper, black and red inks. *The National Center of Manuscripts*

←

მხედრულით ნაწერი „უთრუთიანი“. XVIII ს. „შაჰ-ნამეს“ ხუთი ილუსტრირებული ვერსიიდან ერთერთი შემონახული საქართველოში. ქაღალდი, 25,5X16 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

“Utrutiani” (one of the 5 illustrated versions of “Shahnameh” preserved in Georgia). Written in Mkhedruli. The 18th C. Paper, 25,5X16 cm. *The National Center of Manuscripts*



მხედრულით შედგენილი მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფე ერეკლე II-ის მიერ ზაალ და იოანე აბაშიძეებისადმი. 1774 წ-ის 18 ნოემბერი. შემდგენელი – მდივანმწიგნობარ ბეგთაბეგის ძის, სულხან მდივანის, შვილი, მდივანი ესავი. ქაღალდი, 60X30 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Letter of grant issued by King Erekle II on the donation of lands to Zaal and Ioane Abashidzes. November 18, 1774. Drawn up in Mkhedruli by the secretary Esav, son of secretary Sulkhan who was a son of Mdivanmtsgnobari Begtabegi. Paper, 60X30 cm. *The National Center of Manuscripts*





მხედრულით შედგენილი ყმა-მამულის წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ის სამეფო კარის დეკანოზ იესე გარსევანიშვილისადმი. 1717 წ. ტექსტის რამდენიმე სიტყვა და ხელრთვები შესრულებულია ოქრომელნით. დამწერი – კარის მდივანმწიგნობარი გივი თუმანიშვილი. ეტრატი, გრაგნილი, 90,5X19,3 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant on the donation of lands and serfs to Iese Garsevanishvili, the Court Archpriest of Vakhtang VI. 1717. Some words and signatures are written in gold ink. Written by court Mdivanmtsignobari Givi Tumanishvili in Mkhedruli. Parchment, scroll, 90,5X19,3 cm. *The National Archives of Georgia*



и Имеретинскихъ Царскихъ документовъ

24го Сентября 1836=



მხედრულით შედგენილი სახელოს (ნახევარი კახეთის მდივნობის) წყალობის წიგნი, მიცემული დავით იმამყული-ხანის მიერ გარსევან კოდალაშვილისადმი. 1704 წ-ის 15 ივნისი. დამწერი – კარის მდივანმწიგნობარი შიოშ თუმანიშვილი. ქაღალდი, 64,4X35 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant of Davit Imam-Kuli-Khan on conferring the title of the secretary of half Kakheti to Garsevan Kodalashvili. Drawn up by the court Mdivanmtsignobari Shiosh Tumanishvili in Mkhedruli. June 15, 1704. Paper, 64,4X35 cm. *The National Archives of Georgia*



მხედრულით შედგენილი ყმა-მამულის წყალობის განახლების წიგნი, მიცემული კათალიკოს ანტონ I-ის მიერ ზაქარია იოთამისშვილისადმი. 1783 წ. დამწერი – მღვდელი მიხაილი. ქაღალდი, 2,7X27 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Resumption of the document on donation of lands and serfs, granted by Catholicos Anton I to Zakaria Iotamisshvili. 1783. Drawn up by the Priest Mikhail in Mkhedruli. Paper, 2,7X27 cm. *The National Archives of Georgia*



მხედრულით შედგენილი აზნაურობის წყალობის განახლების წიგნი, მიცემული მეფე გიორგი XII-ის მიერ მდივან ნიკოლოზ ონიკოვისადმი. ფრაგმენტები. 1798 წ-ის 1-ლი მაისი. დამწერი – დეკანოზი სოლომონ ალექსიძე. ქაღალდი, 60X34,2 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Fragments of the resumption of ennoblement granted by Giorgi XII to the secretary Nikoloz Onikov. May 1, 1798. Paper, 60X34,2 cm. Drawn up by the Archpriest Solomon Aleksidze in Mkhedruli. *National Archives of Georgia*



მხედრულით შედგენილი მოურავობის წყალობის წიგნი, მიცემული კათალიკოს ანტონ I-ის მიერ სუფრაჭ თეოდოსი თაზისშვილისადმი. 1780 წ-ის 19 ივნისი. დამწერი – სვეტიცხოვლის დეკანოზი მიხაილი. ქაღალდი, 77X26,5 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant on conferring the title of Mouravi by Catholicos Anton I to the chief cook Teodosi Tazisshvili. June 19, 1780. Drawn up by Mikhailov, the Archpriest of Svetitskhoveli, in Mkhedruli. Paper, 77X26,5. *The National Archives of Georgia*





მხედრულით ნაწერი არტილერიის ოფიცრობის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ გიორგი თუმანოვისადმი. 1789 წ-ის 27 აგვისტო. დამწერი – სენატორი სოლომონ ლიონოვი. ქაღალდი, 49,5X37,7 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant issued by Erekle II on the promotion of Giorgi Tumanov to the rank of artillery officer. Mkhedruli. August 27, 1789. Written by Senator Solomon Kionov. Paper, 49,5X37,7 cm. *The National Archives of Georgia*



მხედრულით ნაწერი მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფე ერეკლე II-ის მიერ ადიბეგ ყორღანაშვილისადმი. ფრაგმენტი. 1782 წ-ის 9 ივნისი. თავსამკაული და გვერდითა ველები მორთულია აღმოსავლური ორნამენტებით. დამწერი – კარის მდივანმწიგნობარი სულხან ბეგთაბეგის ძე. ქაღალდი, 68,7X45,6 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Fragment of the letter of grant of Erekle II on the donation of lands to Adibeg Korghanashvili. June 9,1782. The headpiece and side margins are decorated with eastern ornaments. Drawn up by a court Mdivanmtsignobari Sulkhan, son of Begtabeg, in Mkhedruli. Paper, 68,7X45,6 cm. *The National Center of Manuscrpts*

→

მხედრულით შედგენილი ყმების წყალობის წიგნი, მიცემული მეფე გიორგი XII-ის მიერ ალექსანდრე მაყაშვილისადმი. 1798 წ. დამწერი – დავით (ალექსის ძე) რექტორი. ქაღალდი, 70,4X47,5 სმ. *საქართველოს ეროვნული არქივი*

Letter of grant of Giorgi II on bestowal of serfs upon Aleksandre Makashvili. 1798. Drawn up by the Head of the Seminary Davit, son of Aleksi, in Mkhedruli. Paper, 70,4X47,5 cm. *The National Archives of Georgia*







დიდი დაფარნა. 1718 წ. ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია ქტიტორი – ვახტანგ VI-ის ასული, თეიმურაზ II-ის თანამეცხედრე თამარი. ნაქარგი „ძლევის ჯვარი“. ვაზი 12 მტევნით სიმბოლურად განასახიერებს ქრისტეს 12 მოციქულს. ატლასი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, აბრეშუმის ძაფი, 72,5X86 სმ. საგარეჯო, კახეთი, აღმოსავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Larger veil with an embroidered victorybearing Sign of the Cross, a vine with 12 bunches of grapes symbolizing 12 apostles and Asomtavruli inscription mentioning the ktetor Tamar, daughter of Vakhtang VI and wife of Teimuraz II. 1718. Satin, cloth of gold, cloth of silver, silk thread, 72,5X86 cm. Sagarejo, Kakheti, East Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum*



რაჭის ერისთავის, შოშიტა III-ის მეუღლის, მარიამ ბატონიშვილისეული გარდამოხსნა საქტიტორო მხედრული წარწერით. 1725 წ. აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმის ძაფი, ოქროსა და ვერცხლის თმა, ზეზი, ნამაგრი სითვი. 106,5X81 სმ. მარტვილი, სამეგრელო, დასავლეთი საქართველო. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Deposition commissioned by Mariam Batonishvili, the wife of Shoshita III the Eristavi of Racha, with Mkhedruli ktetorial inscription. 1725. Silk, silk thread, gold and silver fibers, galloon, satin stitch embroidery, 106,5X81 cm. Martvili, Samegrelo, West Georgia. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*

ოლარი საქტიტორო ასომთავრული წარწერით. 1740-1773 წწ. მოხსენებულია კათალიკოსი ბესარიონი – პაპუნა რაჭის ერისთავისა და იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის (1683-1695) დის, დარეჯანის, შვილი. აბრეშუმი, მარგალიტი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი, კილიტები. 165X25,5 სმ. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Stola with Asomtavruli ktetorial inscription in which Catholicos Besarion, son of Papuna the Eristavi of Racha and Darejan, the sister of Aleksandre IV of Imereti (1683-1695) are mentioned. 1740-1773. Silk, pearls, cloth of gold, cloth of silver, galloon, tinsel, 165X25,5 cm. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*





მხედრულით ნაწერი საეკლესიო კრებული. XIX ს. გადამწერი – მაჭავარიანის ასული ბარბარე. შავი მელანი, ქაღალდი, 10,5X9,5 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Ecclesiastical collection scribed in Mkhedruli by Barbare, daughter of a certain Machavariani. The 19th C. Paper, black ink, 10,5X9,5 cm. *The National Center of Manuscripts*





მხედრულით ნაწერი და თემატური მინიატურებით გაფორმებული ასტროლოგიური ტრაქტატი. 1814 წ. ავტორი – დავით ეგნატეს ძე თუმანოვი. ქაღალდი, 20X15 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Astrological treatise written in Mkhedruli and illustrated with subject miniatures. 1814. Paper, 20X15 cm. Author: Davit Tumanov, son of Egnate. *The National Center of Manuscripts*

⟶

მხედრულით შედგენილი შეწირულობის სიგელი, მიცემული მეფე სოლომონ II-ის მიერ ჯრუჭის მონასტრისადმი.1804 წ. ქაღალდი, 56X44 სმ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Deed of bestowal granted by King Solomon II to Jrucha Monastery. Mkhedruli. 1804. Paper, 56X44 cm. *The National Center of Manuscripts*





თხზული ასომთავრული ასოების ნიმუშები. XIX ს. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
Samples of braided Asomtavruli letters. The 19th C. *The National Center of Manuscripts*



მხედრული თხზული ასოებით შედგენილი სიტყვები. XIX ს. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
Samples of braided Mkhedruli letters. The 19th C. *The National Center of Manuscripts*



მცირე ჯვრული დაფარნა ასომთავრული წარწერით. **XIX** ს. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Smaller cross-shaped chalice veil with Asomtavruli inscription. The 19th C. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



მცირე ჯვრული დაფარნა ასომთავრული წარწერით. **XIX** ს. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Smaller cross-shaped chalice veil with Asomtavruli inscription. The 19th C. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



მცირე ჯვრული დაფარნა ასომთავრული წარწერებით. **XIX** ს. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Smaller cross-shaped chalice veil with Asomtavruli inscriptions. The 19th C. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ლურჯი სუფრა მხედრული წარწერით. 1955 წ. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Blue cloth with Mkhedruli inscription. 1955. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ლურჯი სუფრა მხედრული წარწერით: „ქ. მეწარმე. იოანესია. სალხინოთ. მოხმარდეს. წელს. 1815“. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)*

Blue cloth with Mkhedruli inscription: “... Belongs to the entrepreneure Ioane. To be used for pleasure – Year 1915“. *Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (Georgian National Museum)*



ივანე ჯავახიშვილის ხელით შედგენილი დოკუმენტები. 1918 წ.

Documents handwritten by Ivane Javakhishvili, 1918



	№
კარადის	16
თაროსი	1
წიგნისა	3

საინვენტარო

№ 77

ექვთიმე თაყაიშვილის ხელით შედგენილი დოკუმენტები. 1891 წ.

Documents handwritten by Ekvtime Takaishvili, 1891

ალავერდელი მიტროპოლიტის, დავითის კალიგრაფიის ნიმუშები. 1999, 2009 წწ.

Samples of the handwriting of Davit the Metropolitan of Alaverdi, 1999, 2009





ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. ჭედური ყდა. პარიზი, 2018 წ. ოქრომჭედელი გუჯი ამაშუკელი, საფრანგეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერი , ხელოვნების მეტრი. 40X32 სმ. *გაეროს არტ კოლექცია, სათაო ოფისი, ნიუ იორკი, აშშ*

Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”, written in Mkhedruli. Embossed cover. Paris, 2018. Goldsmith Guji Amashukeli, Chevalier of the French Order of Arts and Literature, Meter of Art. 40X32 cm. *United Nations Art Collection, Headquarters, New York, USA*



ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. 2017-18 წ. კალიგრაფი - ნინო იკაშვილი, მინიატურა - სოფიო კინწურაშვილი. ქაღალდი, ტუში, აკრილი, 40X32 სმ. *გაეროს არტ კოლექცია, სათაო ოფისი, ნიუ იორკი, აშშ*

Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”, written in Mkhedruli. 2017-18. Calligrapher - Nino Ikashvili, miniature - Sophia Kintsurashvili. Paper, ink, acrylic, 40X32 cm. *United Nations Art Collection, Headquarters, New York, USA*



ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. 2017-18 წწ. კალიგრაფი - დავით მაისურაძე, მინიატურა - სოფიო კინწურაშვილი. ქაღალდი, ტუში, აკრილი, 40X32 სმ. *გაეროს არტ კოლექცია, სათაო ოფისი, ნიუ იორკი, აშშ*

Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”, written in Mkhedruli. 2017-18. Calligrapher - Davit Maisuradze, miniature - Sophia Kintsurashvili. Paper, ink, acrylic, 40X32 cm. *United Nations Art Collection, Headquarters, New York, USA*



ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. 2017-18 წწ. კალიგრაფი - ანა გოქაძე, საზედაო ასო - თამაზ ვარვარიძე. ქაღალდი, ტუში, აკრილი, 40X32 სმ. *გაეროს არტ კოლექცია, სათაო ოფისი, ნიუ იორკი, აშშ*

Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”, written in Mkhedruli. 2017-18. Calligrapher - Ana Gokadze, uppercase letter - Tamaz Varvaridze. Paper, ink, acrylic, 40X32 cm. *United Nations Art Collection, Headquarters, New York, USA*



ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. 2017-18 წწ.
კალიგრაფი - ლევან ცხვირავაშვილი, საზედაო ასო - თამაზ ვარვარიძე. ქაღალდი, ტუში, აკრილი, 40X32 სმ. *გაეროს არტ კოლექცია, სათაო ოფისი, ნიუ იორკი, აშშ*

Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”, written in Mkhedruli. 2017-18. Calligrapher - Levan Tskhviravashvili, uppercase letter - Tamaz Varvaridze. Paper, ink, acrylic, 40X32 cm. *United Nations Art Collection, Headquarters, New York, USA*





ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. 2017-18 წწ.
კალიგრაფი - გიორგი სისაური, საზედაო ასო - თამაზ ვარვარიძე. ქაღალდი, ტუში, აკრილი, 40X32 სმ. *გაეროს არტ კოლექცია, სათაო ოფისი, ნიუ იორკი, აშშ*

Manuscript of “The Knight in the Panther’s Skin”, written in Mkhedruli. 2017-18. Calligrapher - Giorgi Sisauri, uppercase letter - Tamaz Varvaridze. Paper, ink, acrylic, 40X32 cm. *United Nations Art Collection, Headquarters, New York, USA*

ქართული შრიფტი
GEORGIAN TYPE

ნაწილი PART
2

AKA MORCHILADZE

GEORGIAN TYPE

The first printed books appeared in China but the inventions of the Qing dynasty did not influence the rest of the World. In Europe the potential for the dissemination of knowledge and information dramatically increased when Johannes Gutenberg (1400-1468) invented type-printing press and set up the first printing house in Germany.

The printing trade required different new jobs, giving rise to numerous professions which had not existed before.

The development of types turned out to be one of the most important tasks - the outline of the characters and their arrangement on the paper have a decisive role in the easy and rapid deciphering of any alphabet. A person who makes a handwritten copy of a text may have his own artistic taste and his own calligraphy, but a fixed type must be clear and acceptable to everyone.



ALFABETO GIORGIANO.

Figura.	Nome.		Poteſtà.
ა	ან	An	a,
ბ	ბან	Ban	b,
გ	გან	Ghan	gh, come il ג Heb. ghe, ghi.
დ	დონ	Don	d,
ე	ენ	En	e,
ვ	ვინ	Vin	u, conſonante.
ზ	ზენ	Zen	z, come in Ital. Zefiro.
ჰ	ჰაი	Hai	h,
ჴ	ჴაი	Hhai	hh, come il خ Arab.
თ	თან	Than	th, come il θ Greco.
ი	ინ	In	i,
კ	კან	Kan	k,
ლ	ლას	Las	l,
მ	მან	Man	m,
ნ	ნარ	Nar	n,
ო	ონ	On	o,
პ	პარ	Par	p,
რ	რაი	Rai	r,
ჟ	ჟან	jan	j, come in Spagnuolo, hijo.
ს	სან	San	ſ,
ტ	ტარ	Tar	t,
უ	უნ	Vn	u, Vocale.

A

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომლის ავტორებადაც მოხსენიებული არიან იტალიელი მესტამბე სტეფანო პაოლინი და ქართველი დიპლომატი და მწიგნობარი ნიკიფორე ირბაქი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი). 1629 წ. რომი

The first Georgian printed book, Georgian-Italian dictionary by Stefano Paolini and famous Georgian diplomat and intellectual Niceforo Irbachi (Nikoloz Irubakidze-Cholokashvili). Rome. 1629

There was a three-century gap between the appearance of the first printing establishment in Europe and the establishment of the first one in Georgia. These were three of the most difficult centuries in the history of the country. Permanent internal and external wars, disintegration and constant presence on the brink of life or death within the great southern empires made life in Georgia a difficult struggle for survival. Local culture came under Persian influence and the cultural

---

ᲐᲙᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ

ნაბეჭდი წიგნის სამშობლო ჩინეთია, თუმცა დანარჩენ მსოფლიოზე ცინის ეპოქის გამოგონებებს გავლენა არ მოუხდენია – ამბისა და ცოდნის გავრცელებას ევროპაში სულ სხვა იერი და სისწრაფე მხოლოდ მას შემდეგ მიეცა, რაც გერმანელმა იოჰან გუტენბერგმა (1400-1468 წწ.) პირველი საბეჭდი დაზგა გამოიგონა და სტამბა გამართა.

მესტამბეობის ხელობას მრავალი ისეთი საქმე დასჭირდა, ადრე რომ არ არსებობდა, და, შესაბამისად, ახალი პროფესიებიც გაჩნდა.

მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო შრიფტების შექმნა. შრიფტი საყოველთაოდ გასაგები უნდა იყოს. ერთია გადამწერის მხატვრული გემოვნება, კალიგრაფია, მეორე კი – დადგენილი შრიფტი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება, ვინაიდან ცხადია, რომ ანბანის იოლად, სწრაფად და სწორად აღსაქმელად მისი მოხაზულობა და განლაგება გადამწყვეტია.

საქართველოში სტამბამ მთელი სამი საუკუნით დაიგვიანა და ეს სამი საუკუნე მისი ისტორიის უმძიმესი პერიოდია – გაუთავებელმა შინა თუ საგარეო ომებმა, დაქუცმაცებამ, დიდი სამხრეთული იმპერიების შემადგენლობაში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნამ საქართველოს ცხოვრება ხისტ საჭიროებებზე მომართა, მისი კულტურა კი სპარსული გავლენის ქვეშ მოაქცია და ის მძლავრი კულტურული მარაგი, რაც წინა საუკუნეებიდან მოჰყვებოდა ქვეყანას, დაკნინდა.

თუმცა, საქართველოს სამეფოებისთვის უაღრესად სისხლიანმა XVII საუკუნემ მაინც მოახერხა და ახალი კულტურული ბიძგი მისცა ქვეყანას.

პირველი ქართული შრიფტი ევროპაში შეიქმნა იმ ქართულ-იტალიური ლექსიკონისთვის, 1629 წელს რომ გამოსცა რომში სტეფანო პაოლინიმ პროპაგანდა ფიდეს პატრონობით.

ეს შრიფტი უთუოდ ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. დაახლ 1585-1658 წწ.) ხელიდან გამოვიდა. თუმცა, მისი დახვეწილობა, სისადავე და მიმზიდველობა მხოლოდ ხელით დამწერის კალიგრაფიაზე ვერ იქნებოდა დამყარებული. ამაში წვ-

resources it had accumulated over the centuries was reduced.

The 17th century was the bloodiest era in the history of Georgian kingdoms, but it was also a time when a new cultural stimulus was given to the country. It was a period when signs of uninterrupted cultural life surfaced again.

The first Georgian type was created in Europe for a bilingual (Georgian-Italian) Dictionary published by Stefano Paolini in 1629 under the patronage of the Sacred Congregation of Propaganda Fide.

Undoubtedly, Nikoloz Irubakidze-Cholokashvili. (circa 1585-1658) known in Europe as Niceforo Irbachi, was the author of this type, but the exquisite outline of the characters, their simple and pleasant shapes point to the long-standing Italian traditions of crafting elegant types.

The first book printed in Georgian, the Psalms, was published in 1705 by King Archil II (1647-1713), who had retired to Moscow and set up the first Georgian-language printing press there.

Georgian types were for a long time created on the basis of manuscripts. This method was no longer used in Europe, where typography was no novelty. During his captivity in Sweden, Aleksandre, son of King Archil, commissioned Hungarian typographer Miklos Kis to craft the so-called Stockholmian Georgian types.

King Vakhtang VI did the same in 1708, when he decided to establish a printing house in Tbilisi.

In order to choose the best types, Vakhtang asked for the opinions of the members of his well-known commission of scholars. There was no precedent for the creation of types in Tbilisi but Vakhtang and his scholars had many more manuscripts to work with than Stefano Paolini did.

Scholars believe that the printing of King Vakhtang was based upon the Mkhedruli calligraphy of Solomon Maghaladze, which was slightly adjusted by a Vlach typographer Mihai Ishtvanovich, who had been sent to Georgia on a mission. Ishtvanovich molded Georgian Nuskhuri and Asomtavruli types too. Vakhtang's printing operation was also equipped with Greek and Latin types. The Georgian ones were far more difficult to adjust in comparison to these.

The first book published by Vakhtang's printing operation was a Gospel printed in Nuskhuri (khutsuri). It was followed by an academic edition of

ლილი იმ დროის იტალიური მესტამბეობის დიდ განვითარებულობასაც უდევს: ბეჭდვის საქმე იტალიურ ქვეყნებში ახალი ხილი არ გახლდათ – იქ მოხდენილი შრიფტების შექმნის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა.

ქართველთა მიერ დასტამბული პირველი ქართული წიგნი კი იყო „ფსალმუნი“, რომელიც 1705 წელს დაიბეჭდა. მოსკოვში გადახვეწილმა არჩილ II-მ (1647-1713 წწ.) მოახერხა და იქ ქართული სტამბა ააწყო.

მას მერე ქართული შრიფტები ძალიან დიდხანს იქმნებოდა ხელნაწერებზე დაყრდნობით, თუმცა, ევროპაში მესტამბეობის ტრადიციის დამკვიდრების წყალობით, ისტორიას შემორჩა არჩილ მეფის ძის, ალექსანდრეს, მიერ შვედების ტყვეობაში ყოფნისას უნგრელი მესტამბისთვის, მიკლოშ კიშისთვის, დაკვეთილი ე. წ. სტოკჰოლმური ქართული შრიფტები.

1708 წელს კი, როცა ვახტანგ VI-მ თბილისში სტამბის გახსნა გადაწყვიტა და საუკეთესო შრიფტების შესაქმნელად აზრი თავის განთქმულ სწავლულ კაცთა კომისიასაც ჰკითხა, მას და მის სწავლულებს წინ ბევრად მეტი ქართული ხელნაწერი ეწყოთ, ვიდრე სტეფანო პაოლინის.

მეცნიერთა აზრით, ვახტანგისეულ სასტამბო შრიფტს საფუძვლად დაედო სოლომონ მაღალაძის მხედრული კალიგრაფია, რომელიც მცირედ შეასწორა თბილისში მოვლენილმა ვლახმა მესტამბემ, მიხაი იშტვანოვიჩმა. მანვე ჩამოასხა პირველი ქართული ნუსხური და ასომთავრული შრიფტებიც.

ვახტანგის სტამბას ბერძნული და ლათინური შრიფტებიც ჰქონია, ქართული შრიფტების დადგენა კი დიდ შრომას მოითხოვდა. ცნობილია, რომ ნიკოლოზ თბილელს, სულხან-საბა ორბელიანის ძმას, ბევრი უმუშავია ქართული შრიფტების დადგენასა და მისეული ვერსიის დამკვიდრებაზე.

თბილისის სტამბაში ოცი წიგნი დაიბეჭდა. აქედან სამი – განმეორებითაც და პირველი იყო სახარება, აწყობილი ერთი ზომის ნუსხური შრიფტით, მას კი მოჰყვა მხედრული „ვეფხისტყაოსანი“, იმ დროის ნამდვილი სამეცნიერო გამოცემა.

თანდათან შრიფტების ზომაც იცვლებოდა და ბეჭდვის ხარისხიც, რაც სტამბის განვითარებაზე მიუთითებდა.

The Knight in the Panther's Skin (Vepkhvistqaosani) featuring a series of explanatory notes.

Adjustment and development of printing types was a top priority at this time. Nikoloz Tbileli, brother of the famous lexicographer Sulkhan-Saba Orbeliani, worked hard to adjust and implement his own version of types.

Twenty books were printed at Vakhtang's printing operation and three of them were republished. The Gospel initially published by this printing house was typeset in a form of Mkhedruli with all characters of the same size. The printing house progressed over time - sizes of types varied and the quality of printing improved.

Due to political troubles, Vakhtang VI lost his throne and retired to Russia. Georgian books would not be printed in Georgia for another 25 years. The clerics and scholars who followed Vakhtang VI to Russia made several attempts to establish printing shops there and succeeded in a few cases.

Throughout the 18th century Georgian printing houses were established throughout Russia, and different printing types were designed there independently.

The printing operation of Atanase Tbileli (Amilakhvari) functioned in Moscow for more than 10 years. The head of the Seminary, Gaioz Rector (Natsvlishvili), founded a Georgian printing house in Mozdok, in southern Russia, and Ioseb Samebeli (Kvabulidze) molded a Georgian type at the Petersburg Academy. Ioseb Samabeli's printing house was closed down because it published a Bible without permission.

Vakhtang's printing house was restored for a while by King Erekle II (1720-1798) during which time it used Vakhtang's old types. However, the trade of scribes still existed even in the first half of the 19th century and Georgian calligraphers still made manuscript books.

In 1795 everything, including the printing house, was destroyed during the ruthless invasion of Persia's Agha Muhammad Khan. The heirs of Erekle II entrusted Kristepore Kezherashvili with setting up a new printing operation. Kezherashvili, who had learnt this trade in Palestine, set up a new printing operation in Tbilisi. It was Kezherashvili who improved and enriched the old type for a collection of essays by Davit Batonishvili (Bagrationi, 1767-1819). The book was printed in the new printing house.

მერე, პოლიტიკურ ძნელბედობათა გამო, ვახტანგმა ტახტი დაკარგა, რუსეთში გადაიხვეწა და საქართველოში მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს არ დაბეჭდილა ქართული წიგნი. სტამბების აწყობას რუსეთში ვახტანგს გაყოლილი სასულიერო პირები და სწავლულები ცდილობდნენ და ზოგჯერ გამოსდიოდათ კიდეც.

ქართული სტამბები არსდებოდა რუსეთის სხვადასხვა ადგილას, ამიტომ საბეჭდი შრიფტებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქმნებოდა.

XVIII საუკუნეში რუსეთში მოღვაწე არაერთ ქართველს უცდია ქართული სტამბის გამართვა. მაგალითად, ათანასე თბილელის (ამილახვრის) მოსკოვის ქართულმა სტამბამ ათ წელიწადზე მეტხანს იარსება. გაიოზ რექტორმა (ნაცვლიშვილმა) მოზდოკში დააარსა ქართული სტამბა, ხოლო იოსებ სამებელმა (ქვაბულიძემ) პეტერბურგის აკადემიაში ჩამოასხა ქართული შრიფტი. ამ უკანასკნელის სტამბა ბიბლიის უნებართვოდ გამოცემის გამო დახურეს.

ვახტანგისეული სტამბა აღადგინა მეფე ერეკლე II-მ (1720-1798 წწ.) და იქ კვლავაც ვახტანგისეული შრიფტები გამოიყენებოდა. თუმცა, სტამბის განვითარების მიუხედავად, XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ქართველი კალიგრაფები ხელნაწერ წიგნებს ქმნიდნენ.

1795 წელს თბილისის სტამბა, როგორც სხვა ყველაფერი, აღა-მაჰმად-ხანის დაუნდობელ შემოსევას ემსხვერპლა. ერეკლე II-ის მემკვიდრეებმა სასტამბო საქმის ხელახლა მოწყობა მიანდეს ქრისტეფორე კეჟერაშვილს, რომელსაც ეს საქმე პალესტინაში შეესწავლა. მანაც დიდი მონდომებით გამართა ახალი სტამბა თბილისში. იმ სტამბაში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის (ბაგრატიონი, 1767-1819 წწ.) ნარკვევები, რომლის შრიფტიც ძველის გადამუშავებით შეუქმნია თავად კეჟერაშვილს.

კეჟერაშვილის სტამბას მუშაობა, სავარაუდოდ, რუსების მიერ თბილისის დაკავების შემდეგ, 1801 წლიდან შეუწყვეტია, რადგან აქაური მთავარმმართებელი, პავლე ციციანოვი, მოზდოკში წერილობით სთხოვდა ცნობილ სწავლულს, გაიოზ რექტორს, შენი სტამბა თბილისში გადმოვიტანოთო.

ციციანოვს ქართული სტამბა სჭირდებოდა მოსახლეობაში მიმართვების, ცნობებისა და კანონების გასავრცელებლად, რადგან ქართველმა გლეხებმა და რუსულ წესებზე ჯერაც ვერგადასულმა მოხე-

Kezherashvili's printing house stopped functioning in 1801, when Tbilisi was taken over by the Russians. The governor of Tbilisi, Tsitsianov, convinced the head of the Seminary, Gaioz Rector, who had gone to Mozdok, to move his printing house from Mozdok to Tbilisi.

Since neither the Georgian population nor the officials who had not switched over to the Russian manner of working knew the language of the government, Tsitsianov needed a Georgian printing house to distribute statements, declarations and laws among the people. Typographer Romanoz Zurabashvili worked at the printing house established by Gaioz Rector. Zurabashvili had worked extensively on Georgian types and was well-known for the modernization of King Vakhtang's types.

The Georgian printing type molded at the Imperial Academy in St Petersburg and known as "Akademiuri" (academic) has stood the test of time. It was a French artist, de Laforet, who prepared this type for typographic



წელიწადი მეორე. № 37. 22 სექტემბერი. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლებში № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაგზავნით დ გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . — 15.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გ[illegible]ეთი

გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: ტფილისის გუბერნიის სახ. შკოლების მასწავლებლებთა კრება ქ. ტფილისში 1878 წ, „ივერიის" კორრესპ. თელავი, ინგილო, ქუთაისი,—II, საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. მოკლე შენიშვნები საზღვარ-გარეთიდამ.—IV. წერილი გურიიდამ.

საქართველოს მატიანე

ტფილისის სახ. შკოლების მასწავლებლებთ კრება ქ. ტფილისში 1878 წელს.

ბოლოს უფ. ლიხაჩევმა ახსნა მასწავლებლებს, თუ რა გვარი კანონები უნდა იხმარონ ამათ წერის სწავლების დროს, ამასთან მისცა მათ უმაწვილების საჯდომის სტოლის ზომა.

12. სექტემბერი. გაკვეთილებს დღეს ორი მასწავლებელი ასწავლის. უფ. ივანე როსტომაშვილი, სასულიერო სემინარიაში ნასწავლი და უფ. ყიასაშვილი. როსტომაშვილი, ეტყობა ბეჯითია და მუყაითი თავის საქმისა. ეს იმან დღეს დაამტკიცა მაყურებლებთან. უნდა ვსთქვათ, რომ როსტომაშვილი ეკუთვნის ეხლანდელის მასწავლებლების საუკეთესო რიცხვსა. ამას ყველგან სოფელში შე-

გაზეთი „ივერია“, პირველი გვერდი. 1878 წ.

First page of the Iveria newspaper. 1878

ლეებმა ახალი მმართველების ენა საერთოდ არ იცოდნენ. გაიოზ რექტორის იმ სტამბაში, რომელიც იოლი ბედისა არ იყო, მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი მოღვაწეობდა. მას ბევრი ემუშავა ქართულ შრიფტებზე და უფრო ვახტანგისეული შრიფტების თანამედროვე თარგზე მოქცევით იყო ცნობილი.

დღეგრძელი კი აღმოჩნდა 1837 წელს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის სტამბაში ჩამოსხმული ქართული შრიფტი, რომელიც დღესაც „აკადემიურის“ სახელითაა ცნობილი.

ეს შრიფტი, რომელიც მეტად განსხვავდებოდა ყველა წინანდელი ქართული შრიფტისგან, თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846) ხელნაწერი ასოების მიხედვით შეუქმნია ფრანგ მხატვარს, დე ლაფორს. თუ გავიხსენებთ, რომ ამ შრიფტის გადამუშავებულ ვარიანტს თავისი „დედა ენის“ და სახელმძღვანელოების ბეჭდვისას იყენებდა იაკობ გოგებაშვილი (1840-1912 წწ.) და, ამდენად, ერთ-ერთი ყველაზე საცნობი და პოპულარული იყო საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, „აკადემიურს“ პირველი ქართული სახალხო შრიფტიც შეიძლება ეწოდოს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, სახელმწიფო საქმეთა წარმოება მთლიანად რუსულ ენაზე გადავიდა. ამან მოსპო მთელი დარგი სახელმწიფო დამწერლობისა, თუმცა მხედრული იქცა ლიტერატურისა და მიმოწერის საშუალებად ქართველთა შორის და პირველმა ქართულმა ჟურნალებმა ის თანდათან სახალხო დამწერლობად აქცია.

ნუსხური (ნუსხა-ხუცური) კი სასულიერო დამწერლობად დარჩა, მაგრამ აქაც დიდი შევიწროება განიცადა, რადგან საეკლესიო ენადაც რუსული გამოცხადდა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია კი გაუქმდა.

იმავე ეპოქაში შემოიტანეს ქართულ ანბანში უცხო ასოებიც, მაგალითად – ჶ, რომელსაც შესაბამისი ხმოვანება უნდა გამოეხატა, თუმცა საბოლოოდ ეს ასო ვერ დამკვიდრდა.

მხედრულს კი დიდი რეფორმა ელოდა: მასში არსებული 38 ასოდან ხუთმა XIX საუკუნის შუაწლებიდან გაქრობა დაიწყო.

ეს ასოები, მათი ხმოვანების სულ ნაკლები და ნაკლები საჭიროების გამო, მართლაც რომ ზედმეტ ტვირთად აწვა ნაწერს, ამიტომ ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და მათი თაობის მწერლებმა თავიანთ

use in accordance with the handwritten letters of Teimuraz Batonishvili. Akademiuri type greatly differed from all earlier Georgian types and may be called the first popular Georgian type. Iakob Gogebashvili (1840-1915) used a revised version of akademiuri in his “Deda Ena” (Mother Tongue) and other textbooks. Consequently, akademiuri has been one of the most recognizable and popular types in Georgia since the 1870s.

In the beginning of the 19th century Russia abolished the Kingdom of Kartli and Kakheti and all office work was done in Russian, but Mkhedruli remained a means of literary writing and correspondence among Georgians. Owing to the efforts of the first Georgian journals, Georgian gradually became a popularly written language.

As for Nuskhuri, it was still a written language of the Georgian Church until the autocephaly of the Georgian Church was abolished and Russian was declared to be the sole ecclesiastical language.

Simultaneously some new letters, such as “ჶ” (which was to represent the ‹f› sound) were introduced into the Georgian alphabet but did not take root in usage.

Five of the thirty-eight letters began to disappear from Mkhedruli in the middle of the 19th century as there was less and less need for separate symbols representing their sounds, making them an unnecessary burden on written texts. That is why Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and other writers of their generation stopped using (“ჱ” he, /ei/), “ჲ” (hie, /i/, /j/), “ჳ” (vie, /ui/), “ჴ” (qar, har, /q/, /qh/) and “ჵ” (hoe, /o:/). The Society for the Promotion of Literacy Among Georgians taught the “reduced” alphabet at their schools. Today the modern Mkhedruli alphabet consists of 33 letters, with each letter representing a single phoneme.

Until the second half of the 19th century all Georgian types were more or less influenced by calligraphy.

An absolutely new, plain, modern and easily recognizable Mkhedruli type first appeared in the first issue of the Droeba newspaper on 10 January 1866. This date was effectively the birthday of modern Georgian printing type.

Draftsman Mikheil Kipiani (1833-1891), who was also a writer and a strong supporter of every Georgian initiative, created Mkhedruli type for Droeba in accordance with the experience of the modern world.

ნაწერებში ჱ-ს (ე-მერვე), ჲ-ს (იოტა), ჳ-ს (ვიე), ჴ-ს (ხარი), ჵ-ს (ჰოე) გამოყენება შეწყვიტეს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც ქართულ სკოლებში ახალი ანბანით ასწავლიდა წერა-კითხვას და სწორედ ეს არის დღევანდელი ქართული ანბანიც – მხედრული, რომელიც 33 ასოსგან შედგება და რომელშიაც ერთი ასო ერთ ბგერას აღნიშნავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არცერთი ქართული შრიფტი არ იყო თავისუფალი კალიგრაფიულობისგან. პირველი სრულიად ახლებური, სადა და მარტივად აღსაქმელი მხედრული შრიფტი გამოჩნდა 1866 წლის 10 იანვარს გაზეთ „დროების“ პირველ ნომერში და სწორედ ეს დღე იქცა თანამედროვე ქართული შრიფტის „ცხოვრების“ დასაწყისად.

„დროების“ მხედრული შრიფტი შექმნა მხაზველმა, მწერალმა და ქართულ საქმეთა დიდმა მოამაგემ, მიხეილ ყიფიანმა (1833-1891 წწ.). მან ამ დარგში არსებული მსოფლიო გამოცდილება საუცხოოდ მოარგო ქართულ ანბანს.

„დროების“ გამომცემელმა, სტეფანე მელიქიშვილმა, ყიფიანის შრიფტი პარიზში წაიღო და მატრიცები იქ დაამზადებინა, შრიფტის ჩამოსხმა კი ვენაში მოახერხა. ამიტომ ამ შრიფტს კარგა ხანს „ვენური“ ერქვა, 1950 წელს კი, ქართული საშრიფტო მეურნეობის აღწერა-მოწესრიგებისას, მას „ჩვეულებრივი“ ეწოდა. თითქმის მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში „ვენური“ ყველაზე სრულყოფილი და გავრცელებული სატექსტო შრიფტი იყო ქართულ პოლიგრაფიაში.

ერთ შემთხვევაში, ლორთქიფანიძემ სრულიად უარყო ქართული ასოების გრაფიკული, ბუნებრივი მოხაზულობა, მეორე შრიფტს კი საფუძვლად ლათინურის პროპორციები დაუდო. სწორედ ამიტომ, ლორთქიფანიძის შრიფტებმა ვერ ივარგა გაბმული კითხვისთვის, სასათაუროდ კი ასე თუ ისე გამოიყენებოდა ძველი დროის აფიშებზე.

სასათაურე შრიფტები ცალკე ამბავი იყო და მათზე ბევრს მუშაობდა მხატვარი-გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი (1848-1911 წწ.), თუმცა ქართული შრიფტი სისტემურად მაინც ვერ ვითარდებოდა და უფრო შემთხვევიდან შემთხვევამდე ჩნდებოდა ახალი ვარიანტები.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარებიდან თორმეტი წლის შემდეგ, 1933 წელს, შეიქმნა ქართული შრიფტის რეფორმის

Stepane Melikishvili, a publisher, took Kipiani's type to Paris to make matrices, but the type was molded in Vienna and was called Viennese for a long time. In 1950 all Georgian types were listed and described and the Viennese type was called "ordinary".

A famous editor and publisher of the time, Kirile Lortkipanidze (1834-1919), created two versions of Georgian printing types himself and gave one of them the name of Parizuli (Parisian). The other type was called Lortkipanidze or Kirile.

Lortkipanidze's printing types were more or less suitable for headings but not for extended reading. The thing is that in the Parizuli type, Lortkipanidze completely ignored the natural graphical outlines of Georgian letters while the Lortkipanidze (or Kirile) type was based on the proportions of Latin alphabet.

An engraver, Grigol Tatishvili, worked extensively on printing types for headings, however Georgian types did not develop systematically and new versions appeared from time to time.

On the 12th anniversary of the establishment (1933) of Soviet power in Georgia a Committee for Reforming Georgian Types was set up to bring order to the sphere of types that had been caused by the typographical boom.

Two of the top Georgian intellectuals of the day, mathematician Giorgi Nikoladze (1888-1931) and artist Dimitri Shevardnadze (1885-1937), were among those who worked to refine the types. Because of the untimely death of Giorgi Nikoladze, some interesting type versions were not fully worked out. Shevardnadze, who had much experience in the development of printing types, fell victim to Stalinist repressions.

After World War the II, in 1947 the Committee for Georgian Types was set up and a testing laboratory was founded.

Beno Gordeziani (1894-1975) was a renowned expert of Georgian types. He was the initiator of many undertakings with regard to their development. The existing types were adjusted, modernized, altered and improved under his direction. He also directed the process of creating the new types.

In 1973 Anton Dumbadze (1933-1998), who introduced many new types,

---

კომიტეტი, რათა ოციანი წლების საგამომცემლო და სასტამბო ბუმით გამოწვეული ქაოსი როგორღაც მოეწესრიგებინა.

შრიფტების გაუმჯობესებაზე მუშაობდა ასევე იმ დროის ორი საუკეთესო ქართველი ინტელექტუალი, მათემატიკოსი გიორგი ნიკოლაძე (1888-1931 წწ.) და მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937 წწ.). ნიკოლაძის ნაადრევი სიკვდილის გამო დაუმუშავებელი დარჩა საინტერესო საშრიფტო ვარიანტები, შევარდნაძე კი, რომელსაც შრიფტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, რეპრესიებს შეეწირა.

შრიფტების მოწესრიგების საქმე განახლდა II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1947 წლიდან, როცა შეიქმნა ჯერ ქართული შრიფტის კომიტეტი და შემდეგ ქართული შრიფტის ექსპერიმენტული ლაბორატორია.

ქართული შრიფტის უპირველესი სპეციალისტი და მის განვითარებისთვის მრავალი საქმის წამომწყები იყო ბენო გორდეზიანი (1894-1975 წწ.). მისი ხელმძღვანელობით არა მხოლოდ მოწესრიგდა, გათანამედროვდა, გადაკეთდა და გაუმჯობესდა იმ დროისათვის არსებული ქართული შრიფტები, არამედ შეიქმნა მრავალი ახალიც.

1973 წლიდან ქართული შრიფტის ექსპერიმენტულ ლაბორატორიას სათავეში ჩაუდგა ანტონ დუმბაძე (1933-1998 წწ.), რომელმაც არაერთი ახალი ქართული შრიფტი შემოიტანა. დუმბაძემ შექმნა სადღეისოდ საუკეთესო ქართული შრიფტიც – „კოლხეთი“, რომელიც სადად და სრულყოფილად გამოხატავს ქართული ანბანის არსს.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა საქართველოს პარალელურად, არსებობდა „სხვა საქართველოც“ – ემიგრანტული საქართველო, ათწლეულების განმავლობაში თითქმის მთლიანად მოწყვეტილი სამშობლოსგან.

1921 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც წითელი რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მსოფლიოში გაიფანტა. ემიგრაცია ხომ ძნელი წარმოსადგენია წიგნის, გაზეთისა და ჟურნალის გარეშე, ამიტომ ქართული სტამბები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში დაფუძნდა.

რასაკვირველია, ემიგრანტულ ქართულ გამოცემებს სჭირდებოდა შრიფტები და ასეთები შეიქმნა კიდეც. მათი უმეტესობა ტრადიციულ

became the head of the testing laboratory of Georgian types. Dumbadze is the author of the best modern Georgian type, Kolkheti, which plainly and fully expresses the essence of the Georgian alphabet.

Throughout the 20th century there existed another Georgia in parallel with the Soviet one, a Georgia of emigrants for decades that had practically no contact with the homeland.

In 1921 the Russian Red Army occupied Tbilisi and declared Soviet rule in Georgia. Georgian political emigrants dispersed across the globe. It is hard to imagine having a diaspora community without books, newspapers and journals. Georgian printing operations were established in many different places throughout the world.

Emigrant editions needed types, of course, and they got them. These types were mostly based on traditional Georgian ones, though some brand-new Georgian types also appeared. Archil Metreveli created a type in Germany and Avtandil Merabishvili designed one in Chile, where Viktor Nozadze's books were published. Viktor Nozadze was an author of types himself. The types of Mito Sindikeli and Givi Kobakhidze were used in New York publications. Georgian characters were commissioned by Kita Chkhenkeli.

Besides everyday types used for reading, there are also artistic types used in headings.

Text types are very important even if they are rarely used or prove to be unpopular. They belong to history and paint an interesting picture of the development of the field of printing.

Artistic types are rarely used. They are created for specific purposes, but it is obvious that they make the life of types interesting.

Along with the increased requirements on printed texts, interest in types naturally increases and books and newspapers have a leading role in this process in Georgia as is the case everywhere else. In Georgia the field enjoyed a boom in the 1960s.

Competition among publishers, the desire to make book covers look better and the necessity of easy reading caused the appearance of new types, some of which turned out to be rather short-lived. Along with draftsmen, typographers and other professionals who worked in the printing industry, painters, including avant-garde artists who strove to create new shapes



გრიგოლ ტატიშვილის საზედაო ასოები

Upper case letters by Grigol Tatishvili

ქართულ შრიფტებს დაეყრდნო, თუმცა გაჩნდა სრულიად ახალი ქართული შრიფტებიც. მაგალითად: არჩილ მეტრეველისა – გერმანიაში; ავთანდილ მერაბიშვილისა – ჩილეში, ვიქტორ ნოზაძის წიგნებისათვის, ან თვითონ ნოზაძისა – პარიზული ლინოტიპის; მიტო სინდიკელისა და გივი კობახიძისა – ნიუ-იორკული გამოცემებისთვის, ანდა კიტა ჩხენკელის შეკვეთით დამზადებული ქართული ლიტერები.

მაგრამ ყოველდღიურად საჭირო, საკითხავი, სატექსტო შრიფტების გვერდით აუცილებლად არსებობს მხატვრული, სასათაურო შრიფტებიც.

სატექსტო შრიფტი, თუნდაც იშვიათად გამოიყენებოდეს ან პოპულარული ვერ შეიქნას, მაინც დიდი მნიშვნელობისაა, რადგან ის სამ-

became interested in Georgian types. Some of them sought to reshape Georgian types in a revolutionary manner. Ilia and Kirill Zdanevich, Irakli Gamrekeli and others contributed to the development of Georgian types.

In 1918 Georgia declared its independence. The new country needed industries which had never existed before like bank-note printing and printing of state documents bearing Georgian inscriptions. It became necessary to create absolutely new types.

Artists Dimitri Shevardnadze and Joseph Scharleman (1880-1957) developed types for Georgian bank-notes, trying to achieve a mixture of archaism and modernity.

The founding of the Tbilisi Academy of Fine Art (1922) was a key moment in many respects, and was a turning point in the development of Georgian types too. Beno Gordeziani and Lado Grigolia were among the first students of the Academy. Gordeziani later became the greatest expert of Georgian types. The theorist Lado Grigolia (1903-1977) founded the school of Georgian types.



ჟურნალი „სახიობა“, გარეკანი. 1924 წ.

Cover of the Sakhioba (performance) magazine. 1924

There were relatively few limits on creativity in the early Soviet period, and the types of that time are indicative of the fact. Intellectual aspirations throughout the world and the revolution in the forms of expression had their impact upon Georgian types, which had already been influenced by the style of young artists and constructivism.

Everything changed in the following decade. There were some attempts to accommodate Georgian alphabet to eastern alphabets and hieroglyphs. Ioseb Gabashvili's illustrations for Georgian edition of the Shahnameh by Ferdowsi were interesting in this respect.

უდამოდ რჩება ისტორიაში და ამით ყოველთვის საინტერესოდ წარმოაჩენს დარგის განვითარების სურათს.

ასევეა მხატვრული შრიფტიც, რომელიც იქნებ იშვიათ შემთხვევაში გამოიყენება და მხოლოდ განსაკუთრებული მიზნით იქმნება, მაგრამ ცხადია, რომ უმისოდ შრიფტის ისტორია ნაკლებად საინტერესო იქნებოდა.

ბუნებრივია, რომ შრიფტებისადმი ინტერესი იზრდება ნაბეჭდისადმი მოთხოვნის ზრდასთან ერთად. წიგნი და გაზეთი ასეთ ვითარებაში წამყვანია. ყველგან ასე იყო და ასე იყო საქართველოშიც. ოღონდ ჩვენთან ეს დროება დადგა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და, შესაბამისად, დარგის გაფართოება და განვითარებაც იმ ეპოქიდან დაიწყო.

გამომცემელთა კონკურენცია, გამოცემის ყდის უკეთ წარმოჩენის სურვილი, დაუძაბავად და იოლად კითხვის აუცილებლობა ახალ-ახალი, თუმცა, ზოგჯერ დღემოკლე შრიფტების სიმრავლეს იწვევდა. ხანგრძლივი სიცოცხლე მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ერგო. შრიფტის განვითარებასთან ერთად, მოხდა ისე, რომ შრიფტი არა მხოლოდ მხაზველთა, მესტამბეთა და ამ დარგის ვიწრო ოსტატთა საქმე შეიქნა, არამედ მისით მხატვრებიც დაინტერესდნენ; არა უბრალოდ მხატვრები, არამედ ახალ ფორმათა ძიებით ანთებული ავანგარდისტები, რომელთაც ქართული შრიფტის რევოლუციური გარდაქმნაც კი დაისახეს მიზნად. ქართულ შრიფტზე ამ მხრივ დიდი ამაგი აქვთ ბენო გორდეზიანს, ილია და კირილე ზდანევიჩებს, ირაკლი გამრეკელსა და სხვებს.

1918 წლიდან დამოუკიდებელ საქართველოს ისეთი დარგები დასჭირდა, რომლებიც იქამდე არ გააჩნდა: თუნდაც ფულის ბეჭდვა და სახელმწიფო ქაღალდების ქართული წარწერებით დამზადება. ამ საქმემ სრულიად ახალი შრიფტები მოითხოვა.

ქართული ფულისთვის შრიფტებს ქმნიდნენ მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე და იოსებ შარლემანი (1880-1957 წწ). ისინი ცდილობდნენ, ქართული ქაღალდის ფულის შრიფტი არქაულობისა და თანამედროვეობის ნაზავი ყოფილიყო.

1922 წელს დაარსდა თბილისის სამხატვრო აკადემია. ეს იყო გარდამტეხი მოვლენა ბევრი რამისთვის და, მათ შორის, ქართული შრიფტისთვისაც. სწორედ ამ აკადემიის პირველ სტუდენტთა შორის იყვნენ ქართული შრიფტის საქმის მომავალი ხელმძღვანელი ბენო

Later, the 1960s witnessed a boom in the development of the typographic art and types.

By the end of the 1980s the development of digital technologies gave rise to new requirements: Georgian types had to be adjusted to the web standard. Besarion Gugushvili, author of the first Georgian computer fonts and the modern text type “BPG”, greatly contributed to the adjustment process.

The notions of artist and type designer became almost inseparable and over time all type-related professions intertwined into graphic design.

In the typographic art, as in many other branches, design embodies the urge towards visual perfection and therefore the development of types is constantly reaching new heights.

Today printing types represent a certain synthesis of art and science, a “mini-architecture”, which remains on the page or the screen and is one of the greatest achievements in world history.

აკაკი რაზმაძე. შრიფტი „არჩი“. 2014 წ.

Archy type by Akaki Razmadze. 2014

გორდეზიანი და ქართული შრიფტის სკოლის დამფუძნებელი და თეორეტიკოსი ლადო გრიგოლია (1903-1977 წწ.).

XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა მმართველობა ჯერ კიდევ იძლეოდა შედარებით თავისუფალი შემოქმედების საშუალებას და ეს იმ დროის შრიფტებსაც ეტყობა. მსოფლიო ინტელექტუალური მისწრაფებების, გამომსახველობითი ფორმების რევოლუციური ცვლის კვალად, ეს დაეტყო ქართულ შრიფტებსაც, სადაც ძლიერი იყო ახალგაზრდა მხატვართა ხელი და კონსტრუქტივიზმის კვალი.

შემდგომ ათწლეულში კი ყოველივე შეიცვალა და იმ დროის ქართული მხატვრული საშრიფტო მოდა აღმოსავლურ ანბანებსა და იეროგლიფებზე ქართული ანბანის მორგება-სტილიზაციისკენ წავიდა. ამ მიმართულებაში იყო საინტერესო სვლებიც, მაგალითად, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ იოსებ გაბაშვილის მიერ გაფორმებული ქართული გამოცემა.

II მსოფლიო ომის შემდეგ, უფრო კი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ბეჭდვითმა საქმემ განვითარება დაიწყო. შრიფტი ამას ვერასგზით ჩამორჩებოდა.

80-იანი წლების ბოლოს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი მოთხოვნა წამოაყენა – ქართული შრიფტის მორგება ვებსტანდარტისთვის. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა პირველი ქართული კომპიუტერული შრიფტებისა და თანამედროვე სატექსტო ფონტების, BPG-ის ავტორმა, ბესარიონ გუგუშვილმა.

მრავალი დარგის დაახლოებამ „მხატვარი“ და „შრიფტის ოსტატი“ თითქმის განუყოფელ ცნებებად აქცია. თანდათან ყოველივე გაერთიანდა ერთი დიდი სათაურის ქვეშ, რომელსაც „გრაფიკულ დიზაინს“ უწოდებენ.

შრიფტის კონსტრუირების საქმეში, ისევე, როგორც სხვა მრავალ დარგში, დიზაინი ვიზუალური სრულყოფილებისკენ სწრაფვაა და, შესაბამისად, შრიფტიც განვითარების ახალ-ახალ სიმაღლეებს სწვდება.

თანამედროვე შრიფტი ხელოვნებისა და მეცნიერების ერთგვარი ნაზავია – „მცირე არქიტექტურა“, რომელიც სამუდამოდ რჩება ფურცელზე ან მონიტორზე და კვლავაც სამყაროს დიად მონაპოვრად მიიჩნევა.



ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I მეუღლითურთ (ქრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან)

The King of Kartli and Kakheti Teimuraz I with his wife (from Cr. Castelli`s Album)

ქართული ანბანი ლიგატურებით (ასოების გადაბმა), „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. 1629 წ.

The first Georgian printing type (connected letters). Georgian-Italian Dictionary. 1629



Alpbabetum Ibericum, ſive Georgianum.



ALFABETO

GIORGIANO.

Figura.		Nome.	Poteſtà.
ა	ან	An	a,
ბ	ბან	Ban	b,
გ	გან	Ghan	gh, come il ג Heb. ghe, ghi.
დ	დონ	Don	d,
ე	ენ	En	e,
ვ	ვინ	Vin	u, conſonante.
ზ	ზენ	Zen	z, come in Ital. Zefiro.
ჱ	ჱაი	Hai	h,
ჴ	ჴაი	Hhai	hh, come il خ Arab.
თ	თან	Than	th, come il θ Greco.
ი	ინ	In	i,
კ	კან	Kan	k,
ლ	ლას	Las	l,
მ	მან	Man	m,
ნ	ნარ	Nar	n,
ო	ონ	On	o,
პ	პარ	Par	p,
რ	რაი	Rai	r,
ჟ	ჟან	jan	j, come in Spagnuolo, hijo.
ს	სან	San	ſ,
ტ	ტარ	Tar	t,
უ	უნ	Vn	u, Vocale.

A ვ

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომლის ავტორებადაც მოხსენიებული არიან იტალიელი მესტამბე სტეფანო პაოლინი და ქართველი დიპლომატი და მწიგნობარი ნიკიფორე ირბაქი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი). 1629 წ. რომი

The first Georgian printed book, Georgian-Italian dictionary by Stefano Paolini and famous Georgian diplomat and intellectual Niceforo Irbachi (Nikoloz Irubakidze-Cholokashvili). Rome. 1629

პროპაგანდა ფიდეს სტამბის შენობა რომში, სადაც 1629 წ-ს დაიბეჭდა პირველი ქართული გამოცემა.

The “Propaganda Fide“ printing house in Rome, where, in 1629, the first Georgian book was printed



DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.

IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIϽ DC XXIX.

CON LICENZA DE' SVPERIORI.



ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი) – თეიმურაზ I-ის ელჩი დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში (დე კასტელის ალბომიდან)

Niceforo Irbachi (Nikoloz Irubakidze-Cholokashvili), Ambassador of Teimuraz I to some West European countries (Cr. Castelli`s Album)



Credo.
მრცამს :: ერთი ::
:: ა ::
მრცამს :: ერთი :: ღთმერთი :: მამ :: ყო–
ვლისა :: მპყრ–ბელი :: შემ–ქმედი :: ცათა
და :: ქუეყანისა :: ხილულთა :: ყო–ველთა
და :: არს :: ხილულთა ::
:: ბ ::

პირველი ქართული სასტამბო შრიფტით აწყობილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. 1629 წ. რომი

The first Georgian printing type. Georgian-Italian Dictionary, Rome. 1629



MODVS DVCENDI LINEAS LITERARVM

ქართული ასოების წერის პრინციპი. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. 1629 წ. რომი

The basics of writing Georgian letters. Georgian-Italian Dictionary, Rome. 1629



მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) პორტრეტი. უცნობი მხატვარი. XVIII ს. ტილო, ზეთი. ხელოვნების სასახლის კოლექცია

Portrait of King Vakhtang VI of Kartli (1675-1737). Unknown painter. XVIII C. Oil on canvas. Collection of the Art Palace of Georgia



ვახტანგ VI-ის უფროსი ბიძის, მეფე-პოეტ არჩილ II-ის პორტრეტი XVIII ს-ის კრებულში. არჩილ მეფის მიერ რუსეთში დაარსებულ სტამბაში 1705 წ-ს დაიბეჭდა „დავითნი“.

Portrait of King Archil II (1647-1713), a poet and the eldest uncle of King Vakhtang VI, from a collection of the 18th C. The Book of Psalms was printed at the printing house which was founded by King Archil in Russia in 1705.



ვახტანგ VI-ის წინასიტყვაობა სახარების პირველი ბეჭდური გამოცემიდან. ნუსხური, ჩართული ასომთავრულით. 1709 წ. თბილისი

Foreword by Vakhtang VI to the first printed edition of the Gospel. Nuskhuri with Asomtavruli monograms. Tbilisi. 1709



„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა, ნაბეჭდი ვახტანგ VI-ის სტამბაში. 1712 წ. თბილისი

The first edition of “The Knight in the Panther’s Skin” printed at the printing house of Vakhtang VI. Tbilisi. 1712



ვახტანგ VI-ის პორტრეტი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი გამოცემიდან. 1712 წ, თბილისი. ილია ჭავჭავაძის პირადი ეგზემპლარი

Portrait of Vakhtang VI, the first printed edition of The Knight in the Panther’s Skin. Tbilisi. 1712. Copy ones owned by Ilia Chavchavadze

მწერალი და მეცნიერი თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი), მეფე გიორგი XIII-ის ძე. 1782-1846 წწ.

Teimuraz Batonishvili (Bagrationi), son of Giorgi XIII, a poet and a scientist, 1782-1846





თეიმურაზ ბატონიშვილის მხედრული შრიფტი მარი ბროსეს „თვითმასწავლებლისთვის“, 1834 წ. პარიზი

Teimuraz Batonishvili’s Mkhedruli type from a self-tuition manual by M.-F. Brosset. Paris. 1834

პირველი ქართველი გრავიორი, გამომცემელი გრიგოლ ტატიშვილი

Grigol Tatishvili (1848-1911), the first Georgian engraver, a publisher



გრიგოლ ტატიშვილის საზედაო ასოები ილია ჭავჭავაძის წიგნისთვის „თხზულებანი“. 1892 წ.

Grigol Tatishvili’s upper case letters for The Works by Ilia Chavchavadze. 1892



ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 15

თხზულებანი

ილია

ჭავჭავაძისა

III

ტფილისი

სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

1892

გრიგოლ ტატიშვილის მიერ გაფორმებული ილია ჭავჭავაძის „თხზულებანი“.1892 წ.

The Works by Ilia Chavchavadze. Design by Grigol Tatishvili. 1892



გრიგოლ ტატიშვილის ჩართული ასოები. ლითოგრაფია

Monograms by Grigol Tatishvili. Lithograph



ქართული შრიფტის ნიმუშები კრების მიერ განსახილველად.

ტატიშვილისა
ყალიბი 16

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ
ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ ჵ ჳ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ.

მისივე მთავრულად
ხმარობენ, ყალიბი 12

Ა Ბ Გ Დ Ე Ვ Ზ Ჱ Თ Ი Კ Ლ Მ Ნ Ჲ Ო Პ Ჟ Რ
Ს Ტ Უ Ფ Ქ Ღ Ყ Შ Ჩ Ც Ძ Წ Ჭ Ხ Ჴ Ჯ Ჰ Ჳ

სასტამბო შრიფტი წარმოადგენს წარმოების რთულ ნაყოფს, ის ბევრ რამეში ექვემდებარება ლიტერებისა და მატრიცების ზუსტ ტექნიკას. ნახაზის შექმნის დროს თუ მხატვრის მიერ არ იქნება გათვალისწინებული წარმოების მოთხოვნილებანი, ისე მისი ნამუშევარი ლითონზე ვერ გამრავლ-

გრიგოლ ტატიშვილის შრიფტი „ჩონჩხი“. 1880-იანი წწ.

Chonchkhi (skeleton) printing type created by Grigol Tatishvili. 1880



ქართული ანბანი

შედგენილი და ხეზე ამოჭრილი გ. ტატიშვილის-მიერ
ვუძღვნი კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას

გამოცემული მინადორა ტატიშვილის-მიერ

ამ ალბომის შემოსავლიდამ 10 პროცენტი შემიწირავს მომავალის საქალებო ქართულის სკოლისთვის

ტფილისი 1894 წელს

Типографія Грузин. Изд. Товарищества. | სტამბა ქართ. წიგნ. გამომც. ამხანაგობისა.

გრიგოლ ტატიშვილის ალბომი „ჩართული ანბანი“, გრავიურა ხეზე. 1894 წ.

Monogram Alphabet album by Grigol Tatishvili. Wood engraving. 1894

ანი



ბანი



განი



მონოგრამები გრიგოლ ტატიშვილის ალბომიდან „ჩართული ანბანი“, გრავიურა ხეზე. 1894 წ.
Monograms from Grigol Tatishvili's Monogram Alphabet album. Wood engraving. 1894

დონი



ინი



მონოგრამები გრიგოლ ტატიშვილის ალბომიდან „ჩართული ანბანი“, გრავიურა ხეზე. 1894 წ.
Monograms from Grigol Tatishvili's Monogram Alphabet album. Wood engraving. 1894



რამდენიმე ნიმუში



ი. ჭ. ე. ე. ზ. ჭ. ა. წ. ს. ვ.

მონოგრამები გრიგოლ ტატიშვილის ალბომიდან „ჩართული ანბანი“, გრავიურა ხეზე. 1894 წ.
Monograms from Grigol Tatishvili’s Monogram Alphabet album. Wood engraving. 1894



ტასო დ. ე.



ბაბო. ე. ს.

მონოგრამები გრიგოლ ტატიშვილის ალბომიდან „ჩართული ანბანი“, გრავიურა ხეზე. 1894 წ.
Monograms from Grigol Tatishvili’s Monogram Alphabet album. Wood engraving. 1894



გრიგოლ ტატიშვილის საქარგავი ასოები, ლითოგრაფია. 1888 წ.

Letters for embroidering by Grigol Tatishvili. Lithograph. 1888



ტარასი არხიმანდრიტის ნახატი ასოები
თ. რაფაელ ერისთავის მიერ 1883წ. გადმოცემული

„ტარასი არხიმანდრიტის [ტიმოთე ალექსი-მესხიშვილი] ნახატი ასოები რ. ერისთავის მიერ გადმოცემული“. 1883 წ.

Tharasius Archimandrite’s [Timote Aleksi-Meskhishvili] painted letters published by R. Eristavi. 1883



რომის სტამბის შრიფტი. 1629 წ.

The type of the printing house in Rome. 1629



ვახტანგ VI-ის სტამბის შრიფტი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემიდან. 1712 წ. თბილისი

The type of Vakhtang VI printing house used for the 1st edition of “The Knight in the Panther’s Skin”. Tbilisi. 1712



ერეკლე II-ის სტამბის შრიფტი. „კიტაიას სიბრძნის“ სატიტულო ფურცლის ფრაგმენტი.1784 წ. თბილისი

The type used at the printing house of King Erekle II. A fragment from the front page of “Chinese Wisdom”. Tbilisi. 1784



სინოდის სტამბის შრიფტით აწყობილი კლაპიტონოვის „მოკლე კარაბადინი“. ქართულ პოლიგრაფიაში ერთ-ერთ ძირითად შრიფტად იხმარებოდა „ვენურის“ ჩამოსხმამდე. 1828 წ. მოსკოვი

Klapitonov’s Small Book of Medical Treatment set by means of the type molded at the Synod printing house, which was used in Georgian poligraphy as a principle type before Venuri type was molded. Moscow. 1828.

დამწერლობა მსოფლიო კულტურის უდიდესი მონაპოვარია. როდესაც შრიფტზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გაკვრით მაინც არ შევეხოთ ამ მონაპოვარის სათავეებს საიდანაც წარმოიშვა და განვითარდა ჯერ ხატოვანი და შემდეგ დღევანდელი ანბანი. სტამბური შრიფტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ანბანთან და მის პირვანდელ ხატოვან გამოსახულებასთან.

შრიფტი „აკადემიური“, შექმნილი პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ დ. ჩუბინაშვილის, მ. ბროსეს და სხათა დახმარებით. 1840-1845 წწ.

Academiuri type developed by Teimuraz Batonishvili (Prince Teimuraz) with the help of M. Brosset and others at Petersburg Academy of Sciences. 1840-1845



წინა-სიტყვაობა:

ჩვენ საჭიროდ ვრაცხეთ, ხელ-მეორედ გამოვცეთ ჩვენ-მიერ გამოცემული ,,ჴარამანიანი'', ამიტომ რომ, პირველი გამოცემა 1875—1876 და 1877 წლებისა სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდათ. ჩვენი საქართველოს მდაბალი საზოგადოება, ვაჭრობა და ხელოსნობა, დიდი სურვილით თხოულობს ყარამანიანის გამოცემას; რადგანაც ძლიერ ხალისიანი წასაკითხი წიგნია ეს ჴარამანიანი, და უსაქმო დროებში დროს გამატარებელი.

მე უნდა მოვახსენო პატივცემულს საზოგადოებას და ჩვენის ჴარამანიანის მკითხველებს, რომ, მართალია, ეს წიგნი არ არის ჭკუა-გონების გამხსნელი და დიდის სარგებლობის მომტანი, მაგრამ არც თუ მავნებელია საზოგადოდ წერა-კითხვისთვის. ეს წიგნი არის ზღაპრული მოთხრობა „საამოდ სასმენელი“, სპარსულიდგან ნათარგმნი სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან მშვენიერს ქარ-
თულს ენაზედ. მგონია, ჩვენ სულ რო არაფრა
მხოლოდ ის მაინც უნდა დავაფასოთ, რომ ამის
დი და მკვირცხლი გამოთქმულობა მშვენიერს
ჩვენის აზრით ჩვენ ურიგოს და მავნებელ
გადოდ ამ წიგნისას; ამიტომ ვბედავთ და ხ
ჩვენ პირველად რო გამოვეცით წარსულ
წლებში დიდის შრომით, ჩვენი ქართველი მწ
ყოდნენ კიდევაც რომ ამისთანა წიგნების გამოც
სო და არც წაიკითხებაო! მაგრამ ბოლოს იმ
მიესათაც კი გადააკეთეს და წარმოადგინეს თე
უნდა მოვახსენო პატივცემულ ქართველ მწერ
რით ამისთანა წიგნების გამოცემა უფრო საჭირ
ზოგადოებისათვის, ვიდრე ჯერ-ჯერობით მისთვი
ამიტომ რომ ბევრმა ნაწილმა ჩვენ საქართველოს

„ვენური“ შრიფტით აწყობილი „ყარამანიანის“ წინასიტყვაობა. 1888 წ. შრიფტი, მიხეილ ყიფიანის ნახაზების მიხედვით, 1864 წ-ს ვენაში მომზადდა, რის გამოც მას „ვენური“ უწოდეს, მხოლოდ 1950 წ-დან „ჩვეულებრივი“ დაერქვა. თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ის ყველაზე სრულყოფილი და გავრცელებული სატექსტო შრიფტი იყო ქართულ პოლიგრაფიაში.

Foreword to “Karamaniani”, set by means of Venuri (of Vienna) type prepared in accordance with Mikheil Kipiani’s drawings in 1864 in Vienna. 1888. Venuri type, which has been called “Chveulebrivi” (ordinary) since the 1950s, was the most perfected and wide-spread text type for about a century in Georgian poligraphy.



ცხოვრება და მწერლობა

განდეგილის ლექსები 1898 წ.

დიდად პატივცემულს ქალ-ავტორზედ, განდეგილზედ, ისევე ძნელია სიმართლის თქმა, როგორც ქიზიყის დეპოზედ. საქმე ის არის, რომ ჩვენმა გაზეთებმა უკვე მოჰფინეს ქვეყანაზედ ხმა, რომ განდეგილი ნიჭიერი პოეტიაო. ეხლა ვინც წინააღმდეგს იტყვის, მას მამულის მოღალატის სახელს დაუყრიან. მაგრამ მე მაინც არ ვუღალატებ ჩემს მცნებას და ვიტყვი მას, რაც სიმართლედ მიმაჩნია.

სხვაში რომ ყველაფერში დაქვეითებულები ვიყოთ, პოეზიაში არ შეგვრცხვება, ცილობა გავუწიოთ რომელსაც გინდათ ერს. რუსთაველიც რომ არ გავიხსენოთ, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე ისეთნი გვამნი არიან, რომელნიც სახელს გაუკეთებდნენ ყოველს ერს. ამათი გავლენა ჩვენს ლიტერატურაში ძრიელია. ამათზე წინ პოეზია შაირობა იყო. პოეტს, როგორც საზანდარს, ტკბილის შაირებით უნდა დაეტკბო მოქეიფეთა შეზარხოშებული გონება. პოეზია იყო აგრეთვე ენა შეყვარებულთა. რომ პოეზია არის საზოგადოებრივი ძალა, ამისი წარმოდგენაც არ იყო. მხოლოდ დასახელებულმა პოეტებმა აიყვანეს პოეზია თავის შესაფერს საბრძანებელზედ და მისცეს ხელთ ადლი სიმარლისა და სიბოროტის გამკითხველი ამა სოფლად.

უწინდელს პოეტს უნდა დაეხატა ან ქალის სილამაზე და სიყვარული, ან დაეწყო მოთქმა სიცოცხლის ამაოებაზედ. რა

ჟურნალი „მოამბე“. „ვენური“ შრიფტით აწყობილი გვერდი. 1898 წ.

The page of the Moambe magazine, set by means of Venuri type. 1898



ქართული ახალი ანბანი.

შედგენილი და ამის ყალიბები ჩამოსხმული კირილე მეჯანის-ძე ლორთქიფანიძისაგან. ეს ასოები ქართველ საზოგადოებისაგან მოწონებულია, ხოლო ჯერ ხმარებაში არ არის მიღებული.

შრიფტი „კირილე ლორთქიფანიძე“, ცნობილია ასევე, როგორც „შრომა“. 1881 წ. შექმნილია თავისი დროის განთქმული რედაქტორისა და გამომცემლის, კირილე ლორთქიფანიძის, მიერ გაზეთისათვის „შრომა“.

Kirile Lortkipanidze type (also known as Shroma (labor) type) developed by a famous editor and publisher Kirile Lortkipanidze for the Shroma newspaper. 1881

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ
ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ
შ ჩ ც ძ წ ხ ჯ ჭ ჰ
1 2 3 4 5 6 7 8 9 0
((¡ § ? „ « : № , V . ; ! X I

დამწერლობა მსოფლიო კულტურის უდიდესი მონაპოვარია. როდესაც შრიფტზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გაკვრით მაინც არ შევეხოთ ამ მონაპოვარის სათავეებს, საიდანაც წარმოიშვა და განვითარდა ჯერ ხატოვანი და შემდეგ დღევანდელი ანბანი. სტამბური შრიფტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ანბანთან და მის პარვანდელ ხატოვან გამოსახულებასთან.

დამწერლობა მსოფლიო კულტურის უდიდესი მონაპოვარია. როდესაც შრიფტზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გაკვრით მაინც არ შევეხოთ ამ მონაპოვარის სათავეებს, საიდანაც წარმოიშვა და განვითარდა ჯერ ხატოვანი და შემდეგ დღევანდელი ანბანი.

შრიფტი „დედაენა“. 1860-1870 წწ. შექმნილია თეიმურაზ ბატონიშვილის „აკადემიურის“ საფუძველზე. ამ შრიფტს იაკობ გოგებაშვილი „დედა ენისთვის“ იყენებდა, ამიტომ მას ხშირად „გოგებაშვილს“ უწოდებენ.

Dedaena type developed on the basis of Teimuraz Batonishvili's Academiuri type. 1860-1870. The same type was used by Iakob Gogebashvili for his Dedaena (The Mother Tongue) and therefore it is often called Gogebashvili type.



გამოცემა. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა.

დედა ენა

პირველი ნაწილი

ქართული ანბანი

პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და ლექსით

ყველა სარწმუნოების ქართველთათვის

შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის-მიერ

ოც-და-მეცამეტე გამოცემა, მრავალი სურათით.

ფასი ორი შაური, ყდით სამი შაური.

ტფილისი

ელექტ.-მბეჭდ. სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვ. ქ. საკ. სახ. № 5.

1912.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ (1912 წ.; 1876 წ.) და „ბუნების კარი“ (1912 წ.)

"Dedaena" (1912; 1876) and "Bunebis Kari" (Door to Nature) (1912) by Iakob Gogebashvili



სუფთაწერის სასწავლო შრიფტით აწყობილი საბავშვო რებუსები. 1960-იანი წწ.

Children's rebuses set by means of the type used to master calligraphy. 1960s

აგვისტოს
ჯამაგირი
კანონიერ

ისე მოქმედობენ, როგორც მათი სურვილი და ნება, თვით-ნებობის ბატონობა, გახსნაც შეიძლებოდა.

ოზურგეთს

შრიფტი „პარიზული“. 1903 წ. შრიფტი ჩამოისხა პარიზში, სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთისთვის „საქართველო“, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა საქართველოში.

Type Parizuli (Parisian). 1903. The type was molded in Paris for the Socialist-Federalist newspaper "Sakartvelo" (Georgia), wich was illegally distributed in Georgia.



წელიწადი მესამე. — № 25.

პარიზი, 15 (2) მაისი 1905 წ.

საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო.

წლიური ფასი . . . . 5 მანეთი.
თითო ნომერი . . . . — 25 კაპ.

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი:
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

შინაარსი

გიორგი გაპონის მიერ მოწვეულ სარევოლუციო და სოციალისტურ პარტიათა კონფერენციის გამო. — კონფერენციაზე შემუშავებული დეკლარაციები: პოლიტიკური და სოციალური. — კონფერენციის მიერ აღიარებული რეზოლუციები. — რევოლუციის აზრი და მიმართულება.

გიორგი გაპონის მიერ მოწვეულ სარევოლუციო და სოციალისტურ პარტიათა კონფერენციის გამო

ამ რამდენისამე კვირის წინად გ. გაპონის ინიციატივით მოხდა რუსეთში მომქმედ სოციალისტურ

მებულ მოქმედებას მომავალში. ექვსი დღის მუშაობის შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა აქ გამოქვეყნებული დეკლარაციები და რეზოლუციები და კიდე გამოსაქვეყნებელი პროკლამაციები, დაარსა პარტიათა შორის შუამავალი ბიურო, რომლის ფუნქციად უნდა გახდეს პარტიათა შორის დამოკიდებულებათა გაუმჯობესება და გაადვილება და ამასთანავე სარევოლუციო ბრძოლისათვის ნივთიერ და ტეხნიკურ საშუალებათა გამოძებნა. დაარსა აგრეთვე მუდმივი სეკრეტარიატი, როგორც ამ ბიუროს აღმასრულებელი ორგანო.

* *


ქ. 1 თებერვალი.
წელიწადი მეხუთე
1917 წ.
სასოფლო გაზეთი
ყოველ-თვიური სამეურნეო-საოჯახო ჟურნალი
შინაარსი:
ფასი ერთი აბაზი


ქართული ბიბლიოთეკა
1883
№ II. თებერვალი.
ქუთაისი
თ. ბეჟან გ. წულუკიძის სტამბა.
1883

საყმაწვილო გამოცემლობა
„ჯეჯილი"
№ 3
მწერების
ყოფა-ცხოვრება


გ. ქუჩიშვილი
ბავშვებს
სახელმწიფო გამომცემლობა.

ჟურნალი „ნიშადური", ტიტული და გარეკანი. 1907-08 წწ.

Masthead and cover of the Nishaduri (sal ammoniac) magazine. 1907-08


ფასი 10 კაპ.
ნიშადური
№ 22.
ყოველკვირეული ჟურნალი
1908 წ.


ფასი 10 კაპ.
ნიშადური
№ 1.
ყოველკვირეული ჟურნალი
1907 წ.
მკითხველს.
ქართველი მწერლები და მოღვაწენი.
გრიგოლ ვოლსკი.

←

XIX -XX სს-ის პერიოდიკა და გ. ქუჩიშვილის „ბავშვებს". გარეკანები

19-20th C. periodical covers and the cover for G. Kuchishvili's "To Children"



„ყარამანიანის“ ბეჭდური გამოცემა. 1888 წ.

Printed edition of “Karamaniani”. 1888



„წმინდანების ცხოვრება“. 1859 წ. ვენეცია

The Life of Saints. Venice. 1859

ჟურნალი „ჯეჯილი“, გარეკანი. 1902 წ.

Cover of the Jejili (wheat shoots) magazine. 1902





კვირა, 25 ივლისი. № 875

1896—1899

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

...ს დამლევამდე
...ცნობის ფურცელი"
...ღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
...ეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
...პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სობრანიეს გვერდზე.
...ეთ ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
...მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
წვრილად და პარტიობით
...იდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი...
...ს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.
...ინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
...საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
...ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
...მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის
...ები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევ...
...ტერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფი-
ლისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—56)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი
ქეფირი და კუმისი
ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
ჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-
დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
ო. კორონა.
(100—56)

ღედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოზანი.
ქალი ... მკურნალი ...ისათან არის კაბინეტი,
მიკროსკოპიისა და საბაქტერიოლოგიო
საქიმიო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ

ახალი ამბავი

* * დასეტყვილი სოფლების გასაჭირი. მოლა მასრადინას, სახლობა პურს არ აჭმევდა და როცა მოკვდა მკვდარს ხახაში ფლავს აყრიდნენ, ისე ამ დასეტყვილ სოფლებს მოზდით. სანამ რამდენიმე შიმშილით არ მოკვდება ანუ უკანასკნელ საქონელს სარჩოსთვის არ დაუყიდიან, მანამ ყურს არავინ უგდებს, ვინ იქნება იმისთანა ამაოთი საცოდაობა ასწეროს, ასე წარმოიდგინეთ მეზობლები რომ ერთიერთმანეთს გამომცხვარ პურს არ უყოფდნენ, ბევრი შიმშილით მოკვდებოდა. ნეტა ვინმე გამოიკვლევდეს, თუ როგორ გაჭირვებაში არიან და რა საშუალებით შეიძლება ხალხს უბედურება ასცდეს. ...ქონის საზოგადოებაში ხუთას კომლზე მეტი მცხოვრები იქნება ამნაირ გაჭირვებაში. ხალხს სრულებით არა აქვს საჭმელი პური და საქონლისათვის საზრდო, მიმავალ წლის თესლისთვის ხომ ალარავინ ფიქრობს, ან-და საიდან რა უნდა იფიქროს! პოლიციამ თურმე მამასახლისს, ...ოქონის ...

* * მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი ჩამობრძანდება ესენტუკიდან ტფილისს და აქედან გაემგზავრება კოჯორში აგვისტოს შუა რიცხვებში, ხოლო კოჯორში თავადი დარჩება აგვისტოს ბოლომდეო.

* * ბ-ნი სანდრიგაილოს გამგზავრება ესენტუკში. მთავარ-მმართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი სანდრიგაილო გუშინ გამგზავრებულა ესენტუკში მთავარ-მართებელთან, რომელთანაც დარჩება კიდეც აგვისტოს შუა რიცხვებამდეო.

* * ქართული სტიპენდიანტები. წელს კავკასიის სტიპენდიები მოსკოვის უნივერსიტეტში დაენიშნა შემდეგ ქართველთა, რომელთაც წელს დაამთავრეს სწავლა საშუალო სასწავლებლებში: ჯაფარიძეს, ნათაძეს, ჩიგოგიძეს, თადგირიძეს და თოფურიას. სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში ქართველებისათვის არ დაუნიშნავთ სტიპენდიები.

